

არდაშელ თაქტირიძე

პირნობა

არდაშელ თაქთირიძე

პიანისტი

თბილისი
2017

რედაქტორი
თამარ ჭავახიშვილი

დამკაბადონებელი
ოთარ კიკილაშვილი

ავტორი მადლობას უხდის
ოთარ კიკილაშვილს
უანგარო დახმარებისთვის

© არდაშელ თაქთირიძე, 2017

ISBN 978-9941-0-9789-8

არდაშელი

არდაშელის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს მოგვიანებით შევუერთდი, - როცა მას პირველი კრებული უკვე გამოცემული ჰქონდა. ყველაფერი ასე დაიწყო: ერთ მშვენიერ ღლეს ფეისბუქზე ლამაზად მჟღერი გვარ-სახელი შემომეფეთა - არდაშელ თაქთირიძე და ამ იშვიათ, იღუმალ, ფეოდალური იერისა და თანამედროვეობისათვის, ცოტა არ იყოს, უცნაურ სახელს თავშეფარებული ადამიანი ნოველას მთავაზობდა. თვალის გადავლება დავაპირე, თუმცა, ნურას უკაცრავად, - თვალის გადავლებით წასაკითხი სრულიადაც არ აღმოჩნდა ფეის-ბუქის „ფურცელზე“ გამართული სალიგერატურო ქართულით „ჩაწიკ-წიკებული“ ნოველა, რომელიც, აშკარა იყო, ცხოვრების ქვაბში ნათუხ-თუხები, ცხოვრების ცოდნით გაჯერებული, ათასი ამბის მნახველი და გამგონი ნიჭიერი ადამიანის ხელს დაეწერა. დაეწერა არა ნაჩქარევ-ნაუცბადევად, არამარტო „საგრიაპაჩო“ და საკეკლუცოდ, არამედ მკითხველის წინაშე სრული პასუხისმგებლობის გასიგრძევანებითაც, აწონ-დაწონვითაც, მოთხოვნილი ამბის თითოეული დეტალის გულში გამოგარებითაც...

გამიკვირდა, - მივხვდი, ეს არ იყო პირზე რძეშეუშრობი ყმაწვილის ფანგაზიის ნაყოფი, ეს, მინიმუმ, შუახნის ასაკის კაცის მიერ დაწერილი ნოველა იყო, - გამართული, აუკანკალებელი, თავდაჯერებული ხე-ლით დაწერილი ნოველა. გამიკვირდა ის, რომ მეგონა, თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთაგან ყველას შემოქმედებას თუ არ ვიცნობ, მსმენია მაინც. მათ დაიწყეს, გააგრძელეს, გაიზარდნენ ან იზრდებიან და ასე მოპყვებიან სამწერლო ასპარეზს. ეს ცხოვრებანანახი ასაკის ავგორი კი უცბად გაჩნდა, ლიგერატურული წარსულის გარეშე პირდა-პირ აწმყოში გამოვეცხადა და ყოფიერებისა და წიგნიერების ცოდნით აღბეჭდილი სულის ამაფორიაქებელი და ფიქრში ჩამრჩენი ნოველა შემოგვთავაზა...

სასწრაფოდ არდაშელის ფეისბუქგვერდს ვეწვიე. ეს, ფაქტიურად, მისი ნოველების კრებულია, რომელსაც იგი შინიდან გაუსვლელად, მაღაზიაში შეუსვლელად, წიგნის უყიდველად სთავაზობს კითხვამოწყურებულ ადამიანს. ესაა არდაშელის მრავალფეროვანი, მრავალთემოვანი, უაღრესად საინფერესო და საყურადღებო სამყარო, რომელიც უთვალავ ინგრიგას, უთვალავ კითხვას გიგოვებს; კიდევ გიგოვებს ამ კითხვებზე შენი საკუთარი პასუხის ძიებისა და პოვნის საშუალებას. მისი პერსონაჟები არ არიან ერთმნიშვნელოვნად ასეთები ან ისეთები, დადგებითები ან უარყოფითები, ისინი ჩვეულებრივი, მიწიერი ვნებებით სავსე, ცხოვრების ცოდვამადლიან ზღვას თავმიცემული ადამიანები არიან, რომელთა არც ჩაქოლვა და ჯვარზე გაკვრაა სწორი და არც - დიდების კვარცხლბეკზე აყვანა.

კიდევ ერთ ინგრიგას ტოვებს არდაშელი: მაინც, ვინაა ის, რა ხელობის კაცია, საიდან მოვიდა მწერლობაში?.. ეს ინგრიგა თავისთავად ჩნდება; ავგორი იმდენად ცხადად და ცოდნით აღწერს შინაარსით სრულიად განსხვავებულ პროცესებს, რომ ხან ექიმი გგონია, ხან - ფიზიკოსი, ხან - ისტორიკოსი, ხან, სულ, ცოდვილო, - ქურდი და - ვინ აღარ... თუმცა, ეს ყველაფერი დაწერილი და აღწერილია ფილოლოგისთვისაც შესაშური ქართულითა და, როგორც უკვე აღვნიშნე, მკითხველის წინაშე სრული პასუხისმგებლობის შეგნებით. ამიგომაც არდაშელის ნამდვილი პროფესიის ცოდნა სრულიად უსარგებლო ინფორმაციაა მკითხველისათვის: მან, კონკრეტული გვარისა და სახელის, კონკრეტული ხელობის კაცმა გაიარა „უპი შეგროვებისა“ და „გაბნევის უამს“ მწერალ არდაშელ თაქთირიძედ გამოგვეცხადა. ჩემთვის ეს საქსებით საკმარისია...

მე ჩემი ვთქვი, სხვას თავისი სათქმელი ექნება, დრო-უამს კიდე - თავისი; მთავარი მაინც ეს, ბოლოა...

პიანინო

ბინის კარი გამოაღო. თავი გამოჰყო, მიდამო მოათვალიერა. თვალები შეშინებულმა ააცეცა. ეზოში გამოვიდა. გამხდარ ტანზე თხელი, მოჩითული კაბა ნათხოვარივით ჰქიდია, ლურჯი წინ-საფარი უკეთია. უკან გადაწეული, ჭალარა თმა ნაწნავად აქვს დახვეული. ხელში წყლის ტოლჩა უჭირავს. გაჩერდა. აქეთ-იქით აწრიალდა. ტოლჩა კარის გვერდით, ფანჯარასთან მიდგმულ პატარა მაგიდაზე დადო. წინსაფრის ჯიბიდან კოჭაზე დახვეული ძაფი ამოიღო. მტკავლისოდენა მოწყვიტა. კოჭა ჯიბეში ჩააბრუნა. ძაფი კარზე დამაგრებულ, კლიტის ჩასაკეტ რგოლებში გაუყარა და რამდენჯერმე გადანასკვა. შემოტრიალდა. ეზოს ცენტრში, ონკანთან მილასლასდა. ონკანი მოუშვა. ისევ აწრიალდა, ტოლჩის ძებნა დაიწყო. ფანჯარასთან, მაგიდაზე მოჰკრა თვალი. მივიდა, აიღო, კარს მხარი მიჰკრა და ბინაში შევიდა.

- ნელიმ კიდევ, გააჭირა საქმე, წყალს მოუშვებს და დაკეტვა ავიწყდებაო! - ჩხუბობს მეზობელი უენია.

* * *

ცუდ ხასიათზე გაიღვიძა. - დედა სად არის? ალბათ, სკოლაში წავიდოდა. ქიმიის მასწავლებელი უნდა ენახა, სამიანი რომ დაუწერა. წყალი მოსწყურდა. წამოდგა, ტოლჩა აიღო და ეზოდან წყლის მოსატანად წავიდა. კარი გააღო. ჯერ თავი გაჰყო, მიდამო მოათვალიერა. - შოთიკო ხომ არ დგას სადმე? - პარალელური კლასელია. გაუჭირა საქმე, მგონი უყვარს, მოსვენებას არ აძლევს, სულ კუდში დასდევს. - არ დგას! - ბინიდან გამოვიდა. კარი უნდა ჩაკეტოს, თორემ შეიძლება სახლში ვინმე შევიდეს და

პიანინო მოპაროს. - მამის სახსოვარია. რომ შეატყო, სმენა ჰქონდა, ვიღაცის ოჯახიდან იყიდა. გერმანული პიანინოა - „ბეკერი“. შავი ფერის, ორი შანდლით და შუაში ანგელოზებიანი ჩუქურთმით. - ეს ტოლჩა კარის ჩაკეტვაში ხელს უშლის. აქ დადგამს, მაგიდაზე. - ძაფი სად არის? ხო, აგრე ყოფილა, წინსაფრის ჯიბეში. მტკავლისოდენა მოწყვიტა, კარის რგოლებში გაუყარა და კარგად გადანასკვა. - აბა, ახლა მოპარონ! - ეზოში, წყლის ონკანთან მივიდა. - ტოლჩა სადაა? იქ დაუტოვებია, მაგიდაზე. - მივიდა, ტოლჩა აიღო. - რა უნდოდა? ჰო, დედამ დაუბარა, ჩემს მოსვლამდე მუსიკა იმეცადინეო!

* * *

თეთრ და შავ კლავიშებზე დარბიან მოხუცის დაღარული ხელები. მარჯვენა ფეხი მონოტონურად აწვება პედალს. - „ჩემო თბილის ქალაქო, შენმა დარმაც იდარა!“ - ივსება ოთახი ქალაქური მელოდიით. თითებს მუსიკა ახსოვთ, გონებას - წარსული. მხოლოდ აწმყოსა და ღრმა წარსულს შორისაა ჩამონილი ბინდი.

დედ-მამა ახსოვს. პლეხანოვზე რომ ცხოვრობდნენ, კინოთე-ატრ „ნაკადულის“ კუთხეში, მეორე სართულზე, აივნიან ბინაში. დილით, რომ გაიღვიძებდა, მშობლები უკვე წასულები იყვნენ - მამა ბანკში და დედა - სკოლაში. სახლში შეშის ღუმელი გუზგუზებდა და სამზარეულოში პელაგეა ბებია დაფრატუნობდა. ცხვირში, „კირიჩიდან“ მოტანილი ფუნთუშების სასიამოვნო სუნი ულიტინებდა. ახსოვს - პელაგეა ბებიამ რომ უთხრა მამას

- ბავშვს სიმღერა უყვარს, სულ ღიღინებსო! - მერე მამამ ვიღაც ძიასთან წაიყვანა, ამღერეს.

- ბავშვს აბსოლუტური სმენა აქვსო! - უთხრა იმ ძიამ. ერთ დღეს, ოთხმა კაცმა პიანინო შემოიტანა სახლში. შავი ფერის, ორი შანდლით და შუაში ანგელოზებიანი ჩუქურთმით. კედელთან მიდგეს. საღამოს მამა მიუჯდა პიანინოს. „დავრდომილი,

სნეული“ დაუკრა. ყველნი მღეროდნენ...

აგერ, დედა მოსულა, ნეტავ ეზოში ვის ელაპარაკება?

- ლალი, დედაშენი „გარშოკს“ ეზოში ღვრისო!

- უენია დეიდა, ხომ ხედავ, რა მდგომარეობაშია, ველარ გვცნობს, დედა ვგონივარ, მე მაპატიერ!

- როდემდეო?! - ბრაზობს მეზობელი უენია. - ნეტავ, ვისზე ლაპარაკობენ?

* * *

თეთრ და შავ კლავიშებზე დარბიან მოხუცის დაღარული ხელები. მარჯვენა ფეხი მონოტონურად აწვება პედალს. - „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი, აშრიალდება უშორეს ზღაპრად“ - ივსება ოთახი სევდიანი მელოდიით...

ახსოვს - ღამით, ლაპარაკის ხმამ გააღვიძა. სამნი იყვნენ, მამაკაცები. დედა და ბებია ტიროდნენ. მამა მათ გაჰყვა. მერე, ბებიის პანაშვიდები ახსოვს. დედამ თავზე დიდი ბაფთა რომ გაუკეთა და სკოლაში პირველ კლასში მიიყვანა. მუსიკალური სკოლის გამოცდა ახსოვს, ტაში დაუკრეს და

- აბა, გაიმეორეო! - უთხრეს. - მერე, იმღერეო, მერე, იცეკვეო!

- ბოლოს,

- მიღებულიაო!

ყოველდღე სკოლა ახსოვს, სკოლიდან მოსვლა, გაკვეთილების მომზადება. საღამოობით პიანინოზე დაკვრა და სიმღერა.

ახსოვს - ერთ დღეს, სკოლიდან მოსულს, სახლში ვიღაც მოხუცი კაცი რომ დახვდა. დედა თან ტიროდა, თან იმ მოხუც კაცს ეფერებოდა.

- მოდი, შვილო, ჩემთან, მამაშენი ვარო! - არ მივიდა. კიდევ დიდხანს „თქვენობით“ მიმართავდა. მერე, მთვრალი მამა ახსოვს, ღამით, გვიან რომ მოდიოდა სახლში, დედ-მამის ხშირი ჩხუბი ახსოვს. მერე, ღამლამობით, მამის ხველა. ბიძის სახლი ახსოვს, მამას რომ მოამორეს, - არ გადაედოსო! მერე, მამის გასვენება.

ხველა.

- ტუბერკულოზის ნიშნები აქვს, მთის ჰაერი სჭირდებაო! - უთხრა დედამისს ექიმმა. პატარა ცემის სანატორიუმი ახსოვს, დედა მასწავლებლად რომ მოეწყო და თვითონაც იქ სწავლობდა...

აგერ, დედა მოსულა, ნეტავ, ეზოში ვის ელაპარაკება?

- ლალი, დედაშენი მთელი დღე პიანინზე უკრავს, ტვინი წაიღოო!

- უენია დეიდა, ხომ ხედავ, რა მდგომარეობაშია, თავი მერვეკლასელი ჰგონია, მე მაპატიეო!

- როდემდეო?! - ბრაზობს მეზობელი უენია. - ნეტავ ვისზე ლაპარაკობენ?

* * *

თეთრ და შავ კლავიშებზე დარბიან მოხუცის დაღარული ხელები. მარჯვენა ფეხი მონოტონურად აწვება პედალს. - „ნეტავ, კარგო, რად არ გაჩნდი ჩემს ოთახში?!“ - ივსება ოთახი დაკარგული სიყვარულის მელოდიით...

მერე, თბილისი ახსოვს. პიანინზე რვასაათიანი მეცადი-ნეობა, მისაღები გამოცდები, კონსერვატორია, ფორტეპიანოს კლასი. მეგობრები, კონცერტები, ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, ვაგნერი, ლისტი, ოვაციები. გათხოვება ახსოვს, ქმარი - კობა. - ნეტავ სად არის? ალბათ სამსახურში იქნება! პიანინო მზითვად, ქმრის ოჯახი, დედამთილ- მამამთილი. მერე, შვილები - ლალი და გივი. - ეგენი სადღა არიან?!

აგერ, მამა მოსულა, ნეტავ ეზოში ვის ელაპარაკება?

- გივი, დედაშენი ეზოს ონკანს მოშვებულს ტოვებსო!


- უენია დეიდა, აგერ, მუშები მოვიყვანე, პიანინო მიმაქვს, რომ აღარ შეგაწუხოსო!

- ხო, კარგიაო, - დამშვიდდა მეზობელი უენია. - ნეტავ ვისზე ლაპარაკობენ?

* * *

ცუდ ხასიათზე გაიღვიძა. - დედა სად არის? ალბათ, სკოლაში წავიდოდა. ქიმიის მასწავლებელი უნდა ენახა, სამიანი რომ დაუწერა. დედამ დაუბარა,

- ჩემს მოსვლამდე მუსიკა იმეცადინეო! - წამოდგა, ოთახი მოათვალიერა. - აქრა უნდა? ეს სხვისი სახლია -პიანინო არ დგას! - კარი გააღო. ჯერ თავი გაჰყო, მიდამო მოათვალიერა. - შოთიკ ხომ არ დგას სადმე? - პარალელური კლასელია. გაუჭირა საქმე, მგონი უყვარს, მოსვენებას არ აძლევს, სულ კუდში დასდევს. - არ დგას! - ბინიდან გამოვიდა. - ძაფი სადაა? - ანდა, რად უნდა ძაფი, სხვის სახლს ხომ არ ჩაკეტავს?! ეზოს თაღი გაიარა, ქუჩაში გავიდა...



მხატვარი

წვრილ და გრძელ ფეხებზე შემდგარი, გამხდარი, კითხვის ნიშანივით ბეჭებში მოხრილი, წინ წანეულ კისერზე მიდგმული პატარა თავით, სწორი, ჭაღარა თმით, გაუპარსავი წვერ-ულვაშით, კოჭებამდე ატაცებული შარვლით, საყელოსთან გამორღვეული ჯინსის ქურთუკით და იღლიაში ამოჩრილი ნახატით, ყოველდღე ნახავდით, ვარანცოვზე, დილით, მშრალი ხიდისკენ ლასლასით მიმავალს და საღამოს, იქიდან, კიდევ უფრო ლასლასით მომავალ მხატვარს.

მას, მშრალი ხიდის ქვეშ, მხატვრებში, ვერ შეამჩნევდით. არა, განა იქ არ იყო, მაგრამ მისი, მქრქალ ფერებში შესრულებული ნახატი, აქეთ-იქით გამოკიდებულ, ჭრელ-ჭრელ ნახატებში ისევე იკარგებოდა, როგორც მათი მორიდებული მხატვარი, როხოხა და მარიფათიან ნახატების გადამყიდველებში.

* * *

10 წლის იყო, პირველად, ძილში რომ ეწვია. მტრედი იყო, საწოლზე ჩამოუჯდა

- წამოდი, გავისეირნოთო! - უთხრა. არ შეშინებია. მტრედი გაიზარდა, გაიზარდა, ქეჩოში დაავლო კლანჭები და მაღლა აიტაცა. ღრუბლებში აიყვანა, ღრუბლის ქულაზე დასვა, ქვემოთ გადმოახედა

- ხედავ იმ სახლსო? - დაანახა აყვავებულ ტყემლებში ჩაფლული სახლი.

- ვხედავ, მაგრამ ღრუბლები მიშლის, მკვეთრად არ ჩანსო! - უპასუხა ბიჭმა.

- როგორც ხედავ, ისე დახატეო!

დილით თავის ლოგინში გაეღვიძა. წამოხტა, ფურცელი და ფანქარი იპოვა და დაიწყო ხატვა. დახატა - სახლს, ტყემლებს, ღობეს, მინდორს, ტყეს - ნისლი გადაჰკვეროდა. საღამოს პეიზაჟს ჰგავდა, ბობოქარი დღე რომ მიყუჩდება, ჭყეტელა ფერები ნელ-ნელა მინავლდება, გაფერმკრთალდება და ბოლოს შავ-თეთრში გადადის. უფერულებასაც ხომ აქვს თავისი ხიბლი. 256 გრადა-ცია თეთრსა და შავს შორის, თვალი რომ აღიქვამს და გონებაში ფერადი სურათის წარმოსახვის საშუალებას გიტოვებს. ნახატი იყო და თითქოს არც იყო, მაგრამ იყო მოლოდინი რაღაც დიდი-სა, გრანდიოზულისა, ნისლის გაბნევისა და კონტურების გამ-ონათებისა - ეს იყო წარმოსახვა, მოძრაობა, დინამიკა - დაისში ჭვრეტა აისისა.

* * *

ხშირად მოდიოდა ღამით მტრედი, ზოგჯერ ორჯერაც. სულ უფრო და უფრო მაღლა აჲყავდა, მეტ სივრცეს აჩვენებდა, ნისლში სულ უფრო მეტად ბურავდა. მხატვარი მთელი სხეულით თრთოდა, ნეტარებდა. ალბათ, ეს იყო ბედნიერება, ბედნიერება, განცდილი სულის თავისუფლებისგან. დღე კი, ხატავდა. სულ უფრო მცირდებოდა ტილოზე შტრიხები და იზრდებოდა ჯანდი ნისლისა. ბოლოს დახატა თავისი შედევრი - სრულყოფილება, ჰარმონია - სული მხატვრისა. 20 წელი საწოლის თავთან ეკიდა, ენანებოდა. ბოლოს შიმშილმა გასაყიდად გაატანინა.


მარჯვნივ - ლარნაკში ყვავილები, მყვირალა ფერებში შეს-რულებული, მკვეთრად გამოხატული კონტურებით, მხოლოდ ჩარჩოს ზომით რომ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მარცხნივ - ძველი თბილისის უბნები, აუცილებლად ეკლესიის ფონზე - მეტეხი, ნარიყალა, რიყე, მამადავითი... და მათში ჩაკარგული ნახატი - შორიდან ნისლი, ახლოდან ჯარი გადღაბნილი შტრიხებისა... მის დასანახად, საჭირო იყო განსაზღვრული დისტანცია, მანძი-

ლი, რომელზე შორსაც, მხოლოდ თეთრი ნისლი მოსჩანდა, ხოლო ახლოს - უაზროდ გადღაბნილი კონტურები. მხოლოდ საჭირო დისტანციაზე ხდებოდა სასწაული - სურათი ცოცხლდებოდა - ხეზე ფოთოლი შრიალს იწყებდა, ცაზე მზე ამოდიოდა, ბალში, სკამზე ჩამომჯდარი, თეთრ კაბაში ჩაცმული გოგონა მტრედს ააფრენდა, მტრედი ღრუბლებში უჩინარდებოდა... ვიღაც უცხოელმა იყიდა ნახატი. მხატვარმა გადათვალა 30 ლარი, როგორც იუდამ, გაყიდულ სულში აღებული 30 ვერცხლი... სახლში მიღასლასდა, ტატზე წამოწვა... ძილში ეწვია. მტრედი იყო, საწოლზე ჩამოუჯდა

- წამოდი, გავისეირნოთო! - უთხრა. არ შეშინებია. მტრედი გაიზარდა, გაიზარდა, ქეჩოში დაავლო კლანჭები და მაღლა აიტაცა. ღრუბლებში აიყვანა, აღარ დააპრუნა...

* * *

ორი წლის შემდეგ, უცნობი მხატვრის ნახატი - „გოგონა მტრედით“, ლონდონში, „სოთბის“ აუქციონზე 1 200 000 ფუნტად გაიყიდა.



ხმა

ბავშვობიდან ჩამესმოდა მისი ხავერდოვანი, ოდნავ ბოხი, იდუმალების ბურუსით მოცული ხმა. - ის, ხან გმირი აივენჰო იყო, ხან ჯულიეტას სიყვარულით ანთებული რომეო, ხან ეჭვის-გან განრისხებული ოტელო, დედის გამბახებელი ოიდიპოსი, გვადი ბიგვა, მეფე გიორგი, თარაშ ემხვარი, არსენა მარაბდელი, მამელუქი, პლატონ სამანიშვილი და კიდევ, ვინ მოთვლის...

თითოეული სიტყვა, თითოეული ბეგერა სხეულის გავლით სულში აღწევდა, ცარიელ ადგილს პოულობდა და იქ იბუდებდა. რა იყო ეს ხმა, მთელ ერს რომ იპყრობდა, ერთი საათით რადიოს მიაჯაჭვებდა და გადაცემის შემდეგ, მისი სიტყვებით ალაპარა-კებდა?!

მეც შევდიოდი ნაწარმოებში, მისი გმირი ვხდებოდი, მისი ხმით ვლაპარაკობდი. სახე კი, საკუთარი არ ჰქონდა, მრავალ-სახიანი იყო - აბჯარში ჩამჯდარი გმირი აივენჰო; ლამაზი, მოსი-ყვარულე, და ამავე დროს, ცოლისძმის, ტიბალტის განმგმირავი რომეო; ეჭვით შეპყრობილი, გაცოფებული ხარივით მქშინავი, ჩასისხლანებულთვალებიანი ოტელო; თვალებდათხრილი, ხე-ლების ცეცებით მოარული ოიდიპოსი; გაიძვერა გვადი ბიგვა, კა-ცის მკვლელი, კაცი რომ გახდა; დაუნდობელი მეფე გიორგი, ხის ფესვებისა რომ ეშინოდა; თამარის ნახვის სურვილით, ენგურის ტალღებში გადაშვებული თარაში; თავისუფლებისთვის მებრ-ძოლი არსენა; პირამიდებთან, ნაპოლეონის არმიასთან შეჭიდებული მამელუქი; ბერნი დედინაცვლის საძებნელად წასული პლა-ტონ სამანიშვილი და კიდევ, ძალიან ბევრი...

* * *

დილით ადრე ადგა. პირი დაიბანა, ტანთ ჩაიცვა, ისაუზმა და დაიწყო საბოლოო რეპეტიცია - მაგნიტოფონთან ტექსტის კითხვა. ხელში წამზომი დაიჭირა, რომ ეშხში შესულს, დრო არ გაქცეოდა. მაგიდაზე ჭიქით წყალი დადგა. შესავალი დიდი არ ჰქონდა

- მოგესალმებით, ისევ შევხვდით ერთმანეთს გადაცემა „ლიტ-ერატურულ საათში“. დღეს დავიწყებთ დიდი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენასო“:

- სწორედ იმ წელს, როცა გიორგის ბრძანებისამებრ, სამი ეკლესია მოათავა ფარსმან სპარსმა სამცხეში, საქართველოს ჭილყვავი შემოესიაო... კითხულობდა და ირგვლივ აღარაფერი არსებობდა, ვერაფერს ხედავდა, გარდა წამზომის ისრებისა და მაგნიტოფონის მბრუნავი ბაბინებისა. ხანდახან წყალს მოსვამდა, პირს გაისველებდა.

- ...იმ შაბათს, მწუხრის ლოცვა განგებ გააგრძელა კათალიკოსმა. მოსაბოდიშებელი მზად ჰქონდა: აღაპები დაგვიგროვდა და მწუხრის შემდეგ გვიანხლებას მოვერიდეო. - დაასრულა კითხვა. მსმენელს მეორე დღემდე დაემშვიდობა. წამზომს დახედა. მაგნიტოფონი გადაახვია, თავიდან ჩართო. ნეტარებაში ჩაიძირა. კარგი გამოვიდა. ჯერ არ ყოფილა, არ მოსწონებოდა. ბინიდან გამოვიდა, კიბები ჩაიარა, ქუჩაში ტაქსი გააჩერა და რადიომაუწყებლობაში წავიდა.

* * *

რადიომაუწყებლობის პრველ არხს, ლენინის ქუჩაზე მდებარე ტელევიზიის შენობაში, მეორე სართული ეკავა. აქედან ხდებოდა რადიოსიგნალის ანძაზე გადაცემა. იქიდან კი, 1600 მეტრი სიგრძის რადიოტალღის საშუალებით, მთელ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელება.

თავის ოთახში შევიდა. მაგიდაზე დახვავებულ თაყვანისმცე-

მელთა წერილებს წამოავლო ხელი და წაუკითხავად ჩაყარა ნაგვის ურნაში. სტუდიაში გავიდა. მიკროფონთან დაჯდა, ყურ-სასმენები ჩამოიცვა და ოპერატორის ხელის ჩამოქნევისთანავე კითხვა დაიწყო. მისი გადაცემა ყოველთვის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, მსმენელს ჩანაწერს არ აკადრებდა. ერთი ასო არ შეეშლებოდა, ერთხელ ტაქტიდან არ ამოვარდებოდა. როლებში შესული, ხელებს იქნევდა. ხან მბრძანებელი მეფე გიორგი იყო, ხან ახალგაზრდა კონსტანტინე არსაკიძე, ხან კლემამოსილი მელქისედექ კათალიკოსი და ხანაც, სახედალრეჯილი და ცბიერი ფარსმან სპარსი... კითხვა დაასრულა, მსმენელს დაემშვიდობა.

- ტელევიზიის საბავშვო გადაცემის რეჟისორი იყო ჩამოსული, შენ გკითხულობდაო! - უთხრა ოპერატორმა. ერთი სართულით მაღლა ავიდა და საბავშვო გადაცემების განყოფილების უფროსთან შევიდა.

- შენ დაგანინაურეს, ჩვენთან გადმოდიხარ, ახალ გადაცემას წაიყვან - ძილისპირულს, შესძლებო? - ესიამოვნა, დასთანხმდა.

- მაშინ, უკვე გადაწყვეტილია, გილოცავო! - უთხრა განყოფილების გამგემ, ხელი ჩამოართვა და სელექტორით რეჟისორი გამოიძახა.

- თოჯინა ზურიკოსთან ერთად წაიყვან გადაცემას. ეს ზღაპარი წაიკითხე და ჩანერისთვის მოემზდეო! - დაბეჭდილი ტექსტი გაუწიოდა რეჟისორმა. ტექსტს გადახედა. არ წაუკითხავს, „კომბლეს“ ზღაპარი იყო, ზეპირად იცოდა. თვალებდაჭყეტილ თოჯინას მიუსვეს გვერდით, რომელსაც მაგიდის ქვეშ დამალული კაცი მართავდა და ახმოვანებდა.

ჩანერამ კარგად ჩაიარა. რეჟისორს და ოპერატორს მოენინათ.

- ამ საღამოსვე გავა ეთერშიო! - შეჰპირდნენ. კმაყოფილი წამოვიდა სახლში.

საღამოს, ტელევიზორი ჩართო. საქანაო სკამი ახლოს მიაჩოჩა, მოხერხებულად მოეწყო. მეორე სამამულო ომზე გადიოდა კინო, უკვე მთავრდებოდა. ძილისპირული დაიწყო. კამერამ ახლო

ხედით მოიტანა და აი, ისიც! შერცხვა, თვალები დახუჭა, რომ თავისი თავი არ დაენახა. ხმაც ვეღარ იცნო, თითქოს გაბზარვოდა.

* * *

- ძია დავით, რა ზღაპარს მომიყვებიო? - ჰკითხა თოჯინა - ზურიკომ და წვრილ კისერზე შემოდგმული თავი მისკენ მიატრიალა.

- „კომბლეს“ ზღაპარს მოგიყვები ზურიკომ! - და დაიწყო:

- იყო და არა იყო რა, იყო ერთი კომბლე. კომბლე იმიტომ ერქვა, რომ კომბლებსა თლიდა და ჭერში აწყობდაო... - შემზარა - ეს პირმრგვალი კაცი იყო აივენჳო? დავიჯერო, ამ მობულულებული ტუჩებით უხსნიდა სიყვარულს რომეო ჯულიეტას? ამ ნავთის ბიდონივით დაჭეჭყილ, მელოტ თავზე ედგა გიორგის საქართველოს სამეფო გვირგვინი? ან, ახლომხედველის ლინზებიდან იყურებოდნენ ეჭვისგან გაცოფებული მავრის ჩასისხლიანებული თვალები?

- ჭირი - იქა, ლხინი - აქა,

ქატო - იქა, ფქვილი - აქაო! - დაასრულა ზღაპრის კითხვა.

- ოჳ, როგორ მეძინებაო! - ისე დაამთქნარა ზურიკომ, ლამის თავი კბილებში გადაეხსნა.

* * *

ღამით ვერ დაიძინა, სირცხვილი სტანჯავდა. ნანობდა. აქამდე ეგონა, რომ კაცი იყო - სასიამოვნო ხმით. თურმე, ხმა ყოფილა - უსიამოვნო გარეგნობით.

- ტელევიზიაზე უარს ვიტყვი და ისევ რადიოში დავბრუნდებიო! - მტკიცედ გადაწყვიტა. ცოტა გულზე მოეშვა, ჩაეძინა. დილით კანკალმა გააღვიძა. მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. სამსახურში ვერ წავიდა. შუადღით რადიომიმღები ჩართო. კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მაჯვენას“ გაგრძელებას, სხვისი ხავერდოვანი ხმა კითხულობდა.

არჩევანი

საღამოს, სამსახურიდან გამოსული, სახლამდე, სანაპიროს გაუყვა.

* * *

უკვე ათი წელია, ასე დადის მას შემდეგ, რაც ერთხელ, სიონის ტაძარში შეიარა. გაუბედავად შედგა ფეხი. სიმშვიდე იგრძნო. საკმევლის სურნელმა ცხვირში შეულიტინა. ხარბად შეისუნთქა, ეამა. მარჯვენა ყურში ჩურჩულის ხმა ჩაესმა

სამი სანთელი იყიდე, ერთი ლვთისშობლის ხატთან დაანთე და ოჯახის ბედნიერება, მეორე წმინდა გიორგის ხატთან და საქართველოს სიძლიერე, ხოლო მესამე ჯვარცმასთან და მიცვალებულთა სულების სიმშვიდე შესთხოვეთ! მარჯვნივ გაიხედა, მხარზე თეთრებში ჩაცმული ანგელოზი აჯდა თეთრი ფრთებით. გაშვერილი ხელით მიმართულებას უჩვენებდა.

ტაძრიდან გამოსულმა სიმსუბუქე იგრძნო, მოეწონა. ამას მოჰყვა ყოველ საღამოს სიონში შესვლა, მერე მოძღვრის არჩევა, მარხულობა, აღსარება, ზიარება... სამსახურიდან გამოსულს, თეთრი ანგელოზი მხარზე შეაჯდებოდა და არიგებდა, ცხოვრების ლაბირინთებში გზას ასწავლიდა, ბნელს უნათებდა. ლვთის შემწეობით, კარგი ოჯხი შექმნა, სამსახურშიც კარგად მისდიოდა საქმე, ყოველ წელს ანინაურებდნენ, დღესაც გაზრდილი ხელფასი აიღო.

* * *

ამჯერად მარცხენა ყურში ჩაესმა ჩურჩული:

— მარჯვნივ გადაუხვიე, „შანგრილა“ ნამდვილად მოგეწონებაო! მიიხედა, მარცხენა მხარზე ჭრელფრთებიანი ანგელოზი აჯდა, მთლად ჭრელად მორთული. ტკბილი, შემპარავი ხმით უჩურჩულებდა

— ეკლესია და ლოცვა სად გაგექცევა, ჯერ აქ შევიდეთ და მერე იღოცეო!

— შენ ვინ ხარო? - ჰკითხა.

— მე მოციქული ვარო! უპასუხა ჭრელმა ანგელოზმა.

— ვისიო?

— მბრძანებლისო!

— არ შეხვიდეო! - აწრიალდა თეთრი ანგელოზი, მაგრამ, მისი არც თეთრი სამოსი, არც სადა ფრთები და არც მბრძანებლური კილო აღარ მოეწონა, ხალი აუქნია.

ჭრელ ფერებში განათებლ შენობას წითლადმანათობელი ასოებით ეწერა „სამორინე შანგრილა“.

— შეუშვით, ჩემთან არისო! - მიმართა ჭრელმა ანგელოზმა მცველებს.

— არ გაჰყე, შეგაცდენსო! - შორიდან მოისმა თეთრი ანგელოზის გამკივანი ხმა.

შენობა სიგარეტის ბოლში გახვეულ, დიდ, უფანჯრო, უსარკო და უსაათო დარბაზს წარმოადგენდა. აქ დრო ჩერდებოდა, ჩრდილი იკარგებოდა, ანარეკლი ქრებოდა. ჩანდნენ მხოლოდ უჯიბო სამოსში გამოწყობილი კრუპიები და ზოგი ნაგების სევდით ჩამქრალი და ზოგიც, მოგების სიხარულით ანთებული თვალები, რომლებიც მალევე ქრებოდნენ.

ჭრელმა ანგელოზმა სალაროსთან მიიყვანა

— ფული ამოილე და უეტონები იყიდეო! - მარჯვენა მხარზე გადმოსულიყო.

— რამდენის ვიყიდოო?

— ხელფასი ხომ გაგეზარდა, რას კარგავ, რომც წააგო, გუშინ-

დელზე უარესად არ იქნები, სხვაობით იყიდეო! - უთხრა ჭრელმა ანგელოზმა. 300 ლარის ჟეტონები იყიდა.

— მოდი, სათამაშო ავტომატებით დავიწყოთ, ამ ავტომატში ჩააგდე ჟეტონიო! - დაუკერა, ჩააგდო, მოიგო...

გვიან ღამით გამოვიდა სამორინედან. 1400 ლარი ჰქონდა მოგებული. სახლში წავიდა. კმაყოფილი იყო. გზად სიონში არ შეუვლია. ძილში ჭრელი ანგელოზი დაესიზმრა.

მეორე დღეს სამსახურში ვერ ისვენებდა, ცმუკავდა, საათზე იხედებოდა. დამთავრდა სამუშაო დრო, გარეთ გამოვარდა და სირბილით გაიქცა სამორინესკენ. ხელის აქნევით ჩამოიცილა მარჯვენა მხრიდან თეთრი ანგელოზი. მისი ადგილი, ჭრელმა ანგელოზმა დაიკავა.

— მოდი, „რულეტკა“ ვცადოთ, 18-ზე დადეო! - ურჩია ჭრელმა ანგელოზმა. დადო, მოიგო. შემდეგ დღეს სამსახურში არ მივიდა, კარგად გამოიძინა და შუადღით მივიდა სამორინეში. ისევ მოიგო. არც შემდეგ დღეს მისულა სამსახურში, არც იმის შემდეგ დღეს... ერთი კვირის თავზე, განთავისუფლებაზე დაწერა განცხადება, სამსახურიდან წამოვიდა და ხელმძღვანელობა გაკვირვებული დატოვა. ორი კვირის თავზე, პირველი წაგება იგემა.

— ნუ გეშინია, ხვალ მოიგებ, თუ ძალიან გაგიჭირდება, მბრძანებელი გიშველისო! - დააწყნარა ჭრელმა ანგელოზმა. მეორე დღესაც წააგო, მესამე დღესაც და მერე, უფრო მეტს აგებდა, ვი-დრე იგებდა.

— ფული აღარ მაქვსო! - შესჩივლა ჭრელ ანგელოზს.

— ოჯახში ძვირფასი ნივთები ხომ გაქვს, ისინი „დაალომბარდეო“! გამოიტანა სათითაოდ: ოქროს საათი, ბრილიანტის ბეჭედი, ოქროს ჯაჭვი, თავისი და ცოლის საქორწინო ბეჭდები, ნათლობის ჯვარი... სათითაოდ წააგო. ცოლმა ბავშვებს მოჰკიდა ხელი და საცხოვრებლად დედამისთან გადავიდა.

— ახლა რა ვქნაო?

მეგობრები ხომ გყავს, იმათ ესესხე, რომ მოიგებ, დაუბრუნებო! - დაარიგა ჭრელმა ანგელოზმა. ჩამოუარა მეგობრებს, ეს-ესხა ფული, ისიც წააგო.

— მიჭირს, მიშველოს მბრძანებელმაო! - სთხოვა ჭრელ ანგელოზს.

— ხომ გაქვს ბინაო?! - უპასუხა ჭრელმა ანგელოზმა. დააგირავა ბინა. აიღო ფული და სამორინეში მიიტანა.

— მთლიანად „ზერო“-ზე დადეო! - ურჩია ჭრელმა ანგელოზმა. დადო. წააგო.


— ახლა რა მეშველებაო? - ჰკითხა ჭრელ ანგელოზს.

— მბრძანებელმა საშველად ეს გამოგიგზავნაო! - თოკი გაუწოდა ჭრელმა ანგელოზმა...

* * *

თოკით ხელში, სახლში მიმავალს, მარჯვენა ყურში ჩურჩულის ხმა ჩაესმა:

— მარჯვნივ გადაუხვიე, ახლა მაინც დამიჯერეო! გაუბედავად შედგა ფეხი. სიმშვიდე იგრძნო. საკმევლის სურნელმა ცხვირში შეულიტინა. ხარბად შეისუნთქა...



ԺՊՐՈ

- Րա դաշտարա որո մշտուն գեղաս, մժանոյրո վմարո ჰպազդա, սեցաս րոմ այսուցառ?!
- Ցեն Րա օպուո՞!
- Ռոգոր, առ ցացունա, մտելո յիշանո մացածյ լապարակոծսո!

* * *

Կոչելալոյրագ, ագամունքուն, յորտոյերտոնեսաս, ցոլուան րամե սաხուն օնցորմացուն, բոմելու, դրուա ցանմացլոնեմո մահոնջացա դա ոյցեզա ჭորագ. օնցորմացուն ჭորագ ցագայցէցաս րամցանեմե մոնջու այսե.

* * *

Ցորչալագ ծորչաստան րոմ հայարա դա մերյ პյուրուտ եյլին ամուսարա, ծոփենմա, օապոնյուրո ցատցյուրուն տոշանասազուտ, ելուն ցակարուտ տաւս րոմ ականքյուրենս, Ցործալեթյուլենմա հապոլյու դա ապոլյուս տալու.

- Ես նաևա զոն արուսո? - Եկոտեյեծոգնեն յրտմանցուտ.
- Եթ տեռնաա, մացու վմարս յախա ჰյէցուա, ախալո ցագմունյուլեն արուանո! - Մեռոյ գլուս ամեազո մոուգանա ահուզոմ. տեռնա յու, տոտյուն ջոնածից, Կոչելալոյրագ այցուա դա հայլուա ქյիհածից. ծոփենու, օապոնյուրո ցատցյուրուն տոշանասազուտ, ապոլյունենց դա հապոլյութանց տալու.

- Մացաս ցագայորմենո! - Երբուա ցագապուա ծեսոմ.
- Եսու ցնոծունու մեյալուանց ոպո. լամած ցոցուն ելուա դա առ սմցենց. տալու ցագոլյունենց դա:

- ეს უნდა გავაფორმოო! - ბირჟაზე დაიქადნიდა. ერთი კვირის
შემდეგ

- ჰა, რა ჰქენიო? - რომ ჰყითხავდნენ,

- გაფორმებულიაო! - სხვათაშორის უპასუხებდა.

- ბევრი დევნა დაგჭირდაო?

- ისე, რაო!

- როგორია, ვარგაო? - დააყრიდნენ კითხვებს.

- კარგიაო, ან არა უშავსო! - მოკლედ პასუხობდა და სხვა თე-
მაზე გადაჰქონდა საუბარი. რამდენჯერმე ეჭვი შეიტანეს და
ტრაბახი ეგონათ, მაგრამ, ერთხელ, ერთ-ერთთან გადაღებული
სურათი რომ აჩვენა, რაღას იტყოდნენ, დაიჯერეს.

* * *

დამახინჯება - ინფორმაცია მახინჯდება ჩვენი შეხედულებისა
და გამოცდილების გავლენით. ჭორი თითქოს ჰგავს პირველად
ინფორმაციას, მაგრამ ძირითადად, განსხვავდება მისგან.

* * *

- ბესო მოსკოვში წავიდა სასწავლებლადო! - ამბავი მოიტანა
აჩიკომ.

- თეონასთან როგორა აქვს საქმეო?

- გაფორმებულიაო!

- შენ რა იციო?

- ხომ იცით, ბესორასაც იტყვის, ასრულებს, თვითონ მითხრაო!

- ბევრი დევნა დასჭირდაო?

- კიო!

- სადა ჰყავდაო?

- როგორიაო?

- ვარგაო? - დააყარეს კითხვები აჩიკოს.

- კარგიაო! - მოკლედ უპასუხა აჩიკომ.

* * *

დამატება - როცა არ გვახსოვს გადმოცემული ინფორმაციის
დეტალები, ჩვენ ვავსებთ და ვამდიდრებთ მას, რომ შევქმნათ
მთლიანი სურათი.

* * *

მალე, მთელი უბანი თეონაზე ალაპარაკდა

- გაიგე, ბესოსთან რომ დადიოდაო?

- ვინ ბესოსთანო?

- უბნელი ბიჭიაო!

- ეგ ხომ გათხოვილიაო?!

- ხოდა, ქმარს გაუგია და იმ ბიჭისთვის ქალაქიდან წასვლა
მოუთხოვიაო!

- თავის ცოლისათვის მიეხედა, ის ერჩივნაო!

- აბა, საწყალი ბიჭი, ქალაქში ვეღარ ჩამოდისო!

* * *

დავიწყება - ჩვენ მიღებული ინფორმაციიდან გვავიწყდება
დეტალები, რომლებიც ჩვენთვის უმნიშვნელოა და ამ დროს, შეი-
ძლება ამოვარდეს ისეთი მნიშვმელოვანი ელემენტი, როგორი-
ცაა პირველწყარო.

* * *

ცოტა ხანში, ბესოს სახელი ხსენებიდან გაქრა.

- გაიგე, ტელეწამყვანი რომ არის, დათო გიგაური, თურმე,
იმასთან დადისო!

- ვიღაც პოლიტიკოსი სახლში აკითხავსო!

- „დეცკი მირის“ დირექტორი მაგის საყვარელიაო!

- ქმარი რას აკეთებსო?

- ერთი დებილი ვინმე ყოფილაო!

* * *

ბოლოს, ჭორი ტრანსფორმირებული სახით, ინფორმაციის წყაროსთან მიდის და ისიც იჯერებს.

* * *

- ვა, მოსკოვიდან ჩამოხვედიო? - შემოეხვივნენ ბიჭები ბესოს.
- ხო, არდადეგები მაქვსო!
- აქეთურიო, იქითურიო!
- აქ ლამაზი გოგო რომ დადიოდა, თეონა, რაღაც თვალი ვერ მოვკარი. მოსკოვში ისე წავედი, გაცნობა ვერ მოვასწარი, სად არისო? - იკითხა ბესომ.
- ქმრისთვის ვიღაცას უთქვამს, მის ცოლს საყვარელი რომ ჰყავდა და ქმარს გაუგდიაო! - უთხრეს ბიჭებმა.
- ღირსი ყოფილაო! - ჩაილაპარაკა ბესომ.



გარდასახვა

- ბატონი გურამ, ბატონი გურამ, დილა მშვიდობისა, მე ჯუბა ვარ, თქვენი მეზობელი, III სადარბაზოში რომ ვცხოვრობო! - ყოველ დილით, ავტოსადგომთან მხვდებოდა და ახლიდან მეცნობოდა ჩემი მეზობელი - ჯუბა.

- ბატონი გურამ, თქვენთან, როგორც უფროს მეგობართან, ისე მოვედი, ხათაბალაში გავეხვიე, ჭკვიანი კაცი ხარ, რჩევა მინდა გკითხოთ! - გუშინ ჩვენი გოგია იყო ჩემთან, დედაჩემის ბიძაშვილია, შენი დახმარება მჭირდებაო! - გოგია, ტო, ბრეგვაძე - მე საქმეს ვეღარ ვერევი, აქეთ გუდაური, იქით ბაკურიანი, მოდი, ბაკურიანის სასტუმროს შენ მიმიხედეო!

- მერე მიხედე, მაგას რა ფიქრი უნდაო!
- 10 მილიონიან ქონებაზე პასუხისმგებელი უნდა ვიყო, დიდი ტვირთია, შევძლებო?

- შეძლებ, როგორ არ შეძლებო! - ვამხნევებ ჯუბას, თან საათზე ვიყურები, სამსახურში მაგვიანდება.

- ბატონი გურამ, დიდი მადლობა, ძალიან მაგრად დამარიგე, აუცილებლად ჩავიბარებ ბაკურიანს, თან, მანდ კარგი ჰაერიაო!

- აბა, შენ იციო! - ვეუბნები და მანქანაში ვჯდები.
- ბატონი გურამ, 2 ლარი არა გაქვს, რომ „პახმელიაზე“ გამოვიდეო?! - კუბელი რევოლუციონერივით, გაფარჩხულ ორ თითს თვალებთან მიტრიალებს ჯუბა.

* * *

ჯუბა სადღაც, ათი წლის წინ გავიცანი. ბინაში ახალი გადმოსული ვიყავი, არავის არ ვიცნობდი. ლამით, ჩაბნელებულ სადარ-

ბზოში გამოსულმა, რაღაცას წამოვკარი ფეხი და ზედ გადავემხე. საშინელი სუნი მეცა, თითქოს ნაგვის ურნაში ჩავვარდიო.

- ეე, ნელა ვერ გაივლიო! - მომესმა ქვემოდან ხმა. შეშინებული წამოვხტი. ჩემს ფეხებთან კაცი იწვა, წამოჯდა, წამოვაყენე და სახლში შევიყვანე.

- შენ ვინა ხარო? - მკითხა.

- გურამი ვარ, ახალი მეზობელიო! - ვუპასუხე მე.

- მე, ჯუბა ვარო! - ხელი გამომინოდა, ჩამოვართვი. ჩემს წინ, 40 წლამდე ასაკის ახალგაზრდა კაცი იდგა - გაბურძგნული, დასიებული სახით, ლილისფერი ყვრიმალებით, ჩამოსიებული უპეებით, კეხზე გადახეთქილი, განითლებული ცხვირით, აცდენილად შეკრული პერანგის ღილებით და შარვლის უბეზე გამოსველებული შარდის ლაქით.

- ბატონო გურამ, გუშინ „ამბასადორში“ შევიკრიბეთ: - ბორია ბერეზოვსკი, რომანა აბრამოვიჩი, ლევანა ხმალაძე - მთელი მეტალურგიული ქარხნების მეპატრონე რომ არის, ნათესავია, და მე. მაგრად ვიქეიფეთ... ბატონო გურამ, 2 ლარი არა გაქვს, რომ „პახმელიაზე“ გამოვიდეო?!. - ფული ხელის კანკალით გამომართვა, ბინიდან გავარდა და კიბეებზე ბანცალით დაეშვა.

* * *

მეორე დღეს, კარის მეზობელს ვკითხე ჯუბას შესახებ

- ჯუბა, შეძლებულ ოჯახში გაიზარდა, მორჩილი ბავშვი იყო, ლამაზი, მშობლები ხელისგულზე ატარებდნენ და „დედიკოს ბიჭად“ ზრდიდლნენ. ქუჩაში მხოლოდ დედამისის პუდელთან ერთად გამოდიოდა, ისიც, ნახევარი საათით. სკოლაში დედამისს მიჰყავდა და გაკვეთილების დროს კორიდორში ელოდებოდაო.

* * *

მილანის სანტა მარია დელლა გრაციეს მონასტრის ფრესკის

- „საიდუმლო სერობის“ შექმნის დროს ლეონარდო და ვინჩის

უნდა დაეხატა ქრისტე და 12 მოციქული. მას, იესოს სახით, სიკეთე უნდა განესახიერებინა, ხოლო ბოროტება - იუდას სახით.

ერთხელ, ლეონარდო მომღერლების გუნდის გამოსვლას ესწრებოდა და ერთ-ერთ მომღერალში ქრისტეს ნათელი, სრულყოფილი სახე დაინახა. მუსიკოსი სიამოვნებით დათანხმდა ქრისტეს სახის განსახიერებას. მხატვარმა იგი თავის სახელოსნოში მიიწვია და რამდენიმე ჩანახატი გააკეთა.

* * *

- სკოლა რომ დაამთავრა და უნივერსიტეტში მოეწყო, თავისუფლება იგრძნო. ბრმას თვალი რომ აეხილება და სინათლე თვალს მოსჭრის, ისე მოეჭრა თვალი ერთბაშად განცდილი თავისუფლებისგან და ქუჩაში გაიჭრა. ქუჩამაც ფართოდ გაუღო ჯუბას კარი და ჯერ გულში ჩაიკრა, მერე კი, შეიწოვა - მისით, როგორც შეძლებული ოჯახის შვილით, ნარკომანები დაინტერესდნენ - ჯერ რამდენჯერმე გაასინჯეს, მერე

- წამლისთვის ფულს ვკრებთ და შენც დადეო! - მერე

- ფული არ გვაქვს და შენ დაგვპატიუეო! - პატივს სცემდნენ, ყველას ჯუბას სახელი ეკერა პირზე. ნერვიულობისგან, მამამისს ინფარქტმა დაარტყა და გარდაიცვალა, დედამისს დიაბეტისგან განგრენა დაემართა და ნაწილ-ნაწილ დამარხეს. გაიტანა ოჯახის ქონება ჯუბამ, ნარკომანებს შეაჭამა. ყველაფერი რომ გაყიდა, თავის ნარკომან ძმაკაცებს მიაკითხა

- ფული აღარ მაქვს და წამალზე დამპატიუეთო!

- საძმოში ფულის გულისთვის მიგიღეთ, თორემ, შენ რა საძმაკაცო იყავი, შე „ბალვანონ“! - უთხრეს ძმაკაცებმა. იკანკალა „ლომკისგან“ ორი კვირა ჯუბამ, მერე ბედს შეეგუა, სასმელს მიჰყო ხელი და გალოთდაო! - მომიყვა მეზობელმა.

* * *

სამ წელიწადში და ვინჩიმ ტილო თითქმის დაასრულა, მაგრამ

ვერაფრით მიაგნო ისეთი ადამიანის სახეს, რომელიც იუდას დასახატად გამოდგებოდა. არადა, ფრესკის დამკვეთი აჩქარებდა.

ლეონარდო დადიოდა მილანის ქუჩებსა და სამიკიტნოებში, აკვირდებოდა ადამიანების სახეებს და დიდი ხნის ძიების შემდეგ, ერთი მთვრალი, ბინძური, ჩამოძონძილი, ნააღრევად დაბერებული კაცი აღმოაჩინა. ფრესკის შესაქმნელად დრო აღარ რჩებოდა და მხატვარმა თანაშემწებს უბრძანა, ტაძარში წაეყვანათ იგი. ეკლესიაში მიყვანის შემდეგ, და ვინჩიმ დახატა იუდა, რომლის სახეზეც აღბეჭდილი იყო ცოდვა, ეგოიზმი და უბედურება.


როდესაც მხატვარმა სამუშაო დაასრულა, მათხოვარი გამოფხიზლდა და შეშინებულმა წამოიყვირა:

- ეს ნახატი მე ნანახი მაქვსო!
- კი მაგრამ, საიდანო? - გაუკვირდა ლეონარდოს.
- სამი წლის წინ, ერთმა მხატვარმა წამიყვანა და ჩემი სახე ქრისტეს დასახატად გამოიყენაო.

* * *

- ბატონო გურამ, ბატონო გურამ, არჩევნებში მინდა მონაწილეობის მიღება და ხომ შემომხაზავო?

- მერე, მოგების შანსი გაქვსო?
- მთელი უბანი მიცნობს, იციან, რომ აღალი კაცი ვარ, ტყუილს არ ვიკადრებ, თუ რამეს შევპირდები, შევასრულებო!
- ჩემი იმედი გქონდესო! - შევპირდი მე.
- ბატონო გურამ, 2 ლარი არა გაქვს, რომ „პახმელიაზე“ გამოვიდეო?



ქაღლი

შეკეცილ წინა თათებზე თავი აქვს ჩამოდებული, თითქოს სძინავსო... მისი საყვარელი თამაშია - თავს მოიმძინარებს, რომ მიუახლოვდები, შეგახტება და ხელებს აგილოკავს.

* * *

ივნისის დასაწყისში, ზაფხულის არდადეგებზე სოფელში ჩავედით. ატყდა ერთი ურიამული, ბავშვებით გაივსო ეზო. ბიჭები „ცალკარას“ ვთამაშობდით, გოგოები - „ბამბიქტონით“ ერთობონენ, ცოტა უფროსები - ხის ჩრდილში, მაგიდას მისხდომოდნენ და „ჯოკრავდნენ“, კიდევ უფროსები - სანადიროდ ან სათევზაოდ იყვნენ წასულები, სულ უფროსები კი - საჭმელს ამზადებდნენ, რომ დანარჩენებს არ მოგვშიებოდა და პირველ სექტემბერს გოლიათები დავბრუნებოდით სკოლას.

- ხორცი არ არის სახლში, „ბოინში“ მიდი და სამწვადე გადმოითანეო! - ჩემს ძმას, გურამს, ფული მისცა და სოფლის ბოლოს, ხორცკომბინატში გაგზავნა მამამ. გურამმა ხორცი ვერ მოიტანა

- „ბოინში“ დაკვლა არ იყოო! - სამაგიეროდ, პატარა, მრგვალი, დაბრანული ბისკვიტის ფერი, 2-3 თვის ლეკვი მოიყვანა.

- ეს ვინდააო? - იკითხა მამაჩემმა.

- ეს ბისკვიტააო! - გააცნო გურამმა.

* * *

ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორს - ჰიდესაბურო უენოს, მისმა ყოფილმა მოწაფემ, აკიტას ჯიშის ძაღლი აჩუქა, რომელსაც პროფესორმა ჰაჩიკო დაარქვა.

ორი წლის განმავლობაში, ყოველდღე მიაცილებდა ჰაჩიკო

პატრონს სახლიდან სიბურიას სადგურამდე, სადაც პროფესორი მატარებელში ჯდებოდა და სამსახურში მიდიოდა. საღამოს, პაჩიკო ხვდებოდა მატარებელს და პატრონთან ერთად ბრუნდებოდა სახლში.

* * *

კიბის ქვეშ მიუწინეთ ბისკვიტას ადგილი. ოთხი თვისამ, უკვე ვაჟკაცურად დაიწყო ყეფა, ხუთი თვისა კი - ბაღში მეზობლის ღორებს არ აჭაჭანებდა. „ცალკარას“ თამაშისას, ბისკვიტა მეკარე იყო, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა - ბურთს თათებში რომ მოიმწყვდევდა, აღარ გვიბრუნებდა. ბადმინტონის თამაშისას, „ბამბიქტონს“ რომ ვეძახდით, მთავარი ბურთის მომტანი იყო. უფროსებს უხაროდათ, საჭმლის ნარჩენებს ნაგავში რომ აღარ ყრიდნენ. მხოლოდ მონადირეებს უშლიდა ნერვებს - რამდენჯერაც სანადიროდ წაიყვანეს, იმდენჯერ ხელცარიელები დაბრუნდნენ სახლში

- მინდვრის თაგვებს დასდევდა, უყეფდა და ბლის ხიდან ჩხიკვებს გვიფრთხობდაო! - ჩიოდნენ მონადირეები. რუსულში კარნახის წერისას, ბისკვიტა ჩვენიანი იყო

- დაანებე საწყალ ბავშვებს თავი, შეარგე არდადეგებიო! - უყეფდა ბებიაჩემს.

მოვიდა შემოდგომა. ჩავალაგეთ ბარგი-ბარხანა მამქანაში. ბისკვიტას თბილისში, კორპუსის ბინაში ცხოვრება გაჭირდებოდა, ამიტომ სოფელში, მეზობლის ბიჭს - გრიგოლას დავუტოვეთ მეორე ზაფხულამდე, მოსავლელად. სდია ბისკვიტამ ჩვენს მანქანას, მერე დაიღალა და ჩამორჩა.

ოქტომბრის ბოლოს, კაკლის ბერტყვაზე ჩავედით სოფელში. ბისკვიტა უკვე დიდი გაზრდილიყო. დაგვინახა, ღობეს გადმოევლო. ძაღლს ამხელაზე ახტომა თუ შეეძლო, არ ვიცოდი. გვეცემოდა, გაგვლოკავდა, მერე გაიქცეოდა, ეზოს წრეს დაარტყმდა, მოვარდებოდა და ისევ გვლოკავდა. გრიგოლამ

- საჭმელს ვაჭმევ, მაგრამ ღამით თქვენი კიბის ქვეშ სძინავს,

სახლს ყარაულობსო!

ისევ წამოვედით თბილისში, ისევ სდია ბისკვიტამ მანქანას...

* * *

ერთ დღეს, სამსახურში, პროფესორს გულის ინფარქტი დაემართა. ექიმებმა ვერ შეძლეს მისი გადარჩენა. ამ დღის შემდეგ, ჰარიკო სახლში აღარ წასულა. 10 წლის განმავლობაში, სიცოცხლის ბოლომდე ელოდა პატრონს. საჭმელს სადგურის მუშები აჭმევდნენ. მთელი იაპონიდან მიდიოდნენ მის სანახავად. სიკვდილის შემდეგ, ჰარიკო პატრონის გვერდით დამარხეს. სიბუიას სადგურზე კი, უანგარო სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლოდ, ძალლის ბრინჯაოს ქანდაკება დადგეს პოსტამენტზე წარწერით - „ერთგული ძალლი ჰარიკო“.

* * *

აღდგომას ჩავედით სოფელში. ნაადრევი აღდგომა იყო. სახლის გარშემო ჯერ კიდევ იდო სახურავიდან ჩამოყრილი თოვლი. თოვლს კიბის სახურავი დაენგრია და კიბეც გვერდზე იყო გადანოლილი. ბისკვიტა არ შეგვებებია. გრიგოლა გადმოვიდა მოსახმარებლად.

- ბისკვიტა სად არისო? - ვკითხეთ.
- რა ვიცი, დაიკარგა, ალბათ, დედალ ძალლს გაეკიდაო! - გვიპასუხა გრიგოლამ.

სანამ კიბეს გავასწორებდით, ნიჩბებით თოვლის გადახვეტა დავიწყეთ. თოვლის ქვეშ ბისკვიტა იწვა, შეკეცილ წინა თათებზე თავი ჰქონდა ჩამოდებული, თითქოს სძინავსო...

* * *

ბისკვიტასთვის ქანდაკება არავის დაუდგამს, სახლიდან მოშორებით დავმარხეთ ღობის ძირში. გახსენებითაც ამას წინათ გამახსენდა, გაზეთში სტატია რომ წავიკითხე „ერთგულ ძალლ ჰარიკოზე“.

ნაცარ ქეპია

იყო, და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ნაცარა ერქვა იმ კაცს და ქექია იყო გვარად. ნაცარა იმიტომ დაარქვეს, რომ კურდლლის ტუჩი ჰქონდა, ცალი თვალი გვერდზე გაურბოდა და კურდლელივით მშიშარა იყო. ნაცარა დღედაღამ ბუხართან იჯდა და ნაცარს ქექავდა. ძმებიც ჰყავდა ნაცარას - შმაგო და მახო. ისინიც ახლოს იყვნენ ნაცართან და ნაკვერჩხალთან - ტრასაზე ედგათ მაყალი. შმაგო ხორცს შამფურზე აცვამდა, მახო კი, შამფურზე აცმულ ხორცს მაყალზე ალაგებდა და მწვადებს წვავდა. ნაცარს კი, რიგრიგობით ქექავდნენ, რომ მწვადს სიმხურვალე თანაბრად განაწილებოდა და არ გამომშრალიყო. კლიენტებს, შმაგოს და მახოს საფირმო მწვადი მოსწონდათ და ამიტომ, მათ მაყალთან, მუდმივად ხალხი ირეოდა. საღამოს, იქვე, გზისპირა მაღაზიაში შეიტანდნენ მაყალს, ერთ შამფურ მწვადს გამოიყოლებდენ თავიანთი ბედოვლათი ძმისთვის და დაღლილები ბრუნდებოდნენ სახლში. სახლს კი - ერთ მინგრუულ, ხის ბოძებზე შემდგარ, ერთოთახიან, ყავრის სახურავიან, მამა-პაპურ ქოხს ეძახდნენ.

დილიდან გვიან საღამომდე მუშაობდნენ ძმები, რომ ფული შეეგროვებინათ და დიდი სახლი აეშენებინათ, თორემ ერთ ოთახში, სამ ძმას, ცოლები ვერ მოჰყავდათ. რამდენჯერმე უმცროსი ძმაც გაიყოლეს ტრასაზე, მაყალში ნაცრის საქექად, მაგრამ ნაცარას ხან დასცხა და მდინარეში ჩაწვა, ხან შესცივდა და გზისპირა მაღაზიაში შევიდა, ხან მოშივდა, ხან მოსწყურდა და მწვადი დაეწვა. მიხვდნენ ძმები, რომ მისგან არაფერი გამოვიდოდა და შეეშვნენ.

ერთ საღამოს, სახლში დაბრუნებულ ძმებს სავარძელში მოკალათებული ნაცარა დახვდათ, რაღაც ეკრანით ხელში.

- ეგ რა არისო? - ჰკითხეს ძმებმა.
- ეს აიპადია, ნაცარქექიას აპლიკაცია ჩავწერე, ნაცარს ვქექავ და ქულებს ვაგროვებო! - უპასუხა ნაცარამ.
- საიდან გაქვსო!
- ვიყიდეო!
- რა მიეციო?
- 2300 ლარი, ბოლო მოდელიაო!
- ამას, ეტყობა, სახლისთვის დაგროვილი ფული დაუხარჯავ-სო! - იღრიალეს ძმებმა და ნაცარას გაეკიდნენ, მაგრამ რას დაე-წეოდნენ, ისინი დაღლილები იყვნენ, ეს დასვენებული. გადაევ-ლო ღობეს და ტრასისკენ მოკურცხლა.
- აქ აღარ დაგინახონ ჩვენმა თვალებმაო! - მიაძახეს ძმებმა.
- ნაცარ ქექიამ დევი ვერ იპოვნა, რომ კისერზე შეჯდომოდა და ქალაქში ჩასულიყო, ახლა სხვა დრო იყო და სულელი დევები ისე თავისუფლად ვეღარ დათარეშობდნენ, როგორც ადრე. ამი-ტომ ტრასაზე დადგა, ცერანეული მარჯვენა ხელი გაიშვირა და ტრაილერით ჩავიდა ქალაქში „ავტოსტოპით“.
- ქალაქში ჩასულ ნაცარას, ბინა სჭირდებოდა და, კიდევ, ჭამა. გადაშალა თავისი, დევების ეპოქაში კარაბადინს რომ ეძახდნენ და ახლა „აიპადი“ ჰქვია, და „გუგლში“ აკრიფა სიტყვა „ბინა“. ამოყარა და რა ამოყარა, სულო და გულო - ფართის მიხედვით, ფასის მიხედვით, დროის მიხედვით და ოთახების რაოდენობის მიხედვით. აირჩია - ქალაქის ცენტრში, ოთხოთახიანი ბინა, მე-7 სართულზე, კარგი ხედით, ახლადგარემონტებული, ავეჯით გაწყობილი. დააწვა ჯადოსნურ ღილაკს და პირდაპირ ბინის პა-ტრონთან გავიდა ზარი
- ალო, ბინის ქირაობის თაობაზე გირეკავთ, მე ნაცარა ვარო!
- ოხ, თქვენ აგაშენათ ღმერთმა, მობრძანდით ბატონოო! - რა-ტომდაც, თავიდანვე სიმპათიით განიმსჭვალა მის მიმართ ბინის პატრონი.
- რამდენად აქირავებთო? - ჰკითხა ნაცარამ.
- 1200 დოლარად, მაგრამ თქვენთვის 1000 დოლარი ეღირე-

ბაო!

- წინასწარ რამდენი თვისა უნდა დაგიტოვოო? - ისე ჰქითხა ნაცარამ, თითქოს ჯიბე ასდოლარიანებით ჰქონდა სავსე.

- რას ბრძანებთ, თქვენისთანა კაცს, წინასწარ როგორ გა-დავახდევინებო?! - სიყვარულით დაღნა ბინის პატრონი. შევიდა ბინაში ნაცარა, ბატონივით გაიარ-გამოიარა, მერე ჩაკეტა, ჩაი-დო გასაღები ჯიბეში და „დეზერტირების“ ბაზრისკენ გაემართა ლუკმაპურის საშოვნელად.

* * *

იყო, და არა იყო რა, იყო მეორე კაცი. ხუტა ერქვა იმ კაცს და კუნჭულია იყო გვარად, და რადგან ხუტა კუნჭულიას მაისური ეცვა, გულზე ხუთიანით, ხუთკუნჭულა დაარქვეს. რვა ძმანი იყვნენ კუნჭულიები მაგრამ არც ერთი არ მუშაობდა. იკითხავთ - მაშ რას ჭამდნენო?! - რას ჭამდნენ და, მიადგებოდნენ საუზმის, სადილის და ვახშის დროს ძმები, ხუთკუნჭულას მეთაურობით, მეზობლის - ბაყბაყ-დევის სახლს და უყვიროდნენ

- ბინძურო დევო, მყრალო დევო, ცეცხლად შეგერგოსო! - მანამდე უყვიროდნენ, სანამ დევი არ გაბრაზდებოდა და საჭმელს ფანჯრიდან არ მოისროდა. ძმებსაც ეგ უნდოდათ, დაავლებდნენ საჭმელს ხელს და სახლში მიაცუნცულებდნენ. მოვიდოდა დევი აზრზე, გაეკიდებოდა და უყვიროდა

- ცოტა საჭმელი მაინც დამიტოვეთ, ვკვდები შიმშილითო! - მაგრამ წუნკი ძმები რას დაგიდევდნენ დევის შიმშილს. იმდენი ქნეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, დევი შიმშილით მოკვდა. დარჩენენ ძმები ულუკმაპუროდ, შიმშილით კუჭი უხმებოდათ.

- მოდი, ვინმეს მოჯამაგირედ დავუდგეთო! - გადაწყვიტეს და დაადგნენ ქალაქის გზას. ნაცარასავით, არც იმათ შეხვედრიათ გზაზე დევი, ამიტომ მატარებელს შეახტნენ და ისე ჩამოვიდნენ ქალაქში, ვაგზლის მოედანზე. მატარებლიდან ჩამოსულები, ხალხის ნაკადს გაჰყვნენ და „დეზერტირების“ ბაზარში ამოჰყვეს თავი.

* * *

იყო, და არა იყო რა, იყო ორი ქოსატყუილა - შალიკო და პალიკო. შალიკო მთიელი მეცხვარე იყო, პალიკო - იმერელი მეტყევე. ერთხელ, შალიკომ ჩაალაგა ტომარაში სიმინდის ფუჩეჩი, ზემოდან მოაყარა ცოტა მატყლი და წაიღო ქალაქში გასაყიდად. პალიკომ ჩაალაგა ტომარაში ნაძვის გირჩები, წააყარა ზედ ცოტა თხილი და იმანაც ქალაქში წაიღო გასაყიდად. წატახტართან შეხვდნენ ერთმანეთს.

- შენ რა გქვიაო?

- შალიკოო!

- რა მიგაქვსო?

- მატყლი მიმაქვს ქალაქში გასაყიდადო!

- შენ რა გქვიაო?

- პალიკო!

- შენ რაღა მიგაქვსო?

- თხილი მიმაქვს, ჩემო ბატონოო! - უპასუხა პალიკომ.

- მოდი, გავცვალოთ, შენ მატყლი წაიღე იმერეთში გასაყიდად, მე თხილს წავიღებ მთაში და გავყიდი. დროც დაგვეზოგება და ქალაქში ცხოვრების ხარჯიცო! - შესთავაზა შალიკომ. შეთანხმდნენ, გაცვალეს ტომრები და წავდნენ ერთი მთისკენ და მეორე იმერეთისკენ, მაგრამ პალიკომ ვერ მოითმინა, წეროვანთან მოხსნა ტომარას პირი, ამოურია ხელი, ნახა, რომ მატყლის მაგივრად, ტომარაში ფუჩეჩი იდო და დაბრუნდა უკან. შალიკომაც ვერ მოითმინა, მისაქციელთან მოხსნა ტომარას პირი, ნახა, რომ თხილის მაგივრად ტომარაში გირჩები იდო და ისიც დაბრუნდა უკან. ისევ წატახტართან შეხვდნენ ერთმანეთს.

- ყოჩაღ ძამიკო, შენც, ჩემსავით მაგარი ყოფილხარო! - უთხრა პალიკომ შალიკოს.

- ჩემი ხელობაა, მთელი ცხოვრება ხალხს ვატყუებო! - უპასუხა შალიკომ პალიკოს.

- მოდი დავმეგობრდეთო! - შესთავაზა პალიკომ.

- დავმეგობრდეთო! - დასთანხმდა შალიკო. აიკიდეს ტომრები

და ქალაქში ჩამოვიდნენ, „დეზერტირების“ ბაზარში, თხილის და მატყლის გასაყიდად.

* * *

„დეზერტირების“ ბაზრის გვერდით ქუჩა რომ ჩამოდიოდა, იმ ქუჩაზე იყო ერთი მაღაზია, რომლის ვიტრინაშიც, ხის ყუთებში დახარისხებული უამრავი სახეობის მცენარის თესლები იყო გამოფენილი. რა გინდოდა, სულო და გულო! - კიტრი, პომიდორი, ჭარხალი, სტაფილო, ქინძი, ოხრახუში, რეჰანი, კამა, ქონდარი, ნიახური, საზამთრო, გოგრა და სხვა ურიცხვი და უთვალავი. მაგრამ მერე, სახეობები შემცირდა, შემცირდა, შემცირდა და ბოლოს მარტო აბრა დარჩა, ხოლო ვიტრინის შუშაზე გამოკრული განცხადება იუწყებოდა - „იყიდება, ან ქირავდება“ და მითითებული იყო ტელეფონის ნომერი. ეს განცხადება მოხვდა თვალში ბაზარში მოსულ ნაცარას, დააძრო თავისი აიპადი, აკრიფა მითითებული ნომერი და პირდაპირ მაღაზიის მეპატრონეს დაელაპარაკა

- მე ნაცარა ვარ, თქვენი ფართი მჭირდება ოფისად და რამდენად მომაქირავებთო?

- მოვრიგდებითო! - უპასუხა მაღაზიის მეპატრონემ. მართლაც მორიგდნენ - თვეში 2000 დოლარად. ჩამოხსნა ნაცარამ ვიტრინიდან გაქირავების განცხადება და ახალი განცხადება გააკრა - „ვიღებ სამსახურში: ინტრიგნებს, აფერისტებს, მატყუარებს და მოძალადეებსო“. მოაწყდნენ სამსახურში მოწყობის მსურველები მაღაზიას, ხალხით გაივსო ქუჩა, მაგრამ ტესტებს, რომელსაც თვითონ, ნაცარა ადგენდა, ყველა ვერ პასუხობდა. მესამე ტურის შემდეგ, მარტო თერთმეტი კაცილა დარჩა: - თვითონ ნაცარა, რვა ძმანი კუნჭულიები, შალიკო და პალიკო.

* * *

იმ ქალაქში, მთაზე შემომდგარ ციხე-სიმაგრეში ცხოვრობდა დევი-უბაყბაყესი, დევების დევი და ქალაქის მბრძანებე-

ლი. უჭკვიანესი, უმდიდრესი და უძლიერესი, ტანად მცირე და ლოგიკა დახვენილი. გარეთ რომ გამოდიოდა, მზეს ეშინოდა და ჩადიოდა, ამიტომ მისი დამნახავი არავინ იყო. თუ მისი სახელის ხსენება გინდოდა, ორივე ხელი მაღლა უნდა აგერია, თვალები უკან გადაგეტრიალებინა და „ოოო!“ აღმოგხდენოდა.

* * *

ააწყო ნაცარამ საქმე - იპოვნიდა აიპადში ვინმე ბიზნესმენს და პალიკოს გაგზავნიდა მოსალაპარაკებლად. მივიღოდა პალიკო ბიზნესმენთან

- ნაცარ ქექიამ შემოგითვალა, ბიზნესის წილში ჩამსვი, თორემ აგაოხრებო! - ბიზნესმენებს წაკითხული ჰქონდათ ნაცარქექიას ზღაპარი

- მაგან დევებს რა უყო, და ჩვენ რას გვიზამსო?! - ფიქრობდნენ ბიზნესმენები და შემინებულები თანხმდებოდნენ. თუ არ დათანხმდებოდნენ, შალიკო მიადგებოდა მის სახლს და უწყებდა ყვირილს

- ხალხის შრომით გამდიდრებულო ბიზნესმენო, მუცელგასახ-ეთქო ბიზნესმენო, წაეთრიე აქედანო! - თუ ესეც არ უშველიდა, მიდიოდნენ რვა ძმა კუნძულიები, ხუთკუნძულას თამადობით და ისე „დაამუშავებდნენ“ ურჩ ბიზნესმენს, რომ „თავისი ნებით“ უფორმებდა ნაცარას მთელ ქონებას. თუ ფული მოაკლდებოდათ და მოშივდებოდათ, წავიდოდნენ სამნი ძმანი კუნძულიები - ხუთ-კუნძულა, გიგილო და გივილო უბაყბაყესთან შემოწირულობის სათხოვნელად. გიგილოს თვალების გადატრიალება ეხერხებოდა, გივილოს - „ოოო!“ - ს სათქმელად ჰქონდა პირი მოწყობილი, ხუთკუნძულა კი - ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოვებული. მიადგებოდნენ უბაყბაყესის გალავანს, შეავედრებდნენ თავს უზენაესს და იღებდნენ სარჩო-საბადებელს.

ერთხელ, შალიკოს მოშივდა. ისუნსულა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. ბედად, კუნძულიებიც ბიზნესების „ასახევად“ იყვნენ წა-სულები. გადაწყვიტა შალიკომ, თვითონ მისულიყო უბაყბაყეს-


თან და საჭმელი მოეთხოვა. მართლაც, მიადგა მის გალავანს, მაგრამ რადგან არც თვალების გადატრიალება ეხერხებოდა, არც „ოოო!“ -ს სათქმელად ჰქონდა პირი მოწყობილი და მხოლოდ ყვირილი გამოსდიოდა კარგად, პირდაპირ შეტევაზე გადავიდა

- ხალხის შრომით გამდიდრებულო დევო, მუცელგასახეთქმ დევო, წაეთრი აქედანო! - გაგიუდა უბაყბაყესი, სულ ცოფები ჰყარა. წაცარა დაიბარა თავის ციხე-კოშკში. შეეშინდა წაცარას, არ შემჭამოსო და არ მივიდა. უბაყბაყესმა, ქვეშევრდომები - იუსუფა და ალხანა გაგზავნა წაცარას ოფისში, მაგრამ იქ ძმები კუნძულიები დახვდნენ და სულ პანჩურების რტყმით გამოჰყარეს. მაშინ კი, გადაირია უბაყბაყესი დევთა-დევი, ღრიალით გამოვარდა გარეთ. მზე შეშინებული დაიმალა, უკუნი ჩამოწვა. ცაზე, ტყვიისფერ ღრუბლებში, ელვამ გაანათა და გამოჩნდა, ის, რომლის სახელია... ხალხი მუხლებზე დაეცა, ხელები ცისკენ აღაპყრო და აღმოხდა „ოოო!“

* * *

...და მართავდა ქალაქს, კიდევ დიდხანს, უბაყბაყესი. გვერდში აღარ ედგნენ იუსუფა და ალხანა, სამაგიეროდ, ჰყავდა ირმისა, რომელიც, სხვები თუ წლობით იზრდებოდნენ, ის დღეობით იზრდებოდა.

„დეზერტირების“ ბაზრის გვერდით კი, სადაც ცოტა ხნის წინ სიცოცხლე სჩექეფდა და „ახეული“ ბიზნესების გადაფორმება მიმდინარეობდა, მაღაზიის ვიტრინის ზემოთ, მარტო აბრა დარჩენილიყო, რომელზეც, თეთრ ფონზე წითელი ასოებით ეწერა - „თესლები“.



ერთგულება გულისა

გვიან ღამით, სახლში მისულს, მკერდზე თავს მიადებს. თამ-თა, თამ-თა, თამ-თა - რითმულად ძგერს თორნიკეს გული. ის კი, ცოლს ხელებს შემოხვევს და შუბლზე კოცნის. ყოველი დღე, სიცოცხლესთან თამაშია, მაგრამ ასეთს გაჰყვა, ასეთი მოსწონს, ასეთი უყვარს.

* * *

ქუჩაში მწყობრად ჩაყენებული - ბმვ, ჰონდა, კავასაკი, იამაპა, სუძუკი - ღრიალით რომ იკლებენ არემარეს. ქართული როდეო, გაუხედნავ ცხენებზე ამხედრებული რაინდები - ერთი სული რომ აქვთ, მოსწყდნენ ადგილს და გადაეშვნენ ნეტარებაში. ერთი კერპის - სიჩქარის თაყვანისცემის სურვილით გაერთიანებული ახალგაზრდები, რომელთათვისაც ბაიკი - ცხოვრების სტილია და არა უბრალოდ, სწრაფი გადაადგილების საშუალება.

მათი მიზანი არაა ქუჩებში ხმაურის მოწყობა, მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა ან ახალგაზრდების თავიანთ რიგებში გასა-აერთიანებლად მოზიდვა. მთავარი მიზანი ყოველდღიური, ერთ-ფეროვანი ცხოვრებიდან გაქცევა, განსხვავებულობის შენარჩუნება, სიძლიერის გამოვლენა და სიახლის განცდაა. მათი დევიზია - ერთი ყვლასათვის, ყველა ერთისათვის. აცვიათ ტყავის ქურთუკები, ახურავთ „ვერმახტის“ ჩაფხუტები, ხელზე უკეთიათ სისხლის ჯგუფის მანიშნებელი სამაჯური - ავარიის შემთხვევაში და თითქმის ყველას დაწერილი აქვს ანდერძი, ორგანოების ტრანსპლანტაციის ნებაყოფლობით თანხმობაზე - სიკვდილის შემთხვევაში.

ისინი მზად არიან, ფრთების გასაშლელად, სიკვდილის შიშის დასაძლევად და უსასრულობასთან შესაერთებლად.

* * *

სახეზე მიტკლის ფერი, ჩამოსიებული უპეები, სითხის დაგროვებისგან გაბერილი მუცელი, გაბრიგინებული ფეხები, ქოშინი, ლოგინიდან წამოდგომის საშუალებას რომ არ აძლევს.

დიტოს ბავშვობიდან აქვს გულის პრობლემა - ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია - გულის კუნთის და პარკუჭებს შორის ძგიდის გასქელება, რაც ხელს უშლის მარცხენა პარკუჭის შეკუმშვას და ორგანიზმში სისხლის მიწოდებას, რაც იწვევს გულის უკმარისობას. ამ ბოლო დროს მდგომარეობა უფრო გართულდა - განდევნის ფრაქცია 15%-მდე შემცირდა, რასაც დაერთო მუცლის ღრუში სითხის დაგროვება და არითმია. გულის გადანერგვა - ესაა 18 წლის დიტოს გადარჩენის ერთადერთი საშუალება. მისი მონაცემები გაგზავნილია გულის ტრანსპლანტაციის ბანკში, მაგრამ რომელი ქართველი დათანხმდება მისი მიცვალებულის ორგანოების გადანერგვას? - დიტო განნირულია, ბედს შეგუებულია!

* * *

- თორნიკემ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა, გზიდან გადავიდა და ბოძს შეეჯახა, რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი! - შუალამით დაურეკეს თამთას.


- თავის ტვინის მრავლობითი დაზიანება, ფუძის მოტეხილობა - სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრამვები, ახლა ოპერაცია უტარდებაო! - უთხრეს საავადმყოფოში. მესამე დღეს გარდაიცვლა. პანაშვიდები, სამძიმრები, დაკრძალვა. საფლავთან, მწყობრად ჩაყენებული ბმვ, ჰონდა, კავასაკი, იამაჟა, სუძუკი - ღრიალით რომ იკლებენ არემარეს. ქართული როდეო, გაუხედნავცხენებზე ამხედრებული რაინდები - თვალნათლივ რომ ხედავენ

შედეგს და მაინც, მზად არიან უსასრულობაში გადასაშვებად.
ბოლოს სიცარიელე, ამოუვსებელი, უშველებელი სიცარიელე.

* * *

- 12 დღის წინ, ჯო ენის კლინიკაში, საქართველოში პირველად, წარმატებით ჩატარდა გულის გადაწერგვის ოპერაცია. პაციენტი პალატაშია გადაყვანილი და თავს კარგად გრძნობსო! - გადმოსცეს ახალ ამბებში.

ბიჭმა გაკვირვებულმა შეხედა პალატაში შემოვარდნილ, შავებში ჩაცმულ უცნობ გოგონას... თამ-თა, თამ-თა, თამ-თა - ავადმყოფის თავთან, კარდიოგრაფის მონიტორზე, რითმულად წერდნენ მის სახელს გულიდან გამოსული იმპულსები.



პიზნესმანი

ამბობენ, ბიზნესმენს, თუ უნდა რომ წარმატებული ბიზნესი ჰქონდეს, სამ რამეში უნდა დაემსგავსოს ზვიგენს.

* * *

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში ყველაფერი მოიშალა. მაღაზიები გამოცარიელდა. პროდუქტი მხოლოდ ბაზარში იშოვებოდა და იმასაც ცეცხლის ფასი ედო.

ლაშა კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, მაგრამ რად გინდა, ხელფასი მანამდეც არ ყოფნიდა, მშობლების დახმარება რომ არა, ბავშვები შიმშილით დაეხოცებოდა, ახლა კი, ინფლაციას, მამამისის სამსახურის დახურვაც დაემატა. მამის „ნივაზე“ დაჯდა და ტაქსაობა დაიწყო. იმ საგიუვეთში, ეს ძალიან სარისკო იყო. მაინც გადიოდა ღამით სატაქსაოდ, მაგრამ სამხედრო ფორმიანებს რომ არ გაუჩერა, იმათ ავტომატის ჯერი მიუშვეს, დილით სამი ტყვია საბარგულში იპოვა და ერთიც სალონში, მიხვდა, რომ სიკვდილს გადაუჩერა. ცხვარი შეუთქვა და საღამოს 6 საათის მერე, ავტომანქანა აღარ გაუყვანია.

ადრე, სამსახურში, ერთ ბიჭთან ძმაკაცობდა - ჯემალა ქისიევთან - კარგი ბიჭი იყო, მაგარი სპეციალისტი, სკოლაშიც ქართულად სწავლობდა და ინსტიტუტშიც. ოსური კი არა, რუსულიც არ იცოდა წესიერად, მაგრამ საქართველოში რომ ატყდა ამბები

- ოსები გამოვავლინოთ და საქართველოდან გავაძევოთ, როგორც ოსებმა გამოაძევეს ქართველებიო! - და სამსახურში ნაუცბათევად შექმნილმა ეროვნული მოძრაობის კომიტეტმა

სამჯერ დაიბარა და ახსნა-განმარტება ჩამოართვა, მოკიდა თავის ცოლ-შვილს ხელი და ბესლანში გადავიდა საცხოვრებლად. იქ, ვიღაც ადგილობრივებს „ჩაუსასტავდა“ და არყის ჩამომსხმელ საამქროში დაიწყო მუშაობა.

- კარგად მოვეწყე, წამოიყვანე შენი ცოლ-შვილი და ჩამოდიო!
- დაურეკა ლაშას.

- რომ ჩამოვიდე, მშობლები ვის დავუტოვო, დარდით დაიხოცებიან, თუ შეგიძლია, პროდუქტი ერგნეთში ჩამოიტანე, მე იქ დაგხვდები, თბილისში ჩამოვიტან, გავყიდი და ერთ კვირაში ფულს მოგაწვდიო! - შეთანხმდნენ, რამდენიმე რეისიც გააკეთეს. ოჯახმა ცოტა ამოისუნთქა, მაგრამ ერთხელ, ერგნეთიდან რომ მოდიოდა დატვირთული, შავშებთან, ვიღაცებმა „ტროსი“ გაუჭიმეს. გვიან შეამჩნია და ავტომანქანის მობრუნება ვერ მოახერხა, პირდაპირ მიადგა „ტროსი“. ფანჯრის აწევაც ვერ მოასწრო, „აბრეზკა“ მიადეს, მანქანიდან გადმოაგდეს და ფეხით გაუშვეს სახლში. ავტომანქანა ერთი კვირის მერე იპოვა, თხრილში გადავარდნილიყვნენ და იქვე დაეტოვათ. რა თქმა უნდა, ერგნეთიდან წამოღებული პროდუქტი მანქანაში აღარ იდო. წამოათრია ავტომანქანა და სახლში დააგდო. ჯემალას დაურეკა

- ასე და ასე მომივიდა, არ შევირჩენ, ფულს შევაგროვებ და მოგაწვდიო!

- მაგაზე არ ინერვიულო, მოდი, გავაგრძელოთო! - უპასუხა ჯემალამ, მაგრამ ლაშამ არ ქნა

- სანამ ფულს არ გადაგიხდი, თვალებში ვერ შემოგხედავო!

ერთხელ, ღამით, მეზობელს ავტომანქანა მოპარეს. ქუჩაში აჩერებდა, თავისი ფანჯრების ქვეშ. ისე წაიყვანეს, ვერავინ გაიგო. მილიციაში რომ განაცხადა, იქ უთხრეს

- ჩვენ რა გიყოთ, შენი ავტომანქანა უკვე აზერბაიჯანში იქნება გადაყვანილი, სიგნალიზაცია რომ გქონდა დაყენებული, ვერ წაიყვანდნენო! - ეს, ლაშამ რომ გაიგო,

- რა კარგი აზრიაო! - გაიფიქრა. დახაზა სქემა, იშოვა დე-

ტალები, ააწყო სიგნალიზაციის ბლოკი. არ გაჭირვებია, რადგან ელექტრონიკის სპეციალისტი იყო, დეტალები კი, მშრალ ხიდზე, კაპიკებში იშოვებოდა. საცდელად, მეგობრის ავტომანქანაზე დააყენა. სიგნალიზაციამ კარგად იმუშავა, ჩავარდნა არ ჰქონია. ააწყო რამდენიმე სიგნალიზაციის ბლოკი, ეზოში, მამამისის ავტოფარეხიდან გამოიტანა რაც ნაგავი იყო და სახელოსნოდ გადააკეთა. დააბეჭდინა სავიზიტო ბარათები და პროფილაქტიკებში დაურიგა ავტომანქანის „ელექტროკებს“. მათთან რომ მივიდოდნენ სიგნალიზაციის დაყენების მსურველები, ისინი კლიენტებს აძლევდნენ ლაშას სავიზიტო ბარათს და მასთან უშვებდნენ. ისიც, უყენებდა კლიენტს ავტომანქანაზე სიგნალიზაციას, ფულს ართმევდა და საღამოს 20%-ს აძლევდა გამომგზავნს. როგორც კი ფული ხელში მოიგდო, ჯემალას დაურეკა, ერგნეთში შეხვდა და ვალი დაუბრუნა.

საქმე კარგად ნავიდა, რიგი დაუდგა. ვეღარ ასწრებდა სიგნალიზაციის ბლოკების აწყობას და მერე დაყენებას, ამიტომ, ბავშვობის მეგობარი გია და მისი ძმა, დათო ჩართო საქმეში, რომლებიც მანამდე სახლში ისხდნენ და, უსაქმურობისგან, ყოველდღე სვამდნენ. თვითონ სიგნალიზაციის ბლოკებს აწყობდა, გია და დათო ავტომანქანებზე აყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ლაშას დაწყებული იყო, საწყისი ფული მან ჩადო, ფართიც მისი იყო და კლიენტებიც მისგან მოდიოდნენ, ფულს ძმაკაცურად, სამად ყოფდა.

თბილისში კიდევ ორი ძმა აყენებდა ავტომანქანებზე სიგნალიზაციებს. ლაშას შემოუთვალეს

- თუ გინდა, პრობლემები არ შეგექმნას, ამ საქმეს შეეშვიო! - ლაშა იმ ძმებიდან ერთ-ერთს შეხვდა, თითქოს მოილაპარაკეს, ერთიან ფასზეც შეთანხმდნენ, მაგრამ, ერთ ღამეს, ვიღაცამ ავტოფარეხს ბენზინი შეასხა და ცეცხლი წაუკიდა. კიდევ კარგი, შიგნით ავტომანქანა არ იდგა, თორემ მაგარ ზარალში ჩავარდებოდნენ. კიდევ უნდოდა შეხვედრა, მაგრამ ძმებმა არ გაიკარეს.

საქმის გაგრძელება სარისკო იყო. გია და დათო ძველებურად, ლოთობას დაუბრუნდნენ. მარტო დარჩენლმა ლაშამ ხელი ჩაიქნია და ამ საქმეს შეეშვა.

მამამისის დამტვრეული „ნივის“ გარემონტება გადაწყვიტა. სავალი ნაწილი დაზიანებული არ იყო, მაგრამ მარჯვენა მხარეს ფრთა და კარი იყო გასასწორებელი. გაიკითხა თუნუქის ხელოსნები, მაგრამ შესადუღებლად ზოგს კარბიდი არ ჰქონდა და ზოგს უანგბადი. ისევ გაუნათდა გონება

- ძალიან კარგიო! - თქვა და საქმეს შეუდგა. იყიდა ორი, 160 ვატიანი ტრანსფორმატორი, 100 მეტრი 0,4 მმ-იანი ტრანსფორმატორის სადენი. ქავთარაძის დასაწყისში, ახლა გუდვილი რომ არის, მაშინ ტროლეიბუსების ტრესტი იყო, რომლის ეზოშიც ტროლეიბუსის სპილენძის სადენების მთები იდგა. იქიდან წამოიღო მსხვილი სადენები და დაიწყო აწყობა. ორ დღეში წერტილოვანი შედუღების აპარატი მზად ჰქონდა, რომელიც პირდაპირ, 220 ვოლტიანი ქსელიდან იკვებებოდა. ორ, 2მმ-იან თუნუქის ფურცელს, ისეთი წერტილით ადუღებდა, რომ მათ დასაცილებლად „ზუბილა“ და ჩაქური იყო საჭირო. ხელოსანთან რომ მიიყვანა ავტომანქანა და თავისი გაკეთებული წერტილოვანი შედუღების აპარატი აჩვენა, ხელოსანი გადაირია

- ოღონდ ეგ მომეცი და შენს ავტომანქანას უფასოდ გავარე-მონტებ და შევღებავო.

* * *

ზვიგენს იმდენად მგრძნობიარე ყნოსვის რეცეპტორები აქვს, რომ ძალიან დიდ მანძილზე გრძნობს საკბილოს.

* * *

პირველ რიგში, ფირმა დაარეგისტრირა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმპულსი“. დამფუძნებლები სამნი იყვნენ - ლაშა, გია და დათო, თანაბარი წილით. თავისი ბი-

ნის სარდაფში გამართა სახელოსნო. ელექტრულ ნაწილს თვითონ აკეთებდა, მექანიკურს - გია და დათო. კვირაში სამ ცალს ამზადებდნენ და კვირის ბოლოს, ლაშას „ნივით“ მიქონდათ პროფილაქტიკებში გასაყიდად. მალე, წასვლა აღარ სჭირდებოდათ, კლიენტები თვითონ მოდიოდნენ. კასპის ელექტროსაწარმოში მიაგნო ტრანსფორმატორებს, ჩადიოდა და გარკვეულ რაოდენობას ყიდულობდა, მაგრამ ერთხელაც რომ ჩავიდა, ტრანსფორმატორები გაყიდული დახვდა - სპილენძად ჩაებარებინათ. სპილენძის სადენების მთებიც სადღაც გამქრალიყო. წერტილოვანი შედუღების აპარატების წარმოება გაჩერდა. გია და დათო ისევ სახლში ჩასხდნენ და არყით ინუგეშებდნენ თავს.

ლაშა ჯემალას დაუკავშირდა

- მანდ გამიგე, ტრანსფორმატორები და ტროლეიბუსის სპილენძის საზები თუ იშოვებაო?!

- ერთ კვირაში ჯემალამ შემოუთვალა

- ერგნეთში ჩამოდი და გამოგატანო! ლაშამ გიას და დათოს დაუძახა

- ბიჭებო, მასალა ვიშოვე, ფულია საჭიროო!

- ფული არა გვაქვს და საერთოდ გავდივართ მაგ საქმიდანო! - უპასუხეს გიამ და დათომ. ირბინა, სესხება-სესხებით მოაგროვა ფული, ჩავიდა ერგნეთში, ქართულ ტრაილერში გადმოცალა მასალა და თბილისში ჩამოიტანა. სახლის გვერდით ავეჯის ფაბრიკა იყო. იქ იქირავა ფართი და მასალა დაასაწყობა. უკვე იწყებდა დამხმარეს ძებნას, გია და დათო რომ მოადგნენ

- მოდი, საქმე გავაგრძელოთო! - ბავშობის ძმაკაცები იყვნენ, მეზობლები, ერთად გაზრდილები. რა უნდა ექნა?

- კარგი, ოღონდ ყოველი თვის ბოლოს, მოგების ნახევარი გავიყოთ, მეორე ნახევარი, ბიზნესის განვითარებისთვის გადავდოთო! - განაახლეს საქმე, ისევ დაუდგათ რიგი. მალე, ლითონის საჭრელი დანადგარი იყიდეს, მერე წნეხი - სპილენძის ელექტროდების დასაწენებად, ავტომატური სახვევი - პირველადი სად-

ენების დასახვევად.

„იმპულსის“ დირექტორად ლაშა დაინიშნა. წარმოების უფრო-სი მიიღეს, ბულალტერი და მომმარაგებელი. მუშა პერსონალი დაიქირავეს დანადგარებზე სამუშაოდ. გია და დათო მარტო ფულის ასაღებად მიდიოდნენ წარმოებაში, დანარჩენ დროს, ან სახლში ისხდნენ და კონიაკით ეპრძოდნენ უსაქმურობას, ან კი-ევში მიფრინავდნენ, უკრაინელ გოგოებთან გასართობად. ბინე-ბი იყიდეს, ახალი მანქანები დაიყენეს.

დაინახა ლაშამ, რომ საწარმოს უფრო მეტის გაკეთება შეეძ-ლო, ვიდრე წერტილოვანი შედუღების აპარატები. მუდმივი დე-ნის რკალური შედუღების აპარატების გამოშვება დაიწყო. მერე „კემპის“ აპარატი დააპროექტა და წარმოებაში ჩაუშვა. ვოლ-ფრამის ელექტროდებიანი ფერადი ლითონების შესადუღებელი აპარატი გამოუშვა. ვაჟაზე, პირველ სართულზე იქირავა ფართი და შედუღების აპარატების მაღაზია გახსნა.

* * *

ზვიგენი სულ მოძრაობს. მას ისე აქვს ლაყუჩები მოწყობილი, რომ თუ გაჩერდა, დაიხრჩობა.

* * *

აქამდე, გია და დათო თუ თვის ბოლოს მიდიოდნენ საწარმოში და კუთვნილს იღებდნენ, მერე თვეში ორჯერ, ან სამჯერ დაადგე-ბოდნენ თავზე მოლარეს და სეიფს უსუფთავებდნენ. ითმინა ლა-შამ, ბავშვობის ძმაკაცები იყვნენ და წყენინება არ უნდოდა

- ალბათ, რაღაცაზე დასჭირდათ და მერე ანგარიშს გაას-წორებენო! - მაგრამ, რომ ალარ გაჩერდნენ, ბოლოს, დაუძახა და უთხრა

- ორგანიზაციაში სამოძრაო ფული აღარ რჩება, რამდენიც გე-კუთვნით, იმაზე მეტს ნუ იღებთო!

- შენ ვინ ხარ, ფულს რომ გვინაწილებ? თუ ბევრს იხტუნავებ,

ხმათა უმრავლესობით, გაგათავისუფლებთ დირექტორობიდან! - უთხრეს გიამ და დათომ.

დაფიქრდა ლაშა, ან ბიზნესი უნდა დაეთმო, ან ძმაკაცები და ბავშვობის ტკბილი მოგონებები. ბიზნესის დათმობა არჩია. გადაუფორმა გიას და დათოს თავისი წილი და წავიდა ახალი ბიზნესის დასაწყებად.


* * *

ზვიგენს მეგობრები არ ჰყავს.

* * *

ერთ წელიწადში, „იმპულსს“ დიდი ვალები დაედო და დაიხურა.

- ხედავ, თვითონ თავს უშველა, ნაყინის საწარმოთი მიღიონებს შოულობს, წამგებიანი ბიზნესი კი, ჩვენ დაგვიტოვაო! - წუწუნებდნენ გია და დათო.



მარიტა

ცირკის ჩამოსასვლელის მეორე მხარეს, შიშველი პრომეთეს ძეგლი რომ იდგა და მერე ბორჯომის პარკში გადაიტანეს, ხიდის თავში, სკამზე, მოკლე, წითელ კაბაში ჩაცმული, ძალიან გამხდარი, შუახნის ქალი ქუჩისკენ ზურგით იჯდა და მტკვარს გადაჰყურებდა.

* * *

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში ცხოვრობდნენ ოთარა და ნაზი ალადაშვილები. ხუთი შვილი ჰყავდათ - ხუთივე გოგო. მეექვსეზე იყო ნაზი ფეხმძიმედ. დანამდვილებით იცოდა ოთარამ, რომ ამჯერად ბიჭი იქნებოდა. სახელიც ჰქონდა შერჩეული - ნოდარა - მამამისის სახელი.

- ესეც რომ გოგო გამოვიდეს, მოვიჭრი, მაგის დედა ვატირეო!
- ქეიფის დროს, ბიჭებთან დაიქადნა ოთარამ.
- ბიჭის რა მოგახსენოთ, მაგრამ დიდთავა გოგო კი დაიბადა - ქეთო. წლინახევრისამ აიდგა ფეხი და პირველი სიტყვა სამი წლისამ წარმოსთქვა.

ვერ შეიყვარა ოთარამ ნაბოლარა შვილი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გოგო იყო, მეორე იმიტომ, რომ დიდთავა იყო და გავლა-გამოვლაზე თავში წამოუტყაპუნებდა ხოლმე, მესამე იმიტომ, რომ სიტყვა ვერ შეასრულა, ვერ მოიჭრა და ამიტომ სოფელში, „უნაკლო ოთარა“ შეარქვეს.

გაიზარდა ქეთო. ტანი აიყარა, თავს დაეწია და პროპორციები შეავსო. „საძაგელი იხვის ჭუჭული“ მშვენიერ გედად გადაიქცა:

- თხელი, აშოლტილი ტანი; სწორი, წაბლისფერი თმა; ხორბ-

ლისფერი კანი; გადაკალმული წარბები; პატარა ცხვირი; ვარდ-ისფრად შეფაკლული ლოყები; ლამაზი ტუჩ-კბილი, მოკლედ, სოფელში ამბობდნენ

- გოგლა ლეონიძის „მარიტა“ გაცოცხლებულაო! - და ზედ-მეტსახელადაც, მარიტა შეარქვეს. ისე შეეჩინა ამ სახელს, რომ ქეთოს დაძახებაზე აღარც იხედებოდა.

მარიტა, მართალია დიდი ჭკუით არ გამოირჩეოდა, ან როგორ იქნებოდა ჭკვიანი, რაც მაგას თავში ტყაპუნი ჰქონდა, მაგრამ მის სისულელმდე გულუბყვილობას მისი სილამაზე ანეიტრალებდა. თანატოლებში გამოირჩეოდა და მთელი სოფლის ბიჭებს თვალი მასზე ეჭირათ, რაც გოგოებში უკმაყოფილებას იწვევდა და აშკარად თუ ფარულად მტრობდნენ - მის გულუბყვილობას იყენებდნენ და ისეთ სიტუაციებს უწყობდნენ, რომ ყოველდღე ნამტირალევი მიღიოდა სახლში.

ერთ დღესაც, გალიმებული მივიდა მარიტა სახლში. დედას მოუყვა

- ერთმა ბიჭმა მთხოვა, მანქანაში ჩავჯდომოდი და გავყოლოდი, ალიომას გოგომ - ლალიმ მითხრა

- ნუ გეშინია, ჩემი მეგობარიაო! - ჩავუჯექი მანქანაში. იმან კიდევ

- უურნალის რედაქტორი ვარ, სტუდიაში წავიდეთ, შენი სურათი უნდა დავბეჭდო უურნალის გარეკანზეო! ამიყვანა ბინაში

- ჩემი სტუდიააო! - მერე მითხრა

- ცოლად მინდა მოგიყვანო, უნდა შეგამოწმო, ქალიშვილი ხარ თუ არაო! - მეც, ხომ ვიცოდი, რომ ქალიშვილი ვიყავი,

- შემამოწმეო! - ვუთხარი. შემამოწმა და რომ ნახა ქალიშვილი ვიყავი, დაწყნარდაო. გაგიუდა ნაზი, შემოიკრა თავში ხელები. სახლში მისულ ოთარას მოუყვა.

- თავი მომჭერი, შე ძალლიშვილომო?! - ნაჯახით გაეკიდა ოთარა. დაიწყეს მაგიდის გარშემო სირბილი. ნაზი კიოდა და მეზობლებს უხმობდა საშველად. ამ დროს, მათი სახლის წინ შავი „მერ-

სედესი“ გაჩერდა, იქიდან წარმოსადეგი მამაკაცი გადმოვიდა და სახლში შევიდა

- დაჯექიო! - უთხრა ოთარას. ისიც დაემორჩილა.

- შენს შვილთან ჩემი ბიჭი ყოფილა, ცოლად შერთვას არ აპირებს, თუ ბიჭი შეეძინება, 20000 დოლარს მოგცემ, თუ გოგ - 10000 დოლარს, ოღონდ ბავშვს მე წავიყვანო! - ყველა გაკვირვებული მისჩერებოდა მოსულს.

ცხრა თვე ცივ ნიავს არ აკარებდნენ მარიტას. ცხრა თვის თავზე გოგო შეეძინა. აიღო 10000 დოლარი ოთარამ, 2000 ლარი მშობიარობის საფასური დაამატებინა, ბავშვი გადასცა, მარიტას კი, ხელწერილი დააწერინეს, რომ ბავშვს არ მოითხოვდა.

სოფლის ბიჭები აღარ ასვენებდნენ მარიტას - ზოგი ცოლად მოყვანას პირდებოდა, ზოგი ფუფუნებას და ზოგიც - საქართველოს დედოფლობას. იჩხუბა ოთარამ, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა, ამოარტყა წიხლი

- ჩემთან ვეღარ იცხოვრებ, მარცხენ სოფელშიო! - და სახლიდან გამოაგდო.

დაადგა მარიტა ქალაქის გზას, ავტობუსით ჩამოვიდა თბილისში, ვაგზლის მოედანზე. ფული არ ჰქონდა, რომ ღამის გასათევი ეშვოვა და ამიტომ ქალაქში დაინყო სეირნობა. თამარ მეფის გამზირს ჩაუყვებოდა გმირთა მოედნამდე და მერე უკან ამოუყვებოდა. ცირკთან „ოპელმა“ წაუჩერა

- რამდენი გინდაო? - ჩანეული ფანჯრიდან ჰკითხა მძღოლმა.

- რაო? - დაიბნა მარიტა.

- ფული რამდენი გინდაო?

- არ ვიციო! - სულმთლად გაშტერდა.

- კარგი, დაჯექი, მოვრიგდებითო! - უთხრა მძღოლმა, გადაინია და მარჯვენა კარი გაულო.

- ალბათ, ასეა საჭიროო! - მარიტა არც დაფიქრებულა, ისე ჩაჯდა. მძღოლმა მანქანა ცირკის ასასვლელში აიყვანა, მარცხენა მხარეს შეაყენა, შარვალი ჩაიწია და მარიტასაც უთხრა

- გაიხადეო!

- ალბათ, ქალაქის წესიაო! - გაიხადა მარიტამაც. მძღოლმა თავისი საქმე მოათავა, 5 ლარი მისცა

- ეს გამომართვი, გეყოფაო! - და მანქანიდან გადმოსვა. იმ ღამით კიდევ გაუჩერეს მანქანა. რომ ჰკითხეს

- რადენი გინდაო?

- 5 ლარიო! - უპასუხა მარიტამ. უკვე 10 ლარი ჰქონდა, ვაგზალზე დაბრუნდა, „დეზერტირების ბაზართან“, სასტუმროში. 5 ლარად იშოვა ღამის გასათევი და მეორე 5 ლარი საჭმლისთვის დაიტოვა.

მეორე ღამესაც გაისეირნა თამარ მეფის გამზირზე, მესამე ღამესაც, და მერე, ყოველ ღამე სეირნობდა.

ერთხელაც, ჯიპი გაჩერდა. მანქანას მინები დაბურული ჰქონდა და ნომრის მაგივრად „ბიცოლა“ ეწერა. მძღოლის გვერდით მსუქანი ქალი იჯდა. ჩამოწეული ფანჯრიდან

- ჩაჯექიო! - უპრძანა მარიტას.

- მე კაცებთან ვმუშაობ, ქალები არ მაინტერესებსო! - შეეწინააღმდეგა მარიტა.

- აჲა, თუ კაცები გინდაო! - ორი ვერზილა კაცი გადმოხტა, მარიტა ოთხად დაკეცეს და მანქანაში შეაგდეს.

* * *

აბანოთუბანში, სანამ ჭრელ აბანოსთან მიხვალ, ხელმარცხნივ, გრიშაშვილის ქუჩაზე, „გულოს აბანოს“ კუთხეში, კიდევ ერთი აბანო იყო. მერე დაანგრიეს და იმ ადგილზე სასტუმრო ააშენეს, მაგრამ მაშინ, სამსართულიანი შენობა იწონებდა თავს, ნაირ-ნაირ ფერებში მოციმციმე წარწერით - „პოსეიდონი“.

ცოლიანი თუ უცოლო, ხნიერი თუ ახალგაზრდა, თბილისელი თუ ჩამოსული, ნასვამი თუ ფხიზელი, ყველა მამაკაცი, ვისაც „ინსტრუმენტი“ გამართულად უმუშავებდა და ავხორციობის შინი

მოუვლიდა, „პოსეიდონში“ იყრიდა თავს. იქ საბანაოდ არავინ მიდიოდა, ამიტომ საფასურის გადახდის შემდეგ, მოლარე, პირ-სახოცთან და საპონთან ერთად, ყოველი შემთხვევისთვის, ორ ცალ პრეზერვატივსაც გაწვდიდა. ამის შემდეგ, იწყებოდა ახალი ეტაპი - ქალის არჩევა.

- რა ლირს ქალიო? - შეეკითხებოდი კუთხეში მჯდომ ბებოს, რომელსაც როზა ბაბოს ეძახდნენ.

- მარიტა - 100, ლარისა - 70, დანარჩენები - 50 ლარიო!

- მარიტა მინდაო!

- მარიტას დააგვიანდება, ახალი შესულიაო!

- მაშინ, დაველოდებიო! - და ასე ელოდებოდნენ მარიტას რიგში ჩამდგარი კაცები. აუცილებლად VIP-ნომერი უნდა აგელო მეორე სართულზე, რომელიც ორჯერ ძვირი ღირდა, თორემ ქვე-მოთ, ჩვეულებრივ ნომრებს, მარიტა არ ემსახურებოდა. ნომერში შესვლამდე, მესამე სართულზე, ბარში უნდა ასულიყავი და გა-საცნობად, შამპანურსა და შოკოლადზე დაგეპატიუა.

ღამეების თენებამ, კაცების მომსახურებამ, სასმელმა და სი-გარეტმა თავისი კვალი დაასვა მარიტას. 27 წლისამ „ინფლაცია“ განიცადა, VIP-მომსახურებიდან გამოაგდეს და დაბლა ნომრებ-ში ჩაუშვეს. ცოტა ხანში, საერთოდ გამოუშვეს „პოსეიდონიდან“. საღამოობით გამოდიოდა პავლოვზე, ტაქსის ქირაობდა და იქ ელოდებოდა 30 ლარად კლიენტებს. მალე მუშაობა შეუმცირდა, მერე სულ გაჩერდა. ვაგზალთან გადავიდა, 10 ლარად ემსახურე-ბოდა „დეზერტირების ბაზრის“ გამყიდველებს. ბოლოს 5 ლარად, ცირკთან დაბრუნდა, ისევ იმ ადგილზე, საიდანაც დაიწყო მისი „კარიერული აღმასვლა“.

* * *

ამ ბოლო დროს, ის ქალი ვეღარ დავინახე პრომეთეს ძეგლთან ხიდის თავში მჯდომარე. მის ადგილას მოკლეკაბიანი და ქალის

პარიკიანი ბიჭები ისხდნენ.

- აქ შუახნის, გამხდარი ქალი რომ „მუშაობდა“, სად არისო? - ვკითხე მე.

- ა, მარიტა? დაბერდა, ვეღარ „მუშაობდა“, ჩვენ ვუყოფდით ლუკმას, ამბობენ, მტკვარში გადახტაო! - მიპასუხეს ქალის კაბაში გამოწყობილმა ბიჭებმა.

* * *

შობის ლიტანიობაზე ვიყავი ქაშვეთის ეკლესიაში. ერთმა, შავებში ღრმად მობურულმა, ძალიან გამხდარმა მონაზონმა მიიქცია ჩემი ყურადღება - მუხლმოყრილი, ანთებული კელაპტრით ხელში, წმინდა მარიამ ეგვიპტელის ხატთან აღავლენდა ლოცვას...

ღმერთო, ძლიერო, შეგვინდე ჩვენ, ცოდვილთ! ამინ!



მასწავლებელი

- რას ჰერცოგის ნიკას საქციელი, სულ გააგიშა ისედაც გადარეული ბავშვებიო, - მეხივით გრგვინავდა დირექტორის ხმა.

- ასეთი მასწავლებელი ჩვენს სკოლას არ სჭირდებაო! - ჰყვებოდა დირექტორს სასწავლო ნაწილის გამგე.

* * *

ჩემი კლასი თითით საჩვენებელი იყო. თითით საჩვენებელი - კარგი კი არა, თითით საჩვენებელი - ცუდი. მაგრამ, ვინც ჩვენი კლასისკენ თითს ცუდად გამოიშვერდა, ძირში ვაჭამდით. ბიჭებიც და გოგოებიც, ყველა ერთი ჭკუისა შევიყარეთ - გაკვეთილებს არ ვსწავლობდით, მასწავლებლებს გაკვეთილების ჩატარებას საშუალებას არ ვაძლევდით. სკოლას არ ვაცდენდით და შატალოზეც იშვიათად დავდიოდით, რადგან ქალაქში გასართობი უნდა გვეძებნა, აქ კი, კლასში, გამრთობები თავისი ფეხით შემოდიოდნენ და, როგორც წესი, გაკვეთილის დამთავრებამდე გარბოდნენ. მაგრამ, ვინც ზარის დარეკვამდე გმირულად გაგვიძლებდა, ან საჯდომზე აწებებული ჭიკარტებით მიდიოდა, ან უკან მიმაგრებულ ფურცელზე დაწერილი თავისი არსების შესატყვისი ეპითეტით, ან, ზედმეტი ყვირილისა და ხავილისგან, ერთკვირიანი ჩავარდნილი ხმით. იყო შემთხვევები, როცა მასწავლებელს სამივე „ჯილდო“ ერთ შემოსვლაზე მიულია.

ერთი ხანობა, უნდოდათ ჩვენი კლასი დაეშალათ და სხვადასხვა პარალელურში გადაენაწილებინათ, მაგრამ იმ კლასების დამრიგებლებმა ისეთი ამბავი ატეხეს:

- მაგ ნაგვებს ჩვენს სადამრიგებლო კლასში არ მივიღებთო! -

რომ გადაიფიქრეს და სადამსჯელო კლასად გაიხადეს - ვინც არ სწავლობდა, ჩვენთან გადმოჰყავდათ.

კლასში მარტო ერთი ახვარი გვყავდა - გოჩა, მაგრამ ვერ ვცემ-დით, რადგან დირექტორის შვილი იყო. დღესაც ვერ ვხვდები, რა უნდოდა ჩვენს კლასში. ცინიკოსი იყო, ყველას დასცინოდა, გან-საკუთრებით, დაბადებიდან ნახევრად პარალიზებულ ლადოს. იმ ახვრულ თვალებში ბოროტი სხივი გაუკრთებოდა და

- შენ რა ცალყბად იცინიო?! - ან კიდევ:

- ორივე თვალით შემომხედე, ცალი სად გაგირბისო?! - თან, კი არ იცინოდა, იკრიჭებოდა.

* * *

მაშინ მე-11 კლასში ვიყავი, ნიკა ფიზიკის მასწავლებლად რომ მოვიდა ჩვენს სკოლაში. ახალგაზრდა იყო, ასე, 25 წლის, მაღალი, გამხდარი, მოკლედშეკრეჭილ თმას და წვერს ატარებდა, გარეგ-ნულად ამპარტავანს ჰერთა და გამოიყენებოდა. მოკლედ, არ დაგვევასა. მითუ-მეტეს, რომ ჩვენი კლასი სადამრიგებლოდ მას ჩააბარეს.

- ბავშვებო, ნიკა მოდის, ზოოპარკი მოვუწყოთო! - კლასში შემოვარდა ირაკლი. კარი ჩავკეტეთ და დავიწყეთ: - ზოგმა ყივი-ლი, ზოგმა კაკანი, ზოგმა ყეფა, ჭიხვინი, ხვიხვინი, ყიყინი, სისინი, ყმუილი, კიკინი, კნავილი, ღრიალი და კიდევ, ვინ მოთვლის, რა ხმებს გამოვცემდით. მოაწვა ნიკა მასწავლებელი კარს და, რომ ვერ გააღო, ყროყინი ატეხა. გაკვირვებისგან ყველა გავჩუმდით, მარტო მისი ყროყინი ისმოდა. შემოვუშვით. ჩუმად ვისხედით, მი-ვხვდით, რომ ის დღე მოგებული ჰქონდა და პატივისცემას იმსახ-ურებდა.

- მე ნიკა მქვია, მეგობრები ნიკუშას მეძახიან, თუ გინდათ, თქვენც მასე დამიძახეთო! - ისე უშუალოდ გვითხრა, მივხვდით, რომ ჩვენდაუნებურად, მასში მტერს ვეღარ დავინახავდით. იმ დღეს, გაკვეთლი არ აუხსნია, თავისი ამბები მოგვიყვა. მაგრამ, მიუხედავად პირველი დამარცხებისა, ყველაფერი ნინ იყო, ასე

ადვილად არ დავნებდებოდით.

სამი დღის შემდეგ, ფიზიკის გაკვეთილზე, ნიკუშა მასწავლებელი რომ შემოვიდა, ყველა იატაკზე მჯდომარე დავხვდით. ცოტა ხანს გვიყურა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოილო, იატაკზე დაიფინა, დაჯდა და გაკვეთილის ახსნა დაიწყო. ნელ-ნელა, ახლოს მივუცუცქდით. ვხვდებოდით, რომ გაკვეთილს გვიხსნიდა, მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო - არა ტვინის ჭყლეტა, არა ჩიჩინი, არა გაურკვეველი ტერმინების რახარუხი ან უსასრულო ფორმულების ჯდაბნა, არამედ საინტერესო ამბების ნაზავი, რომლიც სხვა, პარალელურ სამყაროს დაგანახებდა და სურვილს გაგიჩენდა, სახლში წიგნი გადაგეშალა და გესწავლა, როგორ გეპოვა გასაღები იმ სამყაროში მოსახვედრად.

* * *

- ეს რა წესია, ნიკას გაკვეთილზე, მოსწავლეებიან-მასწავლებლიანად იატაკზე სხედანო!

- თავში კარგად როგორც ჩაუვათ, ისე ისხდნენ, ტუალეტში წიგნის კითხვას ხომ სჯობსო?!

- მე მაგ კლასში აღარ შევალო! - გამოაცხადა ქართულის მასწავლებელმა და ყურები ისე გაუწითლდა, რომ, ნაღდად ტუალეტში ჯდომისას ეუფლებოდა მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს.

- კარგი, ქართულის გაკვეთილებსაც მე ჩავუტარებო. - ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

* * *

მოკლედ, ნიკუშა მასწავლებელი სულ უფრო და უფრო ახლოს მოდიოდა გულთან, მაგრამ ერთ-ერთი გაკვეთილის ბოლოს, ძირს დამსხდრები ფეხზე რომ ვდგებოდით, ზურგზე გადაბრუნებული ლადო წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ არ გამოსდიოდა - ხელებს და ფეხებს უმწეოდ იქნევდა, სანამ მივეხმარებოდით, გორიამ დაცინვა დაუწყო:

- მაისის ხოჭოს არ ჰერგის, ზურგზე რომ დაეცემა და გადმო-ბრუნებას ცდილობსო?! - ნიკუშასგან ყპაში სილა რომ მიიღო და გაკრეჭილი კბილებიდან სისხლი და ახვრული თვალებიდან ცრემლი ერთდროულად წასკდა, მაშინ საბოლოოდ შეგვიყვარდა. ბიჭებმა გოჩა გვერდზე გავიყვანეთ

- თუ უჩივლებ და სკოლიდან გააგდებენ, დედა გეტირებაო!
- არ უჩივლია, მაგრამ დირექტორმა თავისი შვილი სხვა კლასში გადაიყვანა, ნიკუშა კი, ჭირივით შეიძულა.

* * *

- ნიკას კლასში, მოსწავლეები უჩიანთოდ დადიან, წიგნები არ დააქვთო!

- წიგნი სახლში სჭირდებათ, თორემ სადაც მასწავლებელია, იქ წიგნი რად უნდაათო?!

- მე მაგ კლასში აღარ შევალო! - გამოაცხადა მათემატიკის მასწავლებელმა.

- კარგი, მათემატიკის გაკვეთილებსაც მე ჩავუტარებო. - ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

* * *

მოყოლის რაღაცნაირი მანერა ჰქონდა, ყველაფერი თავისით იძეჭდებოდა ტვინში. მათემატიკაში მიმატება და გამოკლება მეტ-ნაკლებად ვიცოდით, მაგრამ გამრავლების და გაყოფის დროს, პლუს და მინუს ნიშნები გვეშლებოდა.

- მათემატიკის საფუძვლები ადამიანთა ურთიერთობებზეა დამყარებულიო! - აგვიხსნა ნიკუშამ.

- ჩემი მეგობრის მეგობარი ჩემი მეგობარია - პლუსის ნამრავლი პლუსზე გვაძლევს პლუსს; ჩემი მეგობრის მტერი ჩემი მტერია - პლუსის ნამრავლი მინუსზე გვაძლევს მინუსს; ჩემი მტრის მეგობარი ჩემი მტერია - მინუსის ნამრავლი პლუსზე გვაძლევს მინუსს და, ბოლოს, ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია - მინუსის

ნამრავლი მინუსზე გვაძლევს პლუსსო! - ასე, თამაშ-თამაშით, ცხოვრებისეული მაგალითების მოშველიებით, სულ თავიდან დაგვაწყებინა ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია.

* * *

- ნიკას გაკვეთილზე რაღაც ცდებს ატარებენ, აფეთქების ხმები ისმის და სუნი გამოდისო!

- თეორიას, პრაქტიკული მეცადინეობის გარეშე, ფასი არ აქვსო!

- მე მაგ კლასში აღარ შევალო! - გამოაცხადა ქიმიის მასწავლებელმა.

- კარგი, ქიმიის გაკვეთილებსაც მე ჩავუტარებო. - ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

* * *

ერთ დღეს, შატალოზე წავედით. ატეხა დირექტორმა ერთი ამბავი, თითქოს სხვა კლასის ბავშვები არ წასულან შატალოზე. ნიკუშა დაიბარა

- აი, შენი კლასი შატალოზე წავიდა, რაც მასწავლებელი ხარ, ის მოსწავლები გყავსო!

- ორი კაცი ვერ პოულობს საერთო ენას, 22-მა ბავშვმა შეძლო საერთო იდეის გარშემო გაერთიანება, ეს დიდი ძალაა, ამ ძალას, თუ კეთილი საქმეების საკეთებლად მივმართავთ, კარგ შედეგს მივიღებთ. ასე რომ, მე კმაყოფილი ვარ, რომ წავიდნენ, მაგრამ მეწყინა, მეც რომ არ წამიყვანესო! - უპასუხა ნიკუშამ და ერთხელაც დაიმსახურა სასტიკი საყვედური.

* * *

- ჩემს გაკვეთილზე ნიკას კლასს ეძინაო!

- წარმოგიდგენიათ, მაგ ბავშვებმა რომ დაიძინეს, რა უინტერესო გაკვეთილი ყოფილაო!

- მე მაგ კლასში აღარ შევალო! - გამოაცხადა ისტორიის მას-ნავლებელმა.

- კარგი, ისტორიის გაკვეთილებსაც მე ჩავუტარებო. - ჩაილაპარაკა ნიკუშამ.

* * *

სკოლიდან დიდი ხნის გაგდებული იქნებოდა, რომ არა ჩვენი კლასი - ვერცერთი მასწავლებელი ვერ შემოდიოდა. მე-12 კლასში, ყველა გაკვეთილს ნიკუშა გვიტარებდა. ექვსის ნაცვლად, დღეში სამ საათს გვამეცადინებდა. თვითონ სახლში ემზადებოდა, როგორ უნდა აეხსნა, რომ გაკვეთილი საინტერესო ყოფილიყო.

- მე იმას აგიხსნით, რაც წიგნში არ წერია, თორემ რაც წერია, იმას უჩემოდაც წაიკითხავთო!

- ნიკუშა მასწ, ალექსანდრე მაკედონელი უფრო მაგარი იყო, თუ დავით ალმაშენებელიო? - ისიც გვიხსნიდა, რაში იყო მაგარი ალმაშენებელი და რაში - მაკედონელი. კლასში, გაზქურაზე შემოდგმულ ქვაბში მოთუხთუხე სოსისების მაგალითზე გვასწავლიდა სითბოგადაცემის პროცესებს, ბოლოს სოსისის და შავი პურის დაგემოვნებით რომ ვამთავრებდით. იდეალური გაზებისთვის, მენდელეევ-კლაპეირონის განტოლების თვალსაჩინოებისთვის, გავიანგარიშეთ და ჩვენი ხელით ავანყეთ სტირლინგის dრავის უმარტივესი მოდელი. წყლის ელექტროლიზით დავშალეთ წყალი და მიღებული წყალბადიც დავაბათქუნეთ. ერთადერთი, რასაც ნიკუშა სახლში ვერ ამზადებდა, ინგლისური იყო, რადგან არ იცოდა, მაგრამ, მისი ხათრით, ინგლისურს კი არა, ჩინურს ვისწავლიდით. ბავშვები რიგრიგობით ვატარებდით ინგლისურის გაკვეთილს. ჩვენთან ერთად, ნიკუშაც სწავლობდა.

* * *


ასე გაიარა ორმა წელმა. სკოლა დავამთავრეთ, გამოცდებიც

ჩავაბარეთ, მაგრამ დირექტორმა არ დაიჯერა:

- ეტყობა, ნიკამ იხიმანდრა რაღაცაო! - პედსაბჭო მოიწვია
 - რას ჰგავს ნიკას საქციელი, სულ გააგიშა ისედაც გადარეული ბავშვებიო, - მეხივით დაიგრგვინა დირექტორის ხმამ.
 - ასეთი მასწავლებელი ჩვენს სკოლას არ სჭირდებაო! - აჰევა დირექტორს სასწავლო ნაწილის გამგე.
- უსიტყვოდ დაწერა განცხადება განთავისუფლებაზე, დადო სამასწავლებლოში მაგიდაზე და სკოლიდან წავიდა. იმ დღიდან, ნიკუშა მასწავლებელი აღარ გვინახავს. ამბობენ, ამერიკაში წავიდაო. გაგვიხარდა, რომ მასაც გამოადგებოდა ჩვენგან ნასწავლი ინგლისური ენა.

* * *

იმ ზაფხულს, ჩვენი კლასის 22 ბავშვიდან 17, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩავირიცხეთ.



„პანასონიკი“

თეთრ კაბაში გამოწყობილს, კლასელები დაბადების დღეს მიულოცავენ, ირგვლივ შემოეხვევიან, ყვავილებს მიართმევენ. როგორ უყვარს ყვავილები... არ მივიდნენ... ის კი, ფანჯარასთან იჯდა და იღიმოდა, ალალი, მოსიყვარულე ღიმილით.

* * *

47 ქრომოსომა, 46-ის ნაცვლად, და კიდევ, გულის მანკი, მშობლებისგან მემკვიდრეობით მიიღო. მრგვალი, ცისფერი თვალები, გამობერილი უპეები, პაჭუა ცხვირი, განზე გასული ლოყები, სწორი თმა, დიდი და კუთხეებში ყურებისკენ აქაჩული, დაღებული პირი, მუდამ მომლიმარის შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა და ენას ვერ აკავებდა. ტანად დაბალს, კოტიტა თითები, მოკლე ხელები და ფეხები ჰქონდა. თამაშის დროს ვერ დარბოდა და ლაპარაკისას ენა ებმოდა. ისეთი ბრტყელი სახე და კეფა ჰქონდა, რომ ბავშვებმა, ტელევიზორს მიამსგავსეს და „პანასონიკი“ შეარქვეს.

* * *

დაუნის სინდრომი ყველაზე გავრცელებული ქრომოსომული დაავადებაა, რომლის დროსაც, ნაცვლად 46 ქრომოსომისა, 21-ე წყვილში, გვხვდება დამატებით ერთი ქრომოსომა, რასაც 21-ე წყვილის ტრისომია ეწოდება.

* * *

პატარაობიდანვე, ოჯახს რცხვენოდა მისი გარეთ გაყვანა. სტუმრად რომ წავიდოდნენ, უმცროს ძმას წაიყვანდნენ, „პანასონი-

კი“ კი, ბებიასთან რჩებოდა. თუ სტუმრები მოვიდოდნენ, ცალკე ოთახში კეტავდნენ. უყვარდა ფანჯარასთან ჯდომა და ოცნება. ოცნება, რომ ბავშვებთან ითამაშებდა, ისაუბრებდა და მასაც მოუსმენდნენ, არ დასცინებდნენ. ეს ოცნება მას მერე გაუჩნდა, რაც დედამ წაიყვანა საავადმყოფოში და იქ თავისნაირი ბავშვები ნახა. რა კარგად გაერთნენ, ბევრი ითამაშეს. დაჯდებოდა ფანჯარასთან და ლიმილით ელოდებოდა სტუმრების წასვლას და ოთახის კარის გაღებას.

* * *

დაუნის სინდრომს აქვს ყველაზე თვალშისაცემი ფიზიკური გამოვლინება: - ბრტყელი პროფილი; მრგვალი თვალები; მოდუნებული კუნთები; ჩაბრტყელებული კეფა; გაღებული პირი; პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა; ბრტყელი ცხვირის ძგიდე; პატარა კიდურები; მოკლე თითები; მოკლე კისერი დანაოჭებული კანით; დაბლა მდგარი ყურები.

* * *

8 წლისა, პირველ კლასში შეიყვანეს და ინკლუზიური სწავლების პროგრამაში ჩართეს. გაკვეთლებს ვერ სწავლობდა, წერა-კითხვაც არ იცოდა. ვერც ათამდე თვლა ისწავლა. გაკვეთილზე იღლებოდა, რაღაცას წამოიძახებდა, ადგებოდა და დადიოდა, ან იატაკზე განვებოდა. მასწავლებელი ბრაზობდა და ეჩეუბებოდა, ის კი იღიმოდა. ვიღაც ფსიქოლოგი გამოგზავნეს განათლების სამინისტროდან, ინკლუზიურ ბავშვთან სამუშაოდ, მაგრამ პირველსავე სემესტრის ბოლოს სინდისმა შეაწუხა, დაწერა განცხადება და წავიდა, რადგან ფსიქოლოგია ისევე იცოდა, როგორც „პანასონიკმა“ - უმაღლესი მათემატიკა. მასწავლებლები თავს არიდებდნენ და უარს ამბობდნენ კლასის დამრიგებლობაზე. ბოლოს, ერთ, გასაგდებად განწირულ მასწავლებელს ჩააბარეს „პანასონიკის“ კლასი. მასაც რა ექნა, ცოდნა და გამოცდილება არ ჰყოფნიდა - მთელი ოთხი გაკვეთილი გვერდით ეჯდა

და მასთან ერთად თამაშობდა, რომ გაკვეთილის ჩატარების შესაძლებლობა მისცემოდა.

* * *

დაუნის სინდრომის თანდართული დაავადებებია: გულის თანდაყოლილი მანქი, ლეიკემია და გონებრივი ჩამორჩენილობა.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა და არიან ცნობისმოყვარენი.

* * *

მშობლები დაირაზმნენ „პანასონიკის“ მოსაცილებლად - სკოლაში მივარდნა და ჩხუბი ჩვეულებრივი ამბავი გახდა

- ჩემმა ჭკვიანმა შვილმა ამ დებილთან ერთად რატომ უნდა ისწავლოსო?!

- ამ კლასში რატომ მოიყვანესო!

- მაგის გულისთვის, გაკვეთილები ვერ ტარდებაო!

- რაღა ჩემი ბავშვის გვერდით დასვით, მეშინია, არაფერი დაუშავოსო!

- აგრესიულია, თურმე, გუშინ ფანქარს ცუდად ატრიალებდაო! - ჩიოდნენ მშობლები და ხელს მისკენ იშვერდნენ.

- რა ჩვენი ბრალია, განათლების სამინისტროდან მოითხოვეს მაგის ამ სკოლაში მიღება, იაქტიურეთ და თქვენსას მიაღწევთო!

- აგულიანებდნენ მშობლებს მასწავლებლები.

- მოაშორეთ სკოლიდან თქვენი შვილი, ხომ ხედავთ, რომ ჩვენს შვილებს სწავლაში ხელს უშლისო! - რამდენჯერმე სახლში მიუვარდნენ მშობლები „პანასონიკის“ მშობლებს. ხვდებოდა, რომ მასზე ბრაზობდნენ, მაგრამ მაინც იღიმოდა.

* * *

მშობლების და მასწავლებლების აგრესია ბავშვებსაც გადაედოთ - დებილს ეძახდნენ, მასთან არ მეგობრობდნენ, დასცინოდნენ, მის ყოველ ნათქვამზე სიცილით იჭაჭებოდნენ, არ

ეთამაშებოდნენ. ბოლო დროს, ხშირად უხდებოდა გული ცუდად, დაეცემოდა, გალურჯდებოდა და მთელი სკოლის მოსაბრუნებელი ხდებოდა. მშობლებსაც ამოუვიდათ ყელში, სკოლიდან გამოიყვანეს და სახლში გამოკეტეს. მთელი დღე, იჯდა ფანჯარასთან, თავის ოცნებებში ჩაძირული და იღიმოდა.

* * *

ამ გაზაფხულზე გარდაიცვალა „პანასონიკი“, გულის მწვავე უკმარისობით. თეთრ კაბაში გამოწყობილი, ყვავილებში იყო ჩაფლული. ირგვლივ კლასელები შემოხვეოდნენ. ყველა ტიროდა, მხოლოდ „პანასონიკი“ იღიმოდა თავისი ალალი, მოსიყვარულელიმილით.



შვილი მომავლიდან

უსიამოვნო ხმაურმა გააღვიძა. ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ვერ მიმხვდარიყო, ასე რამ ააღელვა, თითქოს, არაფერი იყო უჩვეულო, თუმცა, გული ცუდს უგრძნობდა.

- იქნებ გადაიფიქროო?! - გარედან შემოესმა უცხო ხმა.
- ყველაფერი გადაწყვეტილიაო! - დედის ხმა იყო. გულზე მოეშვა. დაწყნარდა. ინსტინქტმა კარისკენ მიაბრუნა. ღია კარში უშველებელი მარწუხი შემოდიოდა. გვერდზე გახტა, კედელს შეეჯახა. მარწუხი გამოეკიდა, დაჭერას ცდილობდა. ყვიროდა, შველას ითხოვდა, მაგრამ მისი ყვირილი არავის ესმოდა. ბოლოს, მარწუხმა კედელთან მიიმწყვდია, მთელი ძალით ბეჭებზე მოუჭირა...

* * *

- შენი შვილი გაიცანიო! - უთხრა ხმამ სიბნელიდან.
- მე შვილი არ მყავსო! - უპასუხა ქალმა.
- ის შენს ნინ დგასო! - უთხრა იგივე ხმამ.
ქალმა მხედველობა დაძაბა. მის ნინ, 40-ოდე წლის, უცხო მამაკაცი იდგა.

სახეს დააკვირდა და შიშისგან უკან გადახტა - საკუთარი ახ-ალგაზრდობის ანარეკლი შემოჰყურებდა.

- ნუ გეშინია, დედა, შენი შვილი ვარო! - უთხრა უცხო მამაკაცმა.
- აქამდე სად იყავიო? - ჰკითხა ქალმა.
- რაც ერთმანეთს დავშორდით, აქ ვცხოვრობ, მაგრამ სულ შენ გვერდით ვიყავიო! - უპასუხა შვილმა.

* * *

ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვაო, მეგიზე არ გავრცელებულა, რადგან მისი კვერი ადრე გამოცხვა, და ისიც კუტი - 20 წლით უფროსმა, ლოთმა მეზობელმა მოიტაცა, საცხოვრებლად თავისთან გადაიყვანა და, ეჭვიანობის ნიადაგზე, ცოლის ცემა-ტყეპა, ქმრის უზენაეს მოვალეობად გაიხადა. ხვდებოდა ქმარი, რომ ცოლმა ვერ შეიყვარა, შვილიც არ გაუჩინა და ამიტომ, საღამოობით, ნაბახუსევზე დედის გინება და აყალ-მაყალი, დანის ტრიალით მთავრდებოდა. რამდენჯერმე გადაუ-რჩა სიკვდილს - მეზობელთან დაიმალა.

* * *

- დედა, გახსოვს, მთვრალი მამაჩემი მოსაკლავად რომ დაგ-დევდა და მეზობელი თავისთან გმალავდა, ის ქალი, ჩემი აქაური მეგობრის დედა იყოო!

* * *

მეგი ქმარს გაექცა. ჯერ მეგობარმა შეიფარა, მერე ბინა იქ-ირავა, მაგრამ სამსახური არ ჰქონდა და ქირა რითი უნდა გა-დაეხადა?! თავის თავთან დიდი ბრძოლის შემდეგ, გადაწყვიტა ღა-დამით ქუჩაში გასულიყო. ძველმანებში იპოვა ახალგაზრდობის დროინდელი მოკლე კაბა, მოკლე მაისური, შედგა მაღალ ქუსლე-ბზე და ქუჩაში გავიდა. ტროტუარზე, ფეხებში რაღაც გაებ-ლანდა. დაიხედა. საფულე ეგდო. ქუჩა ცარიელი იყო, საფულეს პატრონი არ ჩანდა. აილო, ჯიბეში ჩაიდო. სახლში დაბრუნდა. გახსნა. საფულეში საჭმელზე ორი კვირის და ბინის ქირის სამყო-ფი ფული იდო.

* * *

- ძალიან რომ გაგიჭირდა, ღამით ქუჩაში გასვლა გადაწყვიტე და ტროტუარზე დაგდებული საფულე იპოვე, ის საფულე, ჩემი აქაური მეგობრის ძმამ დაგიგდოო!

* * *

გაზეთში განცხადება გამოქვეყნა სამსახურის დაწყებაზე. არავინ გამოხმაურებია. შიმშილით კუჭი უხმებოდა. ისევ ქუჩაში გასვლა გადაწყვიტა, ოღონდ, ახლა სამათხოვროდ. შესაბამის ტანსაცმელს რომ ირგებდა, ტელეფონმა დარეკა - დიდ ორგანიზაციაში შესთავაზეს ბუღალტრის თანაშემწის ადგილი. სიხარულით დასთანხმდა.

* * *

- ბატონმა ტარიელმა რომ დაგირეკა და თავისთან, სამსახურში მოგაწყო, ბატონი ტარიელი ჩემი აქაური მეგობრის მამააო!

* * *

გათხოვების ეშინოდა, ქმარი რომ გამოჩენილიყო, მოკლავდა. მერე გაიგო, რუსეთში წასულიყო ვითომ სამუშაოდ და იქ, მთვრალს, ქუჩაში დასძინებოდა, ზედ დაეთოვა და გაყინულიყო. გაზაფხულზე იპოვეს, ყინული როცა დადნა.

* * *

- ამას წინათ, მამაჩემი იყო მოსული, შემცივნებული იყო. მაღაროში დააწყებინეს მუშაობა - ცეცხლფარეშადო!

* * *

დაბერდა. გათხოვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. თუმცა სამსახურში დადიოდა, მაგრამ სახსრების ტკივილმა შეაწუხა, მთელი ღამე კვნესოდა, თეთრად ათენებდა. შვილი მაინც დარჩენოდა, პატრონი ეყოლებოდა, შვილიშვილებში გაიხარებდა. ბოლო ერთი კვირა სახლიდან არ გასულა, თავის ლოგინში მიიცვალა მარტოსულად. მეზობლებმა დამარხეს სამადლოდ.

* * *

- ეჰ, დედი, ყველაფერი უკეთესად იქნებოდა, მამაჩემის ჯიბრით, ჩემთვის, დაბადებამდე სიკვდილი არ მოგესაჯაო!

ოცნების ადგილი

პირველად, ქალალდზე რომ რაღაც დაჯღაბნა და ჰკითხეს:

- რა დახატეო?

- ჩემი სახლიაო! - უპასუხა. იმ დღიდან მოყოლებული, ყოველი ახალი წახატი, სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა სახლს. ნელ-ნელა ოთახები გამოიკვეთა, მერე მეორე სართული დაემატა თავისი აივნით, გადაიხურა, კიბე მიედგა, პატარა ეზო მოეწყო.

- ჩემი სახლია, მაღალი, ნათელი, ყველა აქ ვიცხოვრებთ, ერთ, დიდ, ტკბილ ოჯახადო! - ოცნებობდა.

* * *

მესამე მასივში გაიზარდა, „ხრუშჩივკაში“, ორი ოთახისგან რომ შედგებოდა და ისეთი პატარა სამზარეულოსგან, ოჯახის წევრები ერთად ვერ ეტეოდნენ და რიგრიგობით საუზმობდნენ. სიმაღლეშიც, თითქოს ჭერის ზომის მიხედვით იზრდებოდნენ, მეტრანახევარს ვერცერთი ასცდა, ამიტომ, თამამად დაკიდეს „ზალაში“ ჩეხური ბროლის ჭალი, მაგრამ უფროს დას რომ შეუყვარდა ორმეტრიანი ოყლაყი, სახლში მიიყვანა გასაცნობად, იმან კიდევ, ბროლის ჭალს გასდო თავი და წირვა გამოუყვანა, სა-სიდედრომ სასიძოს გამოუცხადა

- თუ გინდა, რომ ჩემი შვილი მოგათხოვო, აქ რომ მოხვალ, წაკუზულმა იარეო! - ჩამოკიდეს ახალი ჭალი, დადიოდა სიძე წაკუზული, მაგრამ სიდედრ-სიმამრი, ბურტყუნით, მაინც, დამტვრეულ ბროლის ჭალს ახსენებდა.

* * *

გათხოვებაზე ბევრი არ უფიქრია, დის შეცდომა არ გაიმეორა, ჭკუა იხმარა და ისეთ ბიჭს გაჰყვა, თავით ჭალს რომ ვერ სწვდებოდა. ქორნილი, საქორნინო მოგზაურობა, სიტკბო, სიყვარული. ქმრის სამოთახიან, მაღალჭერიან ბინაში დაიწყეს ცხოვრება დედამთილ-მამამთილთან და მულთან ერთად. წლისთავზე ბიჭი შეეძინათ. გადაპატიუება-გადმოპატიუება, მისვლა-მოსვლა, სუფრების გაშლა. მერე მძახალთა ჯახი, ლანძღვა-გინება, წყევლა-კრულვა, ჩხუბი-აყალმაყალი, მივარდნა-მოვარდნა. ცოლ-ქმარი, ბავშვიანად, ნაქირავებში გადავიდნენ.

მერე დაიწყო - ეროვნული მოძრაობა, თბილისის ომი, სამაჩაბლო, აფხაზეთი, მხედრიონი, გვარდია, საძმოები, უმანქანო ქალაქი, პურის რიგები, ჩაბნელებლი ბინები, ნავთქურა, უშაქრო ჩაი, თურქული მარგარინი, „სალიარკის ფეჩი“.

ქმარს სოფელში პატარა ნაკვეთი ჰქონდა. შაბათ-კვირას იქ ჩადიოდნენ მიწის დასამუშავებლად. მოხნეს, დათესეს, გამარგლეს, მოსავალი აიღეს - ერთი ტომარა კარტოფილი, 7 კილოგრამი ლობიო, მოუნეველი სიმინდი და ორი იღლია ქინძი. მიხვდნენ, რომ 800 კვ.მ მიწის ფართობზე, ოჯახის სამყოფს ვერ მოიყვანდნენ და შეეშვნენ.

* * *

ეკვადორის ტროპიკულ ტყეებში იზრდება მოსიარულე პალმა - *Socratea*. მას, თავიდან სხვა მცენარეებივით აქვს მიწაში გადგმული ფესვები, ღერო და ვარჯი, მაგრამ როგორც კი გარკვეულ სიმაღლეს აღწევს, დაახლოებით მიწიდან ერთ მეტრში, ახალი ფესვები იწყებს ზრდას, მიწაში გადგმული საწყისი ფესვები კი ხმება. შემდეგ, ახალი ფესვების ქვემოთ მდებარე ღერო სცილდება და ხე იწყებს გადაადგილებას უფრო ტენიანი და ნაყოფიერი ადგილების მოსაძებნად. ტანს გადახრის და ახალი ფესვები გამოაქვს, ძველი კი ხმება.

* * *

შემოსავლის გაზრდის მიზნით, ქმარმა ღამის ცვლაშიც დაიწყო მუშაობა. თვითონაც გვერდში დაუდგა, ერთად ათენებდნენ ღამეებს. ფულის დაგროვება დაიწყეს - კაპიკ-კაპიკ, მანეთმანეთ, კუპონ-კუპონ, ლარ-ლარ. პირველი წერაქვი დაარტყეს, პირველი ბლოკი დადეს, 18 წელი აშენეს.

ნელ-ნელა ოთახები გამოიკვეთა, მერე მეორე სართული დაემატა თავისი აივნით, გადაიხურა, კიბე მიედგა, გარემონტდა, პატარა ეზო მოეწყო.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ბიჭი უცხოეთში გაუშვეს უმაღლესში სასწავლებლად. იქ გაიცნო ქართველი გოგო, ცოლად მოიყვანა და ბავშვიც იქ შეეძინათ.

ქმარს ყრუ ტკივილი დასჩემდა მკერდის არეში. ერთ დღე-საც, წავიდა სამსახურში და აღარ დაბრუნდა. მეორე სართულზე დაასვენეს მაღალჭერიან „ზალაში“. გასვენებაში, ცოლ-შვილის გარეშე, ორი დღით ჩამოვიდა ბიჭი, დამარხა მამა და გაიქცა უკან.

გამოიარა მარტოობის ორი წელი ორსართულიან, მაღალჭერიან, ნათელ სახლში.

* * *

ასე დადის ხე, მთელი ცხოვრება, წყლის მიმართულებით, „ოცნების ადგილის“ საპოვნელად. წელიწადში 20 მეტრამდე მანძილს გადის და როგორც წესი, წყლამდე ვერ აღწევს, მაგრამ წყალთან თუ მიაღწია, ფესვები ულპება და ხმება.

* * *

აუხდა ოცნება - ბიჭი ჩამოვიდა, დღეს რძლის მშობლებს ნახავენ და ხვალიდან აქ იცხოვრებენ ერთ დიდ, ბედნიერ ოჯახად...

- დე, ჩვენ გადავწყვიტეთ, ცალკე ვიცხოვრებთო! -ტელეფონში უთხრა შვილმა.

ფოგოფოგია¹

საერთაშორისო პროექტის - „საქართველოს დემოგრაფიული ხელშეწყობის“ თბილისის ოფისს, 5 მილიონიანი ბიუჯეტით და უახლესი ტექნიკური უზრუნველყოფით, კოსტავას ქუჩაზე, ფილარმონიის პირდაპირ, ბიზნეს-ცენტრის მესამე სართული ეკავა.

ვინაიდან, სამი წლის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებული ტრენინგების მიუხედავად, შობადობის საერთო მაჩვენებელი მხოლოდ ორ რაიონში - გარდაპანსა და მარნეულში გაიზარდა, უცხოელმა დამფინანსებლებმა, პროექტის მეორე ეტაპზე, თბილისის ოფისში შტატების შემცირება, რეორგანიზაცია და ხარჯების მიზნობრიობის შესწავლა კომპეტენტურ კომისიას დაავალეს.

* * *

პროექტის ხელმძღვანელი - ჯალილა გიდადა აფრიკელი იყო, კერძოდ - ეთიოპიელი. ეთიოპიის პრეზიდენტის, ნეგასო გიდადას ძმისნული - შავტუხა, ხუჭუჭოთმიანი, დაბალი, განიერი თეძოებით, ფართო, მოღიმარი სახით და დიდი, კეთილი თვალებით. ვერანდიან, რომელიც კოსტავას ქუჩას გადაჰყურებდა, და მოსასვენებელ ოთახიან, თანამედროვე ავეჯით გაწყობილ დიდ კაბინეტში იჯდა. თბილისში სამი წლის წინ გამოგზავნეს პროექტის ხელმძღვანელად. დილის 10 საათზე რომ შევიდოდა კაბინეტში, სამუშაოს დამთავრებამდე არ გამოდიოდა. საღამოს 7 საათზე ჩაუჯდებოდა ორგანიზაციის მძღოლს „მერსედესში“ და მთელი დღის უმოძრაობისგან მოდუნებული კუნთების გასა-

1 ფოგოფოგია - ფოგიების შიში

ვარჯიშებლად, ფიტნეს-კლუბში მიაყვანინებდა თავს. ქალბატონ ჯალილას დიდი დამსახურება მიუძღვოდა ინგლისურენოვანი კადრების შერჩევაში, ოფისში მეგობრული ატმოსფეროს შექმნა-სა და ერთმანეთთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით საუ-ბრის დანერგვაში. საქმეზე არავის ელაპარაკებოდა. რაღაც რომ გეკითხა, მომწერეო, გიპასუხებდა.

* * *

სახელი და გვარი - ჯალილა გიდადა;
ეროვნება - ეთიოპიელი;
ასაკი - 36 წლის;
სქესი - მდედრობითი;
ოჯახური მდგომარეობა - დასაოჯახებელი;
სარწმუნოება - ათეისტი;
ორიენტაცია - ტრადიციული;
ენები - ინგლისური, ამჰარული.
- ვერ შევამცირებთ, შავკანიანია, რასიზმს დაგვწამებენო! -
განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

* * *

ერიკ ნილსენი მობილური ჯგუფის ხელმძღვანელი იყო. საქა-რთველოს სხვადასხვა რაიონებში ატარებდა ტრენინგებს - „თა-ვისუფლი სექსის გავლენა შობადობაზე“. ქერა, ლამაზი, მაღალი, გამხდარი, ზრდილობიანი და სასიამოვნოდ მოსაუბრე, უპირატე-სობას ჭყეტელა ჩაცმულობას ანიჭებდა. ოფისში იშვიათად მიდ-იოდა, ძირითადად მივლინებაში იყო. უყვარდა მოგზაურობა, ახ-ალ-ახალი ურთიერთობები. ამაში ხედავდა ცხოვრების არსს და ამიტომ, თავისი საქმე ძალიან მოსწონდა.

* * *

სახელი და გვარი - ერიკ ნილსენი;

ეროვნება - ნორვეგიელი;
ასაკი - 27 წლის;
სქესი - მამრობითი;
ოჯახური მდგომარეობა - დასაოჯახებელი;
სარწმუნოება - პროტესტანტი ქრისტიანი;
ორიენტაცია - ჰიმოსექსუალი;
ენები - ინგლისური, ნორვეგიული.
- ვერ შევამცირებთ, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია, ჰიმოფონიას დაგვწამებენო! - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

* * *

ლუდა ხატკანა კერეკელი იყო. იმ 8 ადამიანიდან ერთ-ერთი, ჩუკოტკის ოლქში, ჩრდილოეთის ტუნდრაში, ამ ერს რომ წარმოადგენდა და იმ სამი ადამიანიდან ერთ-ერთი, ვინც კერეკული ენა იცოდა. თავისი ერის დამახასიათებელი სახე ჰქონდა - ვინრო თვალებით, განიერი ყვრიმალებით და სწორი, ყორნისფერი თმით. ურთიერთობაში თავისუფალი იყო, მხიარული. განსაკუთრებით მაშინ, როცა თავისი საწერი მაგიდის უჯრაში შენახული არყის ბოთლიდან 100 გრამი ჰქონდა გადახუხლი. როგორც მცირე ერის წარმომადგენელი, მსგავს პროექტებში ხშირად იწვევდნენ. ლუდა ტრენერი იყო. ის და ერიკი ერთად დადიოდმენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

ერთხელ, შემოდგომით, ლუდა და ერიკი კახეთში მიდიოდნენ რომელიღაც ქარხანაში ტრენინგის ჩასატარებლად. ავტობუსში ლუდას უკითხავს

- Где здесь завод?-ო
- Аах, „ზაოტი“ გინდა, გოგონიო? - аრყის გამოხდაზე წაუყვანიათ კახელებს. ერთი კვირა არ წამოსულან იქიდან
- Вот завод, не то, что у нас!-ო - სიამოვნებით იხსენებდა ლუდა.

* * *

სახელი და გვარი - ლუდმილა ხატკანა;

ეროვნება - კერეკი;

ასაკი - 32 წლის;

სქესი - მდედრობითი;

ოჯახური მდგომარეობა - დასაოჯახებელი;

სარწმუნოება - შამანიზმი;

ორიენტაცია - ტრადიციული;

ენები - ინგლისური, რუსული, ჩუკოტკური, კერეკული.

- ვერ შევამცირებთ, მცირე ერის წარმომადგენელია, ეთნო-ფობიას დაგვნამებენო! - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

* * *

პროექტის ფინანსური დირექტორი - ქევინ ო'ბრაიმი იმ ძველი, ამერიკული ოჯახიდან იყო, პირველები რომ გადავიდნენ ინგლისიდან და სამხრეთელები „იანკებად“ მოიხსენიებდნენ. მაღალი იყო, სიმპათიური, მოწესრიგებული. მუდმივად შავ შარვალს და მოკლე სახელოებიან თეთრ პერანგზე აკურატულად გამონასკვულ ჰალსტუხს ატარებდა. ხასიათით უკარება იყო, თავს არავის უყალბუზი და ურთიერთობისას, მუდამ დისტანცია ეკავა. ოქსფორდის ფინანსების მართვის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და ამით, ძალიან ამაყობდა. არათუ სპირტიან სასმელს, ჩაის და ყავასაც არ ეკარებოდა. სამშობლოში დიდი ოჯახი ჰყავდა დატოვებული - 7 შვილი 4 ცოლისგან, რომელთაგან, ერთთან ოფიციალურ და სამთან სამოქალაქო ქორწინებაში იყო - სარწმუნოება აძლევდა ამის უფლებას.

* * *

სახელი და გვარი - ქევინ ო'ბრაიმი;

ეროვნება - ამერიკელი;

ასაკი - 42 წლის;

სქესი - მამრობითი;

ოჯახური მდგომარეობა - დაოჯახებული, ცოლი და 7 შვილი;

სარწმუნოება - მორმონი;

ორიენტაცია - ტრადიციული;

ენები - ინგლისური.

- ვერ შევამცირებთ, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელია, ქსენოფონბიას დაგვწამებენო! - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

* * *

კახა მძღოლად იყო გაფორმებული, მაგრამ, ამის გარდა, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, მომმარაგებლის, მონტიორის, კურიერის და თარჯიმნის ფუნქციაც ჰქონდა შეთავსებული. საშუალო სიმაღლის იყო, დაკუნთული. შავგვრემან სახეზე გრძელი ცხვირი, გადაბმული წარბები და სქელი ულვაშები, ერთი შეხედვით, გოროზი კაცის იერს აძლევდნენ, მაგრამ, ამ დროს, ძალიან თბილი და გულისხმიერი იყო - ყველა თანამშრომელს სიამოვნებით ეხმარებოდა და არცერთის დაბადების დღეზე საჩუქრის ჩუქება არ ავიწყდებოდა. უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ, ამას აფიშირებას არ უკეთებდა. ცოლი და 4 შვილი ჰყავდა. მარხულობდა და კვირაობით ეკლესიაში დადიოდა.

* * *

სახელი და გვარი - კახაბერ მამაცაშვილი;

ეროვნება - ქართველი;

ასაკი - 38 წლის;

სქესი - მამრობითი;

ოჯახური მდგომარეობა - ცოლი და 4 შვილი;

სარწმუნოება - მართლმადიდებელი ქრისტიანი;

ორიენტაცია - ტრადიციული;

ენები - ინგლისური, ქართული, რუსული.

- მძღოლის შტატი გაუქმებულიაო! - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

* * *

საღამოს, კახამ, ინტერნეტში განსათავსებლად, ახალი CV შეადგინა. ორიენტაციის გრაფაში აკანკალებული ხელით ჩანერა - ჰომოსექსუალი.

- მამა აღარ დამიძახოთ, დღეიდან „მამალო“ ვარო! - დარცხვენილმა უთხრა შვილებს.



მერი

ერთი კვირაა, რაც მამა სახლში არ მოსულა. დედამ თქვა:

- მივლინებაში წავიდა ბაქოში! - მაგრამ, მე ვიცი, რა მივლინებაშიცაა. ქალაქში დავინახე იმ თოჯინასთან ერთად. ისე, კარგი რამეა, მეც არ ვიტყოდი უარს. დედისთვის არ მითქვამს, ცოდოა, ინერვიულებს.

* * *

ვაჟა წარმატებულ კაცად ითვლებოდა - ერთ-ერთი დიდი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩიეს. ამას წინ უსწრებდა ბევრი სწავლა - ზოგი საქართველოში და ზოგიც უცხოეთში, ბევრი შრომა და ბევრიც შიმშილი. ჰყავდა ცოლი - მერი და 15 წლის ბიჭი - ირაკლი. სამსახურში, მის განკარგულებაში იყო: დიდი კაბინეტი, ალა - ახალგაზრდა, გრძელფეხება რუს-ქართველა მდივანი და გასაშლელი „დივანი“. როგორც წარმატებულ ხალხთა უმრავლესობა, ვაჟაც, დაოჯახებას იმ გენერალივით ნანობდა, რომ იჩქარა და ცოლი ლეიტენანტობის დროს მოიყვანა. ბოლო დროს, რაღაც, გული არ უდგებოდა სახლში, სამსახურისკენ უწევდა. ჰო, რა, სახლში მისულს, წესისამებრ, მერისთვის მსუქან ლოყაზე უნდა ეკოცნა. ის, აღფრთოვანებული დაიწყებდა სუფრის გაშლას, მაგრამ რად გინდა, დააცდიდა ჭამას?

- დედაჩემი ავად გამხდარა, უნდა ვნახოთო!
- ირაკლის მასწავლებელმა დაგვიბარაო!
- ბავშვი რეპეტიტორებთანაა მისაყვანიო!
- ექიმთან უნდა წავიყვანო, ახველებსო! - და სხვას, უამრავს,

ავტომატის ჯერივით მიაყრიდა, თითქოს, ოჯახში პრობლემების მეტი არაფერი არსებობდა. თან, შვილთან, ადრე თვალებში რომ შეჰყურებდა და მისი სიტყვა კანონი იყო, ბოლო დროს, ურთიერთობა დაეძაბა. რასაც მამა ეუბნებოდა, ის შობელძალლი, ყველაფერს საწინააღმდეგოს აკეთებდა. ალა კი, ეფერებოდა, „შეფს“ ეძახდა, ჭამის დროს მიუჯდებოდა, თავს მიადებდა, ბავშვივით ეტიტინებოდა, მართალია, რესტორანში - ოფიციანტის გაშლილ სუფრასთან, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარია, მის გვერდით ყოფნა მოსწონდა.

* * *

მამაჩემმა კიდევ, გამიჭირა საქმე: - რამდენჯერაც დამინახავს, ჭყუას მარიგებს. რა მჭირს მაგის დასარიგებელი, ჭყუა რომ ჰქონდეს, თავისთვის გამოიყენებდა და იმ კახპას არ აეკიდებოდა. მაგას ჰგონია, ახალგაზრდა გოგო გამოიჭირა, არადა, იმას ჰყავს ყურებით დაჭერილი.

* * *

- მე ფეხმძიმედ ვარ და ვაჩენო! - ერთ დილით გამოუკხადა ალამ. ვაჟას არც სწყენია და არც გახარებია, უბრალოდ გაჩუმდა. ხვდებოდა, რომ ოჯახის დანგრევა გარდაუვალი იყო, ბავშვი კი, ამას დააჩქარებდა, მაგრამ

- რაც იქნება, იყოსო! - ხელი ჩაიქნია.

ალას, მუცელი და მოთხოვნები ერთნაირად გაეზარდა. ჯერ:

- ჩაცმა მინდაო! - ბრენდები მოატარა. მერე,

- მანქანა მინდაო! - „ტოიოტას“ ცენტრიდან გამოაყვანინა.

მერე:

- ბინა მინდაო! - აყიდინა. ბოლოს

- ცოლს გასცილდი და მე მომიყვანეო!

ბევრჯერ სცადა, ეთქვა ცოლისთვის, მაგრამ თქმას რომ დააპირებდა, მუდმივად რაღაც უშლიდა ხელს - ერთხელ, მეზობე-

ლი შემოვიდა; მეორედ, მობილურზე დაურეკეს და მარეგული-რებელში გაიქცა; მესამედ, დაინყო, მაგრამ მერე გადააკეთა და ცოლთან ჩახუტებით დაამთავრა. და საერთოდ, უმძიმდა თქმა, ერჩივნა, რომ მერის თვითონ დაეწყო ამ თემაზე საუბარი. ის კი, ალბათ, ვერაფერს ხვდებოდა, რადგან არაფერს ამბობდა.

* * *

ეს დედაჩემი კიდევ, ვერაფერს ხვდება. გუშინ მამაჩემი ისეთი მთვრალი მოვიდა, ლოგინში ჩაცმული ჩანვა. მე და დედას მოგვინია ტანსაცმლის გახდა. შარვალს რომ ვხდიდით, დავინახე, ტრუ-სი უკუღმა ეცვა - ზომის იარლიყი გარედან ჰქონდა მოქცეული. ველოდი, დედაჩემი გადაირეოდა, მაგრამ ბედად, ვერ შეამჩნია, საბანი მიაფარა. ამასწინათ კიდევ, ყელზე პომადით ნაკოცნი ეტყობოდა. დედამ ეგეც ვერ შეამჩნია, პირსახოცი მისცა და აბაზანაში შეუშვა.

* * *

ამასობაში, ალამ იმშობიარა, ბიჭი შეეძინათ - ვადიმა. ვაჟა გაიქცა იუსტიციის სახლში და ბავშვი თავის გვარზე დაწერა. მესამე დღეს ახალ ბინაში მიიყვანეს. საბოლოოდ გადაწყვიტა სახლიდან წამოსვლა და ალასთან ცხოვრება, მაგრამ მანამდე, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ჭიპლარის სისხლი წაიღო ავერსის კლინიკაში, მამობაზე დნმ-ის ანალიზის ჩასატარელად. სამ კვირაში პასუხი მიიღო - 99 პროცენტის ალბათობით, მამა შენ არ ხარო.

- რომ ჩამოვალ, მერე გავარკვევო! - ვანში წავიდა ნათესავის გასვენებაში. ქელებში დალია. ესიამოვნა, ცოტა ხასიათზე მოვიდა. უკანა გზაზე ბავშვობის მეგობარი დაემგზავრა - შადიმანი, ქუთაისამდე მოდიოდა. ფარცხანაყანევში რესტორანთან გააჩერეს. ორგანიზმი დათრობას სთხოვდა. დალიეს. თავისი ამბავი მოუყვა. შადიმანმა

- ძმაო, გაგმართლებია, ოჯახს ალარ დაანგრევო! - არაფერი

უთქვამს, დაეთანხმა. თითქოს უხაროდა კიდეც, ალამ რომ უღა-ლატა. იქიდან მთვრალები წამოვიდნენ. თერჯოლის გადასახ-ვეთან, საჭესთან ჩაეძინა...

* * *

დედა სულ ტირის, ალბათ მამაზე. რომ იცოდეს ღალატობდა, ასე ხომ არ ინერვიულებდა. დღეს შევეცადე მეთქვა, მაგრამ არ მომისმინა, ზურგი შემაქცია

- გაკვეთილებს მიხედეო! - მომაძახა და საძინებელში შეიკეტა.

* * *

ვაჟას გარდაცვალების შემდეგ, ალამ ბინა და მანქანა გაყიდა და ნაქირავებში გადავიდა. ერთი თვე იქ იცხოვრა, მერე, ბავშვი მეზობლის ქალს ჩააბარა

- აუცილებელ საქმეზე მივდივარ, ორი საათით დაიტოვეო! - ტაქსი გააჩერა და


- აეროპორტი! ჩქარა იარე, რეისზე მაგვიანდებაო!...

* * *

ბოლო რამდენიმა დღეა, რაც დედა სახლიდან დილით გადის და გვიან ბრუნდება.

დღეს, სკოლის მერე კლასელს ვესტუმრე, მაინც არავინ მეგ-ულებოდა სახლში. გვიან მივედი. კარი ჩემი გასაღებით გავაღე. ჩემდა გასაკვირად, დედა სახლში დამხვდა, ჩვილი ბავშვით ხელ-ში.

- შვილო, ეს შენი ძმაა, ვადიმაო! - მითხრა დედამ და ბავშვი გულზე მიიკრა.



მწვერვალი

დიდი ხნის წინ, როცა ბრძენი კაცები კასრებში და გამოქვაბულებში ბინადრობდნენ, ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი კაცი. ისეთი ალალი იყო, ჭიანჭველასაც კი, ფეხს არ ადგამდა. ლამაზი ცოლი ჰყავდა და როგორც ალალ-მართალი კაცების უმრავლესობას, მასაც, შიმშილით, კუჭი უხმებოდა.

მდიდარი მეზობელი ჰყავდა იმ ღარიბ კაცს, რომელსაც ფული იმდენი ჰქონდა, რომ არ იცოდა, სად წაეღო. ერთ დღესაც, ფულის სასესხებლად მიადგა ღარიბი მდიდარს, 10 მარჩილი სთხოვა. უარი არ უთქვამს მდიდარს, ასესხა. ერთ თვეში უნდა დაეპრუნებინა, ვერ დაუბრუნა. ისევ მიადგა

- 10 მარჩილი კიდევ მასესხე და ერთ თვეში ერთად დაგიბრუნებო! - სთხოვა. უარი არ უთქვამს მდიდარს, ასესხა. ვერ დაუბრუნა, დამალვა დაინტერესო. მდიდარმა კაცმა შეამჩნია, რომ ემალებოდა და სახლში მიადგა

- 20 მარჩილისთვის ნუ დაიმალები და ყოველ თვე, 10 მარჩილს მოგცემ. როცა ბევრ ფულს იშოვნი, მაშინ დამიბრუნეო!

გადმოდიოდა ყოველთვე მდიდარი მეზობელი ღარიბთან და ფულს უტოვებდა. დაფიქრდა კაცი, კითხვამ გააწვალა

- რატომ აკეთებს ამას მდიდარი კაცი ჩემთვისო?! - პასუხი ვერავინ გასცა. მიასწავლეს

- თეთნულდის მთის ძირში ბრძენი ცხოვრობს, ყველაფრის მცოდნეა და მეცნიერი. თუ ეცოდინება, იმას ეცოდინებამ! - იმ ბრძენთან წავიდა ღარიბი კაცი. ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადაიარა და მიადგა თეთნულდს, რომელსაც მწვერვალი მოხუცის სპეტაკი თმასავით გასთეთრებოდა. მთის ძირში, გამოქვაბულიდან, მოხ-

უცი კაცი გამოვიდა. ისეთი მოხუცი იყო, თეთრ თმაზე და წვერზე ხავსი მოსდებოდა.

- რა გაგჭირვებიაო?!

- ყოველთვე ფულს მაძლევს და, რატომ აკეთებს ამას მდიდარი კაცი ჩემთვისო?! - ჰკითხა ლარიბმა კაცმა.

- ამაზე პასუხი ჩემს უფროს ძმას - მთის შუაწელის ბრძენს ეცოდინება - ჩემს ზემოთ ცხოვრობს, მაგრამ იქ ასასვლელად, ცოდვებისგან უნდა გათავისუფლდე. რა გამძიმებსო?!

- მაგ მუცელგასახეთქს, რამდენი ფული აქვს, რომ ჩემს თვიურ სამყოფს დაუნანებლად მაძლევს. ბოლმამ დამახრჩო, ძილი გამიკრთაო.

- დახმარების მიღება მანამდეა სასიამოვნო, სანამ სამაგიეროს გადახდის უნარი გაქვს. მაგრამ, თუ დახმარება შენს შესაძლებლობებს გადააჭარბებს, მადლიერების მაგივრად სიძულვილს იწვევს შენში. დახმარება ბევრი მოსვლიაო - ტაციტუსის ნათქვამი გაიხსენა ბრძენმა.

გაეხსნა გონება ლარიბს. სახლში წამოვიდა. ბოლმა გაიქარვა. მდიდარ მეზობელთან გადავიდა

- მაგ ფულის სანაცვლოდ, შენი მამულის მოვლა-პატრონობაში დაგეხმარებიო! - შესთავაზა. გაიხარა მდიდარმა კაცმა, მიიღო დახმარება, მაგრამ...

- რატომ აკეთებს ამას მდიდარი კაცი ჩემთვისო?! - კვლავ სტანჯავდა ლარიბს კითხვა.

მთის შუაწელის ბრძენთან წავიდა. ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადაიარა და მიადგა თეთნულდს, რომელსაც მწვერვალი მოხუცის სპეტაკი თმასავით გასთეთრებოდა. აუყვა აღმართს, შუაწელს რომ მიაღწია, გამოქვაბულიდან მოხუცი კაცი გამოვიდა. ისეთი მოხუცი იყო, თეთრ თმაზე და წვერზე უფრო მეტი ხავსი მოსდებოდა, ვიდრე მთის ძირის ბრძენს.

- რა გაგჭირვებიაო?!

- ყოველთვე ფულს მაძლევს და, რატომ აკეთებს ამას მდი-

დარი კაცი ჩემთვისო?! - ჰკითხა ლარიბმა კაცმა.

- ამაზე პასუხი ჩემს უფროს ძმას - მთის ბექობის ბრძენს ეცო-დინება - ჩემს ზემოთ ცხოვრობს, მაგრამ იქ ასასვლელად ცოდ-ვებისგან უნდა გათავისუფლდე. რა გამძიმებსო?!

- ვეხმარები, ბევრს ვმუშაობ და თვეში 10 მარჩილზე მეტს არ მაძლევს, ბოლმამ დამახრჩო, ძილი გამიკრთაო!

- შენ სიხარბე მოგძალებია. თვითონ ხომ არ უთხოვია დახ-მარებაო?

გაეხსნა გონება ლარიბს. სახლში წამოვიდა. ბოლმა გაიქარვა. მდიდარ მეზობელთან გადავიდა

- რაც დაგეხმარე, მეზობლური იყო, ამის მერეც უანგაროდ დაგეხმარებიო! - შესთავაზა. გაიხარა მდიდარმა კაცმა, მიიღო დახმარება, მაგრამ...

- რატომ აკეთებს ამას მდიდარი კაცი ჩემთვისო?! - კვლავ სტანჯავდა ლარიბს კითხვა.

მთის ბექობის ბრძენთან წავიდა. ცხრა მთა, ცხრა ზღვა გა-დაიარა და მიადგა თეთნულდს, რომელსაც მწვერვალი მოხუცის სპეტაკი თმასავით გასთეთრებოდა. აუყვა აღმართს, ბექობს რომ მიაღწია, გამოქვაბულიდან მოხუცი კაცი გამოვიდა. ისეთი მოხუცი იყო, თეთრ თმაზე და წვერზე უფრო მეტი ხავსი მოსდე-ბოდა, ვიდრე მთის შუაწელის ბრძენს.

- რა გაგჭირვებიაო?

- ყოველთვე ფულს მაძლევს და, რატომ აკეთებს ამას მდი-დარი კაცი ჩემთვისო?! - ჰკითხა ლარიბმა კაცმა.

- ამაზე პასუხი ჩემს უფროს ძმას - მთის მწვერვალის ბრძენს ეცოდინება - ჩემს ზემოთ, მწვერვალზე ცხოვრობს, მაგრამ იქ ასასვლელად ცოდვებისგან უნდა გათავისუფლდე, რა გამძიმებ-სო?!

- ასე მგონია, მდიდარ მეზობელს უნდა, ჩემი სახლ-კარი ხელში ჩაიგდოს, ბოლმამ დამახრჩო, ძილი გამიკრთაო!

- შენ ეჭვი მოგძალებია, თუ ასეთი მდიდარია, რასაც გაძლევს,

იმაზე იაფად იყიდდა შენს სახლ-კარსო!

გაეხსნა გონება ღარიბს. სახლში წამოვიდა. ბოლმა გაიქარვა. მდიდარ მეზობელთან გადავიდა

- ჩემი სახლ-კარი შენთვის დამითმია, მაინც არ მაქვს შენახვის თავიო! - შესთავაზა. გაიხარა მდიდარმა კაცმა, მიიღო საჩუქარი, მაგრამ...

- რატომ აკეთებს ამას მდიდარი კაცი ჩემთვისო?! - კვლავ სტანჯავდა ღარიბს კითხვა.


მთის მწვერვალის ბრძენთან წავიდა. ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადაიარა და მიადგა თეთნულდს, რომელსაც მწვერვალი მოხუცის სპეტაკი თმასავით გასთეორებოდა. აუყვა აღმართს, მწვერვალზე რომ ავიდა, გამოქვაბულიდან მოხუცი კაცი გამოვიდა. ისეთი მოხუცი იყო, თეთრ თმაზე და წვერზე მთლიანად მოსდებოდა ხავსი.

- რა გაგჭირვებიაო?!

- ყოველთვე ფულს მაძლევს და, რატომ აკეთებს ამას მდიდარი კაცი ჩემთვისო?! - ჰკითხა ღარიბმა კაცმა. ბრძენმა მწვერვალიდან გადმოახედა. იქიდან ხელისგულივით მოჩანდა ყველაფერი. აგერ, მისი სახლი. მისი საწოლი. საწოლზე მისი ცოლი იწვა, გვერდით მდიდარი კაცი მისწოლოდა.

- ვაიმე, ოჯახოო! - დაიყვირა და მწვერვალიდან უფსკრულში გადაეშვა.

- უფასო ყველი, მხოლოდ სათაგურშიაო! - გზაში დაეწია მწვერვალის ბრძენის ხმა.



ნერილი

- ნათელა, მაღარიჩი თქვენზეა, ბიძაჩემის, სააგენტოს კარა-დის ქვეშ, შენი მამამთილის, გიგოს ომიდან გამოგზავნილი წერ-ილი ვიპოვნეო! - სამკუთხედად დაკეცილი წერილი გაუწოდა მეზობელმა.

* * *

გიგო და სააგენტო, როგორც იტყვიან, „ტრუსიკის მეგობრე-ბი“ იყვნენ. გვერდიგვერდ სახლებში ცხოვრობდნენ და სკოლაშ-იც, ერთ კლასში სწავლობდნენ. რატომ გიგოო? - იმიტომ, რომ ვიღაც წინაპარს ერქვა ეგ სახელი. აი, „სააგენტო“ კი, მართალია წინაპარს არა, მაგრამ ვისაც ერქვა, ყველას დიდი პატივით მოიხ-სენიებდნენ: - ინგლისის სააგენტომ გადმოსცაო, გერმანიის საა-გენტოს ცნობითო, ამერიკის სააგენტოზე დაყრდნობითო!

მზეში, ქარში, წვიმაში, თოვლში, დილაადრიანად, ქალამ-ნებით, ერთად მიტანტალებდნენ სკოლაში, ერთ მერხთან ისხ-დნენ და შუადლით უკან მოტანტალებდნენ. გაკვეთილებსაც ერთად ამზადებდნენ და საღამოსაც ერთად მოერეკებოდნენ ნახირიდან დაბრუნებულ ძროხებს, სოკოზეც ერთად დადიოდ-ნენ ტყეში, ფეხბურთშიც ერთად იცავდნენ სოფლის ღირსებას, ბალსაც ერთად იპარავდნენ კოლმეურნეობის ბალიდან და მევ-ელეც, თუ წაასწრებდა, ორივეს წყვილად აგინებდა დედებს. გოგოც ორივეს ერთი მოსწონდათ - თავიანთი კლასელი ციცინო. რაც დრო გადიოდა, მოწონება სიყვარულში იზრდებოდა, მაგრამ მათ მეგობრობას ეს ხელს არ უშლიდა, გოგონას მიანდეს არჩევ-ანის გაკეთება.

რაიონში სამანქანო გზის გაფართოვება დაიწყეს. მთელი დღე ბათქა-ბუთქი გაუდიოდათ. დინამიტის აფეთქებით შლიდნენ კლ-დეს და მერე, ნაშალი მინა სატვირთოებით გაპქონდათ. გიგო ამ-ფეთქებლებს შეუჩნდა, „ცოცხალს“ შეჰპირდა, და ცოტა ამონა-ლი, ერთი დეტონატორი და პატრუქის ნაგლეჯი მისცეს. ამონალი შეახვია, დეტონატორი ჩაუდო, პატრუქი დაამაგრა, გამოსასმელ ბადეს წამოავლო ხელი და მტკვარზე გაიქცა დინამიტით თევზის დასაჭერად. გზაზე სააგენტო შემოხვდა, ისიც გაიყოლა. ბორან-თან ჩავიდნენ. გიგო, გამოსასმელი ბადით, ცოტა ქვევით ჩავიდა. სააგენტო ბორნის კიდეზე გავიდა, მარცხენა ხელით დინამიტი დაიჭირა, მარჯვენათი ასანთი გაპქრა, პატრუქს მოუკიდა, ასან-თი ჯიბეში ჩაიდო, დინამიტი მარჯვენაში გადაიტანა, სასროლად მოემზადა

- ბიჭო, დროზე, მოკლე პატრუქი აქვსო! - დაუყვირა გიგომ, მა-გრამ უკვე გვიანი იყო - აფეთქების ტალღამ უკან გადაისროლა. გონზე რომ მოვიდა და წამოდგა, დაინახა სააგენტო ხრიალებდა, ტანსაცმელს ცეცხლი ეკიდა და ხელი მაჯაში ჰქონდა მოწყვეტი-ლი.

- ვაიმე, ძმაო, მოგვალიო! - დაიღრიალა გიგომ და დაბნეულმა, მოგლეჯილ მტევანს დაუწყო ძებნა. აზრზე მოვიდა, ძებნას შეეშ-ვა. ბორნის კუთხეში ვედრო ეგდო. მდინარის წყლით აავსო და მიასხა. ცეცხლი ჩაქრა, მაგრამ მოგლეჯილი ხელიდან შადრევა-ნივით ასხამდა სისხლი. ქამარი შეიხსნა, ხელზე გადაუჭირა, რომ სისხლისგან არ დაცლილიყო, ზურგზე მოიგდო და აღმართში აა-თრია. იქ, გზაზე, ცნობისმოყვარეები შეერებილიყვნენ და დაბ-ლა, ნაპირისკენ იყურებოდნენ. დააწვინეს სააგენტო საგზაოს სატვირთოზე და რაიონის საავადმყოფოში ჩაიყვანეს. შოკიდან გამოიყვანეს, მაჯის დარჩენილი ნაწილები მოაჭრეს, გაუკერეს და ორ კვირაში სახლში გამოწერეს. გიგო და ციცინო ყოველდღე მიდიოდნენ ავადმყოფის სანახავად, ამშვიდებდნენ, ართობდნენ, მაგრამ მათ ბედნიერ სახეებს რომ უყურებდა, ხვდებოდა, რომ

საერთო ზრუნვამ გიგო ციცინოსთან დაახლოვა და სიყვარულის სასწორიც მისკენ გადაიხარა. გული სწყდებოდა, ერჩივნა, არ მი-სულიყვნენ სანახავად, მაგრამ არ იმჩნევდა.

ამასობაში, სკოლაც დაამთავრეს და ცხოვრების გზაზე ფეხის შესადგმელად მოემზადნენ. გიგომ ტრაქტორის მართვის კურსებზე დაიწყო სიარული. მალე მართვის მოწმობა აიღო და კოლ-მეურნეობის ახალთახალ ტრაქტორზე შემოსკუპდა. სააგენტოს, სახელი შესაბამისი აქვსო და სოფლის ფოსტალიონის ჩანთა ჩააბარეს.

- ხომ შეიძლებოდა, მეც ტრაქტორისტი გამოვსულიყავიო?! - ფიქრობდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

გიგო და ციცინო შეუდლდნენ. მეჯვარედ სააგენტო წაიყვანეს და პირველი შვილი - ამირანიც მას მოანათვლინეს.

მეორეზე იყო ციცინო ფეხმძმედ, ომი რომ დაიწყო. გაიწვიეს ომში გიგო. ჩააბარა ცოლ-შვილი სააგენტოს, მოიგდო ზურგჩანთა და რაიონის კომისარიატში გამოცხადდა. იქ, როგორც ტრაქტორისტი, სატანკო დივიზიაში გაამწესეს.

- ხომ შეიძლებოდა, ომში მეც გავეწვიეთო?! - ფიქრობდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

ყოველ კვირა მოჰქონდა სააგენტოს გიგოს წერილი. როგორც შეეძლო, გვერდში ედგა მეგობრის ოჯახს. თავის წილ პროდუქტს უნანილებდა. მეორე, გოგო დაიბადა - ლამარა დაარქვეს.

1942-ის ზაფხულში, მტერი კავკასიონს მოადგა. გერმანელები მარუხის უღელტეხილის დაკავებას და სოხუმში შემოჭრას ცდილობდნენ. ამ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი გიგო სოხუმის ჰოსპიტალში გადაიყვანეს საოპერაციოდ. ერთ თვეში გამოწერეს და ორი კვირით სახლში გამოუშვეს. ამირანი უკვე ორი წლის იყო. აქამდე, ლამარა მარტო სურათში ჰყავდა ნანახი. მესამე დღეს სააგენტო გადმოვიდა:

- კომისარიატიდან შემოგითვალეს, თავისი ბარგით გამოცხადდესო! - აიღო თავისი ზურგჩანთა, გამოემშვიდობა ცოლ-

შვილს და ჩავიდა კომისარიატში. სად წაიყვანეს, არავინ იცის. იმ დღიდან, გიგოს წერილი აღარ მოსულა, მისი კვალი დაიკარგა.

- ჩემი გიგოსგან ხომ არაფერიაო? - ყოველდღე ეკითხებოდა ციცინო. უარყოფის ნიშნად, მძიმედ გადააქნევდა თავს სააგენტო. ისევ ეხმარებოდა, როგორც შეეძლო, მეგობრის ოჯახს. ისევ უყოფდა ყოველდღიურად ლუკმას.

გავიდა წლები. დამთავრდა ომი. დაიზარდნენ ამირანი და ლამარა. სააგენტო ისევ ფოსტალიონად მუშაობდა. ცოლი არ მოუყვანია, ომში დაღუპული ძმის შვილს ზრდიდა.


2002-ში გარდაიცვალა ციცინო.

- ჩემი გიგოსგან ხომ არაფერიაო? - სიცოცხლის ბოლომდე ეკითხებოდა სააგენტოს.

2005-ში სააგენტოც გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლომდე ლუკმას უყოფდა მეგობრის ოჯახს.

* * *

ნათელამ სამკუთხედად დაკეცილი წერილი გაშალა - „ციცინო, როგორ ხარ, ამირანი და ლამარა როგორ მყვანანო?... ვნერვიულობ, უკვე მერამდენე წერილს გწერ და პასუხი არ მიმიღია. თუ აღარ მელოდები, ის მაინც გამაგებინე, რომ ცოცხლები ხართ. შენი გიგოო!“



საახალცლო

- მე და თოვლის ბაბოს გვეკუთვნის წასვლა, ტო, შენზე უფრო-
სი ვარ, გაიგე ჯიგაროო?! - თქვა თბილისელმა თოვლის პაპამ და
თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა.

- მე და თოვლის ბებო უნდა წავიდეთ, ჭოუ, შენზე მოხდენილი
ვარ - დაა ხურჯინი „სანკაში“ უკვე ჩავჭვირთეო! - უპასუხა ბა-
თუმელმა თოვლის ბაბუამ.

ბევრი იფიქრეს, როგორ წასულიყვნენ ორი მოსაწვევით ოთხ-
ნი, დაბოლოს შეთანხმდნენ - ცოლები დატოვეს და, პრემიერივით
და პრეზიდენტივით, ცალ-ცალკე დელეგაციებით რომ დადიოდ-
ნენ საერთაშორისო ასამბლებზე და მსოფლიოს აცინებდნენ,
ისე მოთავსდნენ ორივე ერთმანეთის გვერდით, სანტა-კლაუსის
გამოგზავნილ, ირმებშებმულ, მფრინავ მარხილში, გადაიჭირეს
უსაფრთხოების ღვედები და სულ ღიღინ-ღიღინით ჩაფრინდნენ
ლაპლანდიაში. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, იმ მარხილში, თბილისში
თავ-თავიანთი მარხილებით ჩამოსული, სომეხი ძმერ პაპი თა-
ვისი ძიუნანუშიკით და აზერბაიჯანელი შახტა ბაბა თავისი ქარ
ქიზით, ერთმანეთთან ზურგშექცევით ისხდნენ.

* * *

ლაპლანდია ევროპის უკიდურესი ჩრდილოეთით, სკანდინავი-
ის ნახევარკუნძულზე, სამი სახელმწიფოს - ფინეთის, შვედეთისა
და ნორვეგიის საზღვარზე მდებარეობს. აქ, ჩრდილოეთის ციალ-
ით განათებული ცის ქვეშ, ყოველთვის ნახავთ - ათიათასობით
სანტა-კლაუსს, ასიათასობით ირემს და ბევრ თოვლს.

ქვეყანას მართავს ახალგამეფებული სანტა 2017 კლაუსების

დინასტიიდან. სწორედ, მის ინაუგურაციაზე იკრიბებიან სანტა-კლაუსი ყველა ქვეყნისა.

ლაპლანდის დედაქალაქ სანტ-კლაუსბურგის აღმოსავლეთით, მეფის სასახლიდან 20 კილომეტრში მდებარეობს აეროპორტი, რომლის ორივე ბილიკი - ასაფრენიც და დასაფრენიც, გადატვირთულია და ყოველ წუთში ერთხელ, ირმებშებმული მარხილი მიფრინავს შორეულ ქვეყანაში, ან ჩამოფრინდება დედამიწის ყოველი კუთხიდან.

* * *

მარხილი უსაფრთხოდ დაეშვა სანტ-კლაუსბურგის აეროპორტში. ჩამოფრენის დარბაზში, ამიერკავკასიის დელაგაციას სანტას წარმომადგენლები დახვდნენ, დასვეს ციგაზე და სასახლის მთავარ შესასვლელთან მიასრიალეს, სადაც სტუმრების რეგისტრაცია მიმდინარეობდა. ვის არ ნახავდით აქ: - ამერიკელ სანტა-კლაუსს; იაპონელ სეგაცუ-სანს; ბრიტანელ ფაზერ კრისტმასს; ფრანგ პერ ნოელს; გერმანელ სანტ-ნიკოლაუსს; მონღოლ უვლინ უნგუნს; ფინელ იოულუპუკკის; იტალიელ ბაბ-ბო-ნატალეს - წვერებიან ქალ-სანტას; ჩეს მიკულაშს; ჩინელ შან დან ლაოსენს; უკრაინელ დიდ მოროზს; ყაზახ აიაზ ატას; პოლონელ სვიატოი ნიკოლაის; შვედ იულტუმტეს და ბოლოს, არყისგან ცხვირანითლებულ დედ მოროზს, რომელსაც გვერდით სწერუ-როჩკა, ხოლო, დათვის ბენვის მოსასხამის შლეიფის ბოლოებით ხელში, აქეთ-იქიდან, ცხინვალელი არტხურონი და სოხუმელი ატცააბაბადუ, სეფექალებივით მოჰყვებოდნენ. ერთ საათზე მეტი დასჭირდათ თოვლის პაპას და თოვლის ბაბუას იმის მტკიცება, რომ ცოლ-ქმარი არ იყვნენ, და რომ საქართველოში ორი თოვლის კაცი იყო - ერთი აღმოსავლეთ საქართველოს წარმოადგენდა, ხოლო მეორე - დასავლეთს. ბოლოს, მხრები აიჩეჩეს,

- რად უნდა პატარა სახელმწიფოს ორი თოვლის კაცი, აგერ, ამხელა რუსეთი მარტო დედ მოროზითაა წარმოდგენილი!

- ხანჯლები ჩამოართვეს და შეუშვეს. აი, ცხინვალელი არტხურონი და სოხუმელი ატცააბაბადუ კი, მოსაწვევების არქონის გამო, გარეთ დატოვეს. ფონიერი შეკრებილებს, კიბეებით მაღლა აუძღვნენ დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც ინაუგურაცია ტარდებოდა და პარტერში დასვეს. პარტერის აქეთ-იქიდან გადმოკიდებულ ლოუებში საპატიო სტუმრები ისხდნენ: - მარჯვნივ, სამ ლოუაში, თავიანთი ფიფქიებით, ამერიკელი სანტა-კლაუსი, გერმანელი სანკტ-ნიკოლაუსი და ფრანგი პერ ნოელი, მარცხენა ლოუებში კი - რუსი დედ მოროზი, ჩინელი შან დან ლაოუენი და ბრიტანელი ფაზერ კრისტმასი ისხდნენ. დედ მოროზი, ნაბახუსევზე, ალუბლის კომპოტს მიირთმევდა, ხოლო კურკებს, საინფორმაციო პროგრამისგან გაკეთებული მილაკიდან სულის შებერვით, პარტერში მსხდომებს ესროდა.

სცენა, საჩუქრებად ჩამოტანილი ნაძვის, სოჭის, ფიჭვის, კედრის ხეებით იყო მორთული. აქ, კიდევ, ნახავდით თოვლის ბაბუას ჩამოტანილ ჩიჩილაკს, იაკუტიელი ჩისხაანის ჩამოტანილ მორთულ ტუნდრის ბუჩქს - ქამეფიტს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბედუინ ხიზირ ილიასის ჩამოტანილ მორთულ ბაობაბსაც კი.

პროგრამის მიხედვით, გარდა ინაუგურაციისა, გასანტების მეორე ეტაპის წარმატებით დასრულების გამო, ქართველი და უკრაინელი თოვლის კაცებისთვის უნდა მიენიჭათ, „სანტას“ საპატიო წოდება - სანტა-თოვლის პაპა და სანტა-დიდ მოროზი.

- გმადლობთ, რომ ჩამობრძანდით ლაპლანდიაში, დამაფასეთ და ჩემს ინაუგურაციას ესწრებითო. - სამადლობელი სიტყვით გამოვიდა სანტა2017.

- მთელ მსოფლიოში უნდა დავამყაროთ მშვიდობა. 2017 წელს, მშვიდობის წლად ვაცხადებ. ყველა სანტა თანასწორი იქნება, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, კანის ფერისა და უფლებამოსილების არეალის სიდიდისა. სანტობა შეეძლება ყველას, ვისაც ექნება: - წრფელი გული, სანტას სამოსი, საჩუქრებით სავსე ტომარა, არ ატარებს იარალს, ბუხრის მილში ძრომისას, არ

ანუხებს კლაუსტროფობია და კლეპტომანია - სხვისი ნივთების მითვისებისკენ მიდრეკილება. სანტა და ფიფქია შეიძლება, რომ იყვნენ კაცი და ქალი, შეიძლება იყვნენ ორივე კაცი, ან ორივე ქალი, ან პირიქით - სანტა იყოს ქალი და ფიფქია - კაციო! - კიდევ ბევრი ილაპარაკა სანტა 2017-მა, მაგრამ, თავს აღარ შეგაწყენთ მისი გამოსვლის დეტალებით. ბოლოს, ქართველი და უკრაინელი თოვლის კაცების სანტად მიღების ჯერი დადგა, მაგრამ პარტერიდან

- დურენ ტი, დურენო! - იღრიალა უკრაინელმა დიდ მოროზმა და ქუდჩაბლუჯული მარჯვენა ხელი მოხარხარე რუსი დედ მოროზისკენ გაიშვირა, ხოლო მარცხენათი, გადაპარსულ თავზე, ალუბლის კურკისგან დატოვებულ ვარდისფერ ლაქას დაუწყო ზელვა. ატყდა ერთი ალიაქოთი. კენჭისყრის პროცედურა ჩაიშალა და მომავალი წლისთვის გადაიდო. დედ მოროზს კი, კურკების სასროლი მილი ხელნაკეთ ტერორისტულ იარაღად ჩაუთვალეს, ლაპლანდიდან გააძევეს და ეკონომიკური ბლოკადაც გამოუცხადეს. ისე მოკურცხლა დედ მოროზმა, თავის სნეგუროჩეასთან ერთად, სამშობლოსაკენ, რომ სულ დაავინწყდა თავისი ცხინვალელი და სოხუმელი მხლებლების წაყვანა.

ჩასხდნენ მარხილში ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი თოვლის კაცები, ცოტა შემჭიდროვდნენ, ჩაისვეს დარცხვენილი და ყურებჩამოყრილი ატცააბაბადუ და არტხურონი და ღილინდილინით ჩამოფრინდნენ თბილისში.

* * *

თბილისში, მთელი საქართველოდან შეკრებილიყვნენ თოვლის პაპები და ბაბუები, გაშლილ სუფრასთან ელოდნენ ლაპლანდიდან დაბრუნებულებს. იყო მოკითხვა, ხვევნა-კოცნა. განსაკუთრებით, ცხინვალელი არტხურონის და სოხუმელი ატცააბაბადუს ნახვა გაუხარდათ. სამი ჭიქის მერე კი, ხელგადახვეულები მღეროდნენ „მრავალუამიერს“. საღამოს, სომეხი ძმერ

პაპი და აზერბაიჯანელი შახტა ბაბა მასპინძლებს გამოემშვი-
დობნენ, ჩასხდნენ მარხილებში, წითელ ხიდამდე გვერდიგვერდ
იარეს, წითელ ხიდთან ერთმანეთს დაემშვიდობნენ და თავ-თა-
ვიანთ გზას დაადგნენ.

* * *

საქართველოს თოვლის კაცებმა კი ფიციდადეს, რომ დღეიდან
ერთად იქნებოდნენ და ყოველ ახალ წელს თბილისში შეხვდე-
ბოდნენ. ნოტარიუსი არ დასჭირვებიათ, რადგან თითოეულის
სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა. დილამდე ქეიფს, ქართლ-კახურ
„მრავალუამიერს“, იმერულ „ჩარირამას“, აჭარულ „განდაგანას“,
მეგრულ „ჯანსულოს“, გურულ „კრიმანჭულს“, რაჭულ „რაშოვ-
დას“, სვანურ „ლილეოს“, აფხაზურ „ვარადოს“, ცეკვა „ოსურს“
- დანარჩენი, თქვენც ხომ იქ იყავით, იქნებ გამახსენოთ - ხელს
ვერ უშლიდა კავკასიონის გადაღმიდან, გამძვინვარებული დათ-
ვის გაცოფებული ლრიალი.



„დიდოსტატის“ მარჯვენა

სამშენებლო კომპანია „დიდოსტატის“ ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე, მაღლივი შენობის ქვედა ხუთი სართული ეკავა. კომპნიას, „დიდოსტატი“, სვეტიცხოვლის ტაძრის ამგებ უტა არსაკიძის გამო კი არ შეარქვეს, დამფუძნებელი და დირექტორი - ბატონი ვახტანგ ნარჩემაშვილი, მუქთა ფულის შოვნის დიდოსტატი გახლდათ - კანონები ზეპირად იცოდა და ისეთს „დახლართავდა“, მოსამართლე კი არა, ეშმაკიც ვერ გაუგებდა თავსა და ბოლოს.

გაყიდვების სამსახური და საგამოფენო დარბაზი შენობის პირველ სართულზე იყო განლაგებული. შესულ კლიენტს, გაყიდვების მენეჯერი ჯერ თავის კაბინეტში, კომპიუტერის ეკრანზე მოაწონებდა ბინას, მერე საგამოფენო დარბაზში გაიყვანდა და იქ ისეთ „მასტერკლას“ ჩაუტარებდა, რომ კლიენტებს უკვე საკუთარ ბინაში ეგონათ თავი და იქიდან გამოსვლა აღარ უნდოდათ. მერე, ისევ კაბინეტში შეიყვანდა, სართულს და ხედს აარჩევინებდა, ფასზეც მოურიგდებოდა, „ხათრით“, 10 პროცენტსაც დაუკლებდა და მეორე სართულზე აგზავნიდა იპოთეკური სესხის გასაფორმებლად.

* * *

აკაკი ლონდაძე თბილისელი კაცი იყო. ცოლთან - ლიასთან და შვილთან - დიტოსთან ერთად ცხოვრობდა დიდუბეში, სამტრედიის ქუჩაზე, რვასართულიანი კორპუსის მესამე სართულზე, ოროთახიან ბინაში.

- ბიჭმა ცოლი უნდა მოიყვანოს, ცალკე ბინა სჭირდებაო! -

შეუჩნდა ლია ქმარს. ტელევიზიით, მშენებარე ბინების შეთავაზების რეკლამა მოხვდათ თვალში. ასე მივიღნენ ცოლ-ქმარი სამშენებლო კომპანია „დიდოსტატის“ ოფისში და ბედნიერები წამოვიდნენ იქიდან.

* * *

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „დიდოსტატ-კრედიტი“ შენობის მეორე სართულზე იყო განთავსებული. სადაც, უკვე „დამუშავებულ“ კლიენტებს, ახალგაზრდა და სიმპათიური გოგო-ბიჭები სესხის პირობებს გააცნობდნენ: - აშენებული და გარემონტებული ბინა კლიენტს ერთ წელიწადში უნდა ჩაბარებოდა. ლირებულების 30 პროცენტის გადახდის შემდეგ, დარჩენილი ლირებულება 10 წელიწადზე ნაწილდებოდა. თვიური გადასახადი დიდი არ იყო. ამიტომ, კლიენტები კმაყოფილები და ბედნიერები მიდიოდნენ სახლში.

* * *

გაყიდეს ბინა, იმავე კორპუსში ერთოთახიანი იქირავეს. აღებული თანხის ნაწილი ორი ორთოხიანი ბინის მშენებლობაზე შეიტანეს. დანარჩენი ბანკში დადეს ანგარიშზე. ცოლ-ქმარი პენსიას იღებდა, დიტო მუშაობდა. სარისკო არაფერი იყო. ერთ წელიწადში, გარემონტებული ორი ბინა ბარდებოდათ. ოჯახის ხარჯებს და ყოველთვიურ გადასახადს, დიტოს ხელფასი და მათი პენსია თავისუფლად ჰყოფნიდა. ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი, თუ დიტო სამსახურს დაკარგავდა, ერთი წლის სამყოფი ბინის ქირის და სესხის დასაფარი ყოველთვიური შესატანი თანხა, ანგარიშზე ედოთ. ერთი წლის შემდეგ, ორ ბინას რომ მიიღებდნენ, ერთში იცხოვრებდნენ, ხოლო მეორეს გააქირავებდნენ, საიდანაც აღებული ქირის ოდენობა, თავისუფლად ეყოფოდა სესხის დაფარვას. - ეს, უარეს შემთხვევაში, ჩვეულებრივ პირობებში კი, ერთ ბინაში თვითონ იცხოვრებდნენ, მეორეს დიტოს მისცემდნენ.

ერთი წლის თავზე, ბინა რომ არ ჩაბარდათ და ადგილზე მი-
ვიდნენ, ნახეს, მშენებლობა ჯერ დაწყებულიც არ იყო. ირბინეს,
კომპანიის ოფისშიც იკითხეს, მაგრამ ვერავინ უთხრა, ბინები
როდის ჩაბარდებოდათ. შესაბამისად, ამათაც გააჩერეს სესხის
დაფარვა. ცოტა ხანში, „დიდოსტატ-კრედიტიდან“ მოადგნენ და
ჯერ არმილებული ბინების ჩამორთმევაზე დაუწყეს დავა. ამათ
სასამართლოში უჩივლეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას. სა-
სამართლომ

- სამშენებლო კომპანია „დიდოსტატს“ და მიკროსაფინანსო
ორგანიზაცია „დიდოსტატ-კრედიტს“ ერთმანეთთან საერთო
არაფერი აქვთ და საჩივარი არ დაკმაყოფილდება, სამშენებლო
კომპანიას უჩივლეთო!

ამასობაში, ცხინვალის ომი დაიწყო და დიტო საბრძოლველად
ჯარში გაიწვიეს. იქიდან, დაჭრილი, საავადმყოფოში მოხვდა.
საავადმყოფოდან კი, ეტლზე მიჯაჭვული, წელსქვევით პარალი-
ზებული მიუყვანეს დედ-მამას.

* * *

- ყველაფერს ვყიდით, არაფერს ვიტოვებთ, ჩემი ოჯახით,
ნაქირავებში გადავედი, რომ მოსახლეობა ან ბინებით დავაკმაყ-
ოფილო, ან თანხა დავუბრუნოო! - ტელევიზიით გამოვიდა მთა-
ვარი „დიდოსტატი“ - ბატონი ვახტანგი. ელოდნენ კიდევ რამ-
დენიმე თვეს, მაგრამ დაკმაყოფილებული რომ ვერავინ ნახეს,
სამშენებლო კომპანიას სასამართლოში უჩივლეს.

- სამშენებლო კომპანია „დიდოსტატი“ გაკოტრებულია, გაყ-
იდული ქონებიდან ამოღებული თანხით სახელმწიფოს მიმართ
ვალები დაიფარა. დამთუქნებელს კი, არაფერი გააჩნია, ან-
გარიშები დაყადაღებული აქვს, თუ რამე ექნება, პირველ რიგში
დაკმაყოფილდებითო! - განაჩენი გამოაცხადა მოსამართლემ.

- ეგნიც ჩემ დღეში ყოფილან, თურმე, აღარაფერი გააჩნი-
ათო! - დაწყნარდა აკაკი, თუმცა, შიმშილით იხოცებოდნენ და

ბინის პატრონიც, ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, გამო-სახლებით ემუქრებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა, სამტრედიის ქუჩისა და სანაპიროს კუთხეში დადგა სამათხოვროდ. გულმა კი, მაშინ უმტყუნა, შუქნიშანზე გაჩერებული „მაიბახის“ უკანა, მარ-ჯვენა დამუქებული მინა რომ ჩამოიწია და იქიდან გამოყოფილმა „დიდოსტატის“ მარჯვენამ, 20 თეთრიანი ჩაუდო სამათხოვროდ გაწვდილ ხელში.



ემიგრაცი

სახლიდან გამოვიდა, ფილიპ-სტრიტს გაუყვა მე-9 ავენიუმდე, მერე მარცხნივ გაუხვია, ჯეფერსონ-სტრიტამდე, იქიდან მარჯვნივ, ორას მეტრში, ვიქტორიას პარკში, თავის საყვარელ სკამზე ჩამოჯდა.

საღამოობით, თბილ ამინდში, აქ გამოდიოდა, აქ ახსენდებოდა თავისი ბავშვობა - ბალის ბოლოში, ხეებში ჩაფლული, აივნიანი აგურის სახლი. ჭიშკრიდან სახლამდე გრძელი ხეივანი, ორივე მხარეს ჩაყოლებული იასამნებით... ჩანთიდან თვითმფრინავის ბილეთი ამოიღო, დიდხანს დაჰყურებდა: - ნაშვილი-ნიუ-იორკი-დუბლინი-სტამბული-თბილისი - სამ დღეში საქართველოში იქნება, ქმარ-შვილს ჩაეხუტება, აქ აღარ დაბრუნდება...

* * *

დალი ქირია ხამისკურში დაიბადა, უფრო სწორად - საქირიოში - ლამაზ, მრავალშვილიან, ქართულ ოჯახში, სიყვარული და ბედნიერება რომ დუღდა და გადმოდუღდა. ერთმანეთს ეფერებოდნენ და ტკბილი მეგრულით, „სკანი გოლუაფიროთი“ მიმართავდნენ. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და პირველივე წელს მოეწყო სამედიცინო ინსტიტუტში. მერე ექვსი წელი სწავლა, კიდევ ორი წელი ორდინატურა, მერე სამსახური - ექიმის საპასუხისმგებლო პროფესია, დისერტაცია, კარიერული აღმასვლა. 32 წლისა გათხოვდა სანდრო კილაძეზე - დედისერთა, თბილისელ კაცზე, მშობლებს რომ შესცქეროდა ხელებში და დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება არ შეეძლო. სამსახური კი ჰქონდა, მაგრამ დომინოს თამაშის მეტს არაფერს აკეთებდა.

ერთ წელიწადში ბიჭი შეეძინათ - ლაშა.

მალე, საქართველოში არეულობა დაიწყო, ინფლაციამ ისეთ დონეს მიაღწია, პროდუქტი დილით სხვა ფასი ლირდა და საღამოს სხვა. ერთი თვის ხელფასი ორ პურს ძლივს ჰყოფნიდა. სანდრო სამსახურიდან გამოუშვეს, მაგრამ მისთვის არაფერი შეცვლილა - მთელი დღე ეზოში იჯდა და დომინოს უჭახუნებდა. ოჯახის სიმძიმე დალის დააწვა კისერზე. საავადმყოფოში ლამის ცვლაშიც რჩებოდა, მაგრამ ოჯახი მაინც შიმშილობდა.

სამსახურში, თანამშრომელმა გოგომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივი ვიზის აპლიკაცია შეავსებინა

- იქნებ გაგიმართლოს! - მართლაც, გაუმართლა, დადებითი პასუხი მიიღო. მეზობლისგან ისესხა ფული, იყიდა წასასვლელი და უკან დასაბრუნებელი თვითმფრინავის ბილეთი იმ იმედით, რომ ფულს დააგროვებდა და რამდენიმე თვეში უკან დაბრუნდებოდა, ჩაალაგა ბარგი-ბარხანა, შვილი დას ჩააბარა და გაუდგა ამერიკის გზას.

ქალაქ ნაშვილში იშოვა სამსახური - მოხუცმა ქალმა აიყვანა მომვლელად. კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს - მომვლელიც იყო, ექიმიც და მეგობარიც. იქვე ცხოვრობდა, იმ მოხუცმა მისი ჭამა-სმა თავის თავზე აიღო. ამიტომ, დალი ხელფასს უკლებლივ აგზავნიდა საქართველოში. არ გამოუვიდა რამდენიმე თვეში დაბრუნება, უკან დასაბრუნებელი ბილეთი გაუფუჭდა, მაგრამ მაინც ინახავდა, როგორც თილისმას, რომელიც უკან დაბრუნების იმედს უტოვებდა. მხოლოდ 5 წლის შემდეგ ჩამოვიდა. შვილმა ვერ იცნო, არ მიეკარა...

საქართველოში მდგომარეობა თითქოს დაწყნარებული იყო, ახალი ფული - ლარი კარგად მუშაობდა, მაგრამ ქმარს, ბინის რემონტისთვის, ბანკიდან სესხი გამოეტანა და მისი გამოგზავნილი ფულით, ყოველთვიურად იმ სესხს ფარავდა. მიხვდა დალი - წასვლას ვერ ასცდებოდა. ისევ იყიდა წასასვლელი და დასაბრუნებელი ბილეთი, ჩაალაგა ბარგი-ბარხანა და ისევ გაუდგა ამერი-

კის გზას. იგივე მოხუცი გაახარა თავისი მისვლით. ისევ გააფუჭა უკან დასაბრუნებელი ბილეთი. ისევ შეინახა თილისმად - იმედად უკან დაბრუნებისა.

მხოლოდ, 7 წლის შემდეგ დაბრუნდა. ბიჭი უკვე 13 წლის იყო. ცივად შეხვდა დედას - „თქვენობით“ მიმართა. ქმარი ისევ დომინოს უჭახუნებდა ეზოს კაცებთან. „აქსისის“ ბინა აეღო და იმის ფულს იხდიდა. ისევ იყიდა წასასვლელი და დასაბრუნებელი ბილეთი, ჩაალაგა ბარგი-ბარხანა და ისევ გაუდგა ამერიკის გზას.


10 წლის შემდეგ დაბრუნდა. ბიჭი, ცოლთან და ბავშვთან ერთად, „აქსისის“ ბინაში გადასულიყო. სანდროს ვილაც ქალი მოეყვანა და თავისთან აცხოვრებდა.

- რა, გეგონა ბერად შევდგებოდი და შენ დაგელოდებოდი? უნდა შეეგუო ამას, ისე ოჯახისთვის ჯობდა, იქ გემუშავა და არ ჩამოსულიყავიო! - უთხრა სანდრომ.

შვილთან გადავიდა დალი საცხოვრებლად

- კი არ გაგდებ, მაგრამ, რომ ვიცოდე, აქ როდემდე უნდა იცხოვროო? - ორი კვირის თავზე ჰკითხა ლაშამ.

ჩაალაგა დალიმ თავისი ბარგი-ბარხანა, მხოლოდ წასასვლელი ბილეთი იყიდა, უკან დასაბრუნებელი ბილეთი აღარ უყიდია...



გუგული

- ოთარ, გენაცვალე, ჩემმა ბიჭმა, პაატამ, პოლიტექნიკური დაამთავრა, ამასწინათ რომ შემპირდი, იქნებ შენთან მოაწყოო! - გაახსენა კოლეგამ სიმთვრალეში დანაპირები. რა გაეწყობოდა, ნათქვამია - პირობა კაცს ცოლს წაართმევსო! - დატრიალდა ბატონი ოთარი და კვლევით ინსტიტუტში, თავის ლაბორატორიში მიაღებინა მესამე კატეგორიის კონსტრუქტორად.

* * *

გუგული საკუთარ ბუდეს არასდროს აგებს, ამიტომ, კვერცხს, იმავე სახეობის ფრინველის ბუდეში დებს, რომელშიც თვითონ გაიზარდა.

* * *

ლაბორატოიის გამგე - ბატონი ოთარი, 65 წელს გადაცილებული კაცი იყო. მშრომელი, მცოდნე, თან ყველას უყვარდა. ამიტომ, პატივს სცემდნენ და პენსიაზე გასაშვებად ვერ იმეტებდნენ. ბატონი ოთარის ლაბორატორია, განყოფილებაში ყველაზე მოწესრიგებული და მეგობრული იყო.

მთავარი კონსტრუქტორი დათო, ძირითადად, ტექნიკური დავალებების შედგენით და პროექტების შემოწმებით იყო დაკავებული. კირკიტა ხასიათის პატრონს, ერთი შეცდომა არ გაეპარებოდა. განყოფილებაში ავტორიტეტით სარგებლობდა და ლაბორატორიის გამგის მოადგილედ ითვლებოდა.

წამყვანი კონსტრუქტორი ლევანი, ლაბორატორიის სული და გული იყო. დათოსგან მიღებული ტექნიკური დავალების მიხედ-

ვით, პრინციპიალურ სქემას ხაზავდა და სამონტაჟო ნახაზების შესრულებას, მეორე კატეგორიის კონსტრუქტორს - ნათიას, ხოლო პანელის და პულტის ნახაზების შესრულებას, მესამე კატეგორიის კონსტრუქტორს - ლიკას ავალებდა.

* * *

გუგულის კვერცხიდან, მასპინძელი ფრინველის კვერცხზე ადრე იჩეკება ბარტყი, რომელსაც ინსტინქტი დაჰყვება - გამოუჩეკავი კვერცხები ბუდიდან გადმოყაროს.

* * *

ახლადმიღებული პაატა, ბატონმა ოთარმა, ლევანს ჩააბარა. პაატა ნიჭიერი ბიჭი გამოდგა. ჯერ, პანელის და პულტის ხაზვით დაიწყო, მერე სამონტაჟო სქემებზე გადავიდა. ექვს თვეში, უკვე პრინციპიალურ სქემებს ხაზავდა და ექსპერიმენტულ საამქროშიც ჩადიოდა საცდელი დანადგარების გასაშვებად. მალე, მეორე კატეგორიის კონსტრუქტორად დააწინაურეს და, კიდევ ცოტა ხანში, პირველი კატეგორიის კონსტრუქტორად გადაიყვანეს. ლიკასთან რომანი გააბა, ნათიას დაუმეგობრდა, ლევანთან დაძმაკაცდა.

- ბიჭო, ოჯახი გყავს, მეორე სამსახურს რატომ არ იშოვი, შენს საქმეს მე მივხედავო?!

- დახმარება შესთავაზა პაატამ ლევანს. ლევანს რჩევა ჭკუაში დაუჯდა, შეთავსებით, მეორე სამსახური იშოვა და ლაბორატორიაშიც ორი საათით თუ შემოირბენდა. პაატა წამყვან კონსტრუქტორად დააწინაურეს. დათოს მიერ უკვე შემოწმებული ნახაზების გადაკეთება დაიწყო. ბოლო დროს, საამქროში ჩაშვებული ყველა დანადგარი არასწორად მუშაობდა და ყველაფერი დათოს ბრალდებოდა. „ბრაკოდელი“ შეარქვეს და მთელი განყოფილების დასაცინი გახდა.

- დათო, დალევ რამესო? - ჰერითხავდა პაატა.

- ჟო, რა ვიციო?!

- უპასუხებდა დაბნეული დათო. დანარჩე-

ნებს დაპატიჟებდა. თუ იკითხავდნენ

- დათო რატომ არ არის?

- მე დავპატიჟე, მაგრამ არ გვიკადრაო! - პასუხობდა. ბატონ ოთარს თამადად აირჩივდნენ, კარგად იქეიფებდნენ, დათოზე იშაყირებდნენ.

- ბატონო ითარ, „ბრაკოდელი“ დავითა თქვენი საყრდენია? შეუცვლელიაო? ბურჯიაო? - წკეპლას მოიქნევდნენ ბატონი ოთარისკენაც.

- გუშინ გიქეიფიათ, რატომ არ მითხარიო?! - დათო თუ ჰკითხავდა,

- ხომ გითხარიო?! - პასუხი მომზადებული ჰქონდა.

- ერთი დათოს დედაც, სულაც, გავუშვებ სამსახურიდან!

- ერთ საღამოს თქვა შეზარხოშებულმა ბატონმა ოთარმა და, რადგან სიტყვის კაცი იყო, მეორე დღეს, დათოს სამსახურიდან განთავისუფლებაზე განცხადების დაწერა მოსთხოვა. პაატა დააწინაურეს, დათოს ადგილზე დანიშნეს და ლაბორატორიაში, ვაკანტურ ადგილზე, მეგობრის მოყვანის ნებაც დართეს.

მოუხშირა პაატამ ქეიფების გამართვას. თვითონ, სასმელს წრუპავდა, სხვებს აძალებდა. მოსწონდა ბატონ ოთარს ახალ-გაზრდებთან ერთად ქეიფი და თამადობა, მაგრამ მეორე დღეს, ნაბახუსევზე უჭირდა სამსახურში გასვლა. პაატა კი, ზუსტად იმ დღეს ისეთ პრობლემას წააწყდებოდა, რომ განყოფილების გამგე - ბატონი როლანდი, იძულებული ხდებოდა თათბირი ჩაეტარებინა. რა თქმა უნდა, თათბირს, ბატონი ოთარის მაგივრად, პაატა ესწრებოდა.

- დაგვიბერდა ოთარიო! - ფხუკუნებდნენ თათბირის მონაწილეები.

- რას ამბობთ, ბატონი ოთარი შეუცვლელიაო! - პასუხობდა მათ პაატა. მეორე დღეს, ბატონი ოთარი ამ ამბავს იგებდა და სულ უფრო ენდობოდა და ემადლიერებოდა პაატას. მალე, ბატონმა ოთარმა, პენსიაზე გასვლაზე დაწერა განცხადება და

ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე, თავის შემცვლელად,
პაატა დაასახელა. არავის გაუპროტესტებია.

* * *

- დროებით, ჩემი მოვალეობის შემსრულებლად პაატას ვტოვე-
ბო - ერთ-ერთ თათბირზე გამოაცხადა ბატონმა როლანდმა და
დამშვიდებული გულით, რომ პაატა ცუდს არაფერს იკადრებდა,
შვებულებაში გავიდა.



ქალიშვილი

ზაზა და მაია კლასელები იყვნენ, თან მეზობლები - ერთ ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ერთმანეთისგან 100 მეტრის დაშორებით. კლასშიც, თითქმის ერთად ისხდნენ: წინა მერხზე მაია, მის უკან - ზაზა. მთელი ექვსი გაკვეთილის განმავლობაში, ზაზა, მაიას სუფთად გადაყოფილ კეფას და იქიდან ჩამოზრდილ ორ ნაწნავს შეჰყურებდა, რომელთა ბაფთებშებმული ბოლოები ლამაზად ეწყო მის მერხზე. საკონტროლოს წერისას, მაია, მის ზურგს უკნიდან, გადასაწერად კისერნაგრძელებულ ზაზას, ნაწნავის უკან გადაგდებისას, ვითომ შემთხვევით, თავში იდაყვს მიარტყა-ამდა და რვეულს ხელს მიაფარებდა.

ერთხელაც, ზაზამ სკოლაში ჩაქუჩი და ლურსმნები რომ წაიღო, ორივე ნაწნავი მერხზე მიუჭედა და, გაკვეთილის მოსაყოლად ნამომდგარ მაიას, თავი უკან გადაუვარდა, იმის მერე, ნაწნავები მის მერხზე აღარ დაულაგებია. ბევრი იუარა ზაზამ

- მე რა ვიცი, ვინ დაუჭედაო! - მაგრამ, ყველაფერი იმდენად ნათელი იყო, რომ მეორე დღისთვის, მასწავლებელმა მშობელი დაიბარა და, ვინაიდან, ზაზასთან ყველაზე ახლოს მაია ცხოვრობდა, მშობელთან „მოსაწვევი“ მას გაატანა. მთელი საღამო ელოდა ზაზა საზიზლარი მაიას გამოჩენას. ქუჩიდან პატარა ხმაურზეც კი, შიშით გული ეკუმშებოდა, მაგრამ, რატომღაც, არ მივიდა. მეორე დღეს

- ზაზას მშობელი რატომ არ მოვიდაო?! - მასწავლებელმა რომ იკითხა,

- ზაზამ ბოდიში მომიხადა და ვაპატიე. თუ შეიძლება, თქვენც აპატიეთო! - სთხოვა მაიამ.

- ამ ბავშვებისას რას გაიგებო?! - ხელი ჩაიქნია მასწავლე-

ბელმა. გაკვეთილის ბოლოს, ზაზა რომ გადაიწია და მადლობის ნიშნად, მაიას ნაწილებს შორის კისერში აკოცა, თავში ისეთი თხლაშანი მიიღო, რომ თვალთ დაუბნელდა. თუმცა, შემდეგ საკონტროლოზე, რვეული მარცხნივ გადმოიწია და მოფარებული ხელიც მოსცილდა. გოგოს ნაწილებს შორის მორიგი კოცნა აღარ გაუპროტესტებია, შეიშმუშნა, გაწითლდა და სხეულში სასიამოვნო ურუანტელმა დაურბინა.

* * *

- ეგ საზიზლარი, რა კარგი იქნება, რომ მოკვდეს, მანქანა დაეჯახოს! დიდ შესვენებაზე, იმ ორი „ბოჩქის“ - ნანასა და დოდოს შორის ჩამჯდარიყო და კინოს უყვებოდა! ნეტავ, სკოლის მერე, სახლში მიმაცილებს?

* * *

სკოლის დამთავრების შემდეგ, მაია უნივერსიტეტში მოეწყო, ზაზა ჩაიჭრა და ჯარში გაიწვიეს. ახალწვეულები სამგორის სადგურში შეკრიბეს. კლასელ ბიჭებთან ერთად, მაიამაც გააცილა. ცოტა ხნით განმარტოვდნენ და კოცნით დაემშვიდობნენ ერთმანეთს. პირველი ექვსი თვე უკრაინის ქალაქ ჟიტომირში იხდიდა სავალდებულო სამსახურს. ექვსი თვის შემდეგ კი, ავღანეთში გაამწესეს.

ყინულივით ცივი იყო მაია, ბიჭებს ახლოს არ იკარებდა. ბიჭებიც, როცა იგებდნენ, რომ საქმრო ავღანეთში იბრძოდა, თავს ანებებდნენ. მშობლებმა დაიწყეს სირბილი, მაჭანკლებიც აფუთ-ფუთდნენ, მაგრამ მაია ყველას ცივი უარით იშორებდა.

* * *

- ეგ საზიზლარი, რა კარგი იქნება, რომ მოკვდეს, ბრმა ტყვიამ შუბლი გაუხვრიტოს! რამდენი ხანია, წერილი არ მოუწერია! ნეტავ თუ ვახსოვარ?

* * *

ორ ნელინადში ჯარიდან ჩამოვიდა. მაიას ოჯახში მივიდა, ცოლად გაყოლა სთხოვა. ოჯახმა ცუდად მიიღო

- ჯერ უნივერსიტეტი უნდა დაამთავროსო! - ცივად უთხრეს უარი. მაიამ ზაზასთან ერთად გაპარვა ვერ გაბედა, ცოტა მოვიცადოთო! როგორც ავლანეთში ნაბრძოლი, ზაზა იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე უგამოცდოდ დასვეს. იქ გაიცნო ირინა - ლამაზი გრძელფეხება გოგო - გაიცნო და ცოლადაც მოიყვანა. ირინა მკაცრი და მომთხოვნი გამოდგა. რომ გაიგო მაიას არსებობა, საერთოდ აუკრძალა კლასელებთან ურთიერთობა. ზაზამ უნივერსიტეტი დაამთავრა და შუახევის რაიონში გაანაწილეს ნოტარიუსის თანაშემწედ. შემდეგ, ბათუმში გადაიყვანეს ნოტარიუსად.

* * *

- ეგ საზიზლარი, რა კარგი იქნება, რომ მოკვდეს, ზღვაში დაიხრჩოს! ბათუმში შემხვდა, ცოლთან ერთად მოდიოდა. ვითომ, ვერ დამინახა, ისე ჩამიარა! ნეტავ ბედნიერია?

* * *

ისევ ეძებდნენ მშობლები შესაფერის სასიძოს. ისევ ფუთ-ფუთებდნენ მაჭანკლები მაიას გარშემო. ისევ ყველას უარით ისტუმრებდა მაია.

ზაზას და ირინას ბავშვი არ შეეძინათ. ან, ირინამ არ ისურვა, რომ შესძენოდათ. ქმარს ოფიციალურად გამოემშვიდობა, დაჰკურა ფეხი და თბილისში წამოვიდა. ამასობაში, ქვეყანა ქაოსმა მოიცვა, მილიცია, შიშით, ქუჩაში ვერ გამოდიოდა. ბათუმში ვითომ სიწყნარე იყო, მაგრამ იარაღი რომ მიადეს და წართმეულ ავტომობილზე, გენერალური მინდობილობა ძალით გააკეთებინეს, დაყარა ყველაფერი, გერმანიის ვიზა აიღო და უკანმოუხა-დავად მოუსვა.

* * *

- ეგ საზიზლარი, რა კარგი იქნება, რომ მოკვდეს, მაგის თვითმ-ფრინავს შასი არ გაეხსნას! უცხოეთში ისე წავიდა, არ გამომემშ-ვიდობა! ნეტავ, კიდევ ვნახავ?

* * *

ისევ ეძებდნენ ნათესავები შესაფერის სასიძოს. ისევ ფუთ-ფუთებდნენ მაჭანკლები მაიას გარშემო. ისევ ყველას უარით ის-ტუმრებდა მაია.

კლასელის გასვენებაში შეხვდნენ ერთმანეთს. ზაზა თბილისში გადმოსულიყო და ადვოკატობა დაეწყო. თმები შევერცხლოდა, ევროპული იერი დასდებოდა. კლასელები ქელებში არ დარჩნენ. რესტორანში შევიდნენ და ჭიქა წაუქციეს. ბავშვობა გაიხსენეს. შეზარხოშებულზე, ვიღაცას ზაზას და მაიას ბავშვობის სიყვარ-ული გაახსენდა. და დაიწყო

- თქვენ უნდა შეუდლეთო!

- ხელს რა გიშლითო?!

- ერთმანეთზე უკეთესს ვის იპოვითო?! - დაითანხმეს...

ასეთი მაია არავის უნახავს - სადა, ცისფერი კაბა ეცვა, ამბი-ონზე იდგა, ზაზას ხელი ჩაებლუჯა, გაბადრულ სახეზე ნაოჭები გამქრალიყო, თვალებში ვარსკვლავები უციმციმებდა, ერთ წერტილს მიშტერებოდა,

- ნუთუ, ეს ცხადიაო?! - ჩურჩულებდა...

* * *

- ეგ საზიზლარი, რა კარგი იქნება, რომ მოკვდეს, ინფარქტმა დაარტყას და გული გაუსკდეს! პატარა გოგოებში დაეთრევა. - შენ, ჩემთვის, ისევ ის საყვარელი ბავშვი ხარ და ვერ გაკადრებო! - ვის შევჩივლო, რომ 50-ს გადაცილებული გათხოვილი ქალი, ისევ ქალიშვილი ვარ?! ნეტავ, ჩემი გამომცხვარი ხაჭაპური მოე-წონება?

პირზა

თბილისის ქუჩებში, სადარბაზოს წინ გაწოლილი, თლილი ქვის საფეხური, ბირჟების აუცილებელ ატრიბუტს და დასაყრდენს წარმოადგენდა.

ჩემს ქუჩაზე, ოთხი ბირჟა იყო: - უსაქმურების ბირჟა - სადაც დღედაღამ სიცოცხლე სჩექფდა და ქვის საფეხური მუდმივად დაკავებული იყო; „სტარიკების“ ბირჟა - სადაც მეორე მსოფლიო ომს არჩევდნენ, ყველაზე მაგარ მანქანად „ვოლგა“ ΓΑ3-21 მიაჩნდათ და ბორის პაიჭაძის თამაშებს იხსენებდნენ; „შავების“ ბირჟა - სადაც უბნის შავი საქმეები ირჩეოდა და მშრომელების ბირჟა - სადაც საღამოობით, სამსახურიდან მოსული, დაღლილი ბიჭები, ვახშმის შემდეგ, გვიან ღამემდე, სადარბაზოს წინ ქვაზე ჩამოსხდებოდნენ, ზოგიც იქვე ჩაიკუზებოდა და უყვებოდნენ ერთმანეთს ათას ჭორსა და მართალს - ფეხბურთზე, მანქანებზე, ვის ვინ უყვარდა, ვინ ვისთან დადიოდა...

* * *

სამველა წერს ესიანი და მუსა ბაბახანოვი, ბავშვობის ძმაკაცები იყვნენ, ისევე, როგორც მათი მამები და სავარაუდოდ პაპებიც. სამველა თბილისელი სომეხი იყო, მუსა - თბილისელი აზერბაიჯანელი. მუსა „უეშტიანჩიკი“ იყო, სამველა - მანქანების „მალიარი“. საზიაროდ, იაფად, ყიდულობდნენ ნაავარიებ ჟიგულებს, არემონტებდნენ, „სპიდომეტრს“ ჩამოჰყრიდნენ და „კუკლას“, საკმაოდ ძვირად ჰყიდდნენ გაჩიანის მანქანების ბაზრობაზე.

ირაკლი ამბობდა - მერე ანეკდოტად გავრცელდა, თორემ ამათ შეემთხვათო: - სამველას მუსა თავის ეკლესიაში წაუყვანია,

უნდა მოგნათლოო! თავის მღვდელთან მისულა

- აზერბაიჯანელი ძმაკაცი მყავს და მონათვლა მინდაო!
- მოიყვანეო! - უთვამს მღვდელს.
- მაჰმადიანი რომ არისო?
- არა უშავს, მოიყვანეო!
- დაცვეთილი რომ აროსო? - არ შეშვებია სამველა.
- მაშინ, შენ კანი მოქაჩე, და მე „ავერლოკს“ დავარტყამო! - უპასუხია გაბეზრებულ მღვდელს. არავინ იცის, დაარტყეს თუ არა მუსას „ავერლოკი“, რადგან სამველას და მუსას, ბირჟაზე, ამ თემაზე არ უსაუბრიათ.

* * *

ვალოდია პილიევი თბილისელი ოსი იყო. დამკრძალავ ბიუროში მუშაობდა „კატაფალკაზე“ მძღოლად. ერთხელ, ვალოდია ქორწილში ყოფილა, კარგად დამთვრალა და წამოსვლისას ოჯახი უდღეგრძელებია

- გაიხარეთ თქვენი წილიმე, გამრავლდით! მე კიდევა, ღმერთმა ქნას, ამ ოჯახში ხშირად მოვიდეო!
- მოიცა, შენ „კატაფალკაზე“ არ მუშაობო? - იცნო ერთმა.
- კიო! - მიცნესო, გაიხარა ვალოდიამ.
- მერე ვის სწყევლი, ვის ოჯახში აპირებ ხშირად მისვლასო?! - გაიგდეს ვალოდია წიხლქვეშ და რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიგანე მისცეს.

სამველა ყვებოდა:

- მე და ვალოდია ავტობუსით მივდიოდით, ვალოდიას ხურდა არ ჰქონდა და უბილეთოდ მოინდომა ჩასვლაო.
- ფული გადაიხადეო! - დაუძახა მძღოლმა.
- არა მაქვს, სენი წილიმეო! - უპასუხა ვალოდიამ.
- უხ, შენი მუქთა დედაო! - მძღოლის კაბინიდან გამოვიდა და წიხლი ამოარტყა მძღოლმა.
- სენი წილიმე, ერთიც ამომარტყიო! - სთხოვა ვალოდიამ.

- აჰაო! - ამოარტყა მძღოლმა მეორედ.
- სამველ, სენიც გადახდილია! - დაუძახა სამველას. ვალო-დიამ სამველას მოყოლა აცალა, მაგრამ, მერე, ისეთი ამბავი აუ-ტეხა
- ტყუილად რატომ მაბრალებ, გამკეთებლის დედაც და დამ-ბრალებლისაცო! - რომ ბიჭებმა, ეს ამბავი, არ დაიჯერეს.

* * *

მერაბა კამკამიძე მე-3 მასივში მუშაობდა, სათამაშოების ფაბ-რიკაში, ზეინკლად. მერაბი ენაბლუ იყო და ამიტომ, ბირჟაზე, ხმას არ იღებდა, მარტო უსმენდა. უბანში მერაბა ყრუ-მუნჯი ეგონათ, არ ერიდებოდნენ და მისი თანდასწრებით ყველაფერს ჰყვებოდნენ. ამიტომ უპნის ამბებს ვერ გამოაპარებდი, ყველას საიდუმლო იცოდა. სახლში უყვბოდა ამ ამბებს თავის ძმას - ირაკლის, რომელიც შემდეგ, ბირჟაზე ახმოვანებდა.

ბავშვობაში, სოფელში, მერაბასთვის ჩაუბარებიათ კრუხი წი-ნილებით

- ყურადღებით იყავი, ქორმა არ წაიყვანოსო! მერაბას დასძინებია, ქორი მოფრენლა და სათითაოდ წაუსხამს წინილები. სახლში მოსული მამამისი გადარეულა
- შე შობელძაღლო, ხომ გითხარი, ყურადღებით იყავიო!
- სსასანამ ერთ „პპპაუს“ დდდავიძახებდი, ქორი სამ რრრეისს აააკეთებდაო! - თავი იმართლა მერაბამ. ოჯახში, მერაბა პურზე გაგზავნეს
- ერთი თეთრი პური მოიტანეო! - მერაბა მისულა პურის გამყ-იდველთან და
- ერთი თეთეთე....თეთეთე, შავი მომეცი მშმაგის დედაც ვვვატირეო!

* * *

მერაბას ძმა - ირაკლი იმავე ფაბრიკაში მუშაობდა, რომელშიც

თავისი ძმა, ოლონდ, ჩემოდნების საამქროში - ჩემოდნის კუთხ-ებზე ამაგრებდა ლითონის დამცავებს. ირაკლი ახლომხედველი იყო და სქელ ლინზებიან სათვალეს ატარებდა, თან ქათმის ავად-მყოფობა სჭირდა, საღამოს ბრმავდებოდა და თავის ძმას მიჰყ-ავდა სახლში. დაავადების გამო, მართვის მოწმობას არ აძლევდნენ, თუმცა, მანქანებზე რომ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მაგარი „რალისტივით“, ტრაბახით იკლებდა ბირჟას:

- ხოდა, გუშინ, პეტრიაშვილზე რომ ჩამოვდიოდი, ქვევით ინ-სპექტორი დავინახე, გადავრთე „ზადნიში“ და 40 კმ/სთ სიჩქარით ავედი უკანა სვლითო! - დაიტრაბახა ირაკლიმ.

- უკანა სვლით, ფეხით ახვედიო? - ეს მანქანაზე არავის უნახ-ავს და რას გვატყუებსო?! - ბიჭებს მიუბრუნდა მუსა.

* * *

ვასო ბადალოვი თბილისელი აისორი იყო, კუკიაზე მსახუ-რობდა, სამხედრო ნაწილში - „პროპორშჩიკად“. სამხრეებს ორი პატარა ვარსკვლავი უმშვენებდა. ბიჭები დასცინოდნენ

- კონიაკს, ყოველ ნელს, ვარსკვლავი თავისით ემატება, შენ რა მოგივიდა, ორ ვარსკვლავზე რომ გაიყინეო?!

ვასომ, ლაპარაკის დროს, სიტყვების გამეორება იცოდა მაგ-ალითად, რამე რომ არ მოეწონებოდა, იტყოდა

- ეგ საქციელი კაცური-კაცური არ არისო!

ან კიდევ ყბედს მიმართავდა

- რამდენს ლაპარაკობ-ლაპარაკობ! - ამიტომ ვასოს - ვასო-ვასო შეარქვეს. ისე, სხვა მხრივ, ვასო-ვასოს სიტყვა, ბირჟაზე, ყველაზე მეტად ჭრიდა, ეჭვი არ შეჰქონდათ და შემდავებელიც არავინ ჰყავდა.

* * *

იოსება შათაშვილი თბილისელი ებრაელი იყო, აი, ისეთი, 26 საუკუნე აქ რომ ცხოვრობდნენ, საქართველოს მზეს იფიცებდნენ

და ქართულის მეტი ენა არ იცოდნენ. იოსება გლდანში მუშაობდა - ფეხსაცმელების საამქროში - რეალიზატორად. ერთხელ, „ლევი“ ფეხსაცმელები გადაჰქონდა სატვირთო მანქანით. ინსპექტორს გაუჩერებია

- რა მიგაქვსო? - ჰკითხა.
- ფეხსაცმელები, დაგენაცვლეო! - უპასუხა იოსებამ.
- „ლევი“ რამდენი გაქვსო? - დაინტერესდა ინსპექტორი.
- შვილებს გეფიცები, რამდენიც „ლევია“, იმდენი „პრავიაო“! - უპასუხა იოსებამ.

იოსება დიდი მჭერმეტყველებით არ გამოირჩეოდა, არითმეტიკაშიც - ნოდარ დუმბაძის „დიდროსი“ არ იყოს, ორჯერ ორსა და სამჯერ სამს შორის იყო გაჭედილი, მაგრამ, საკმარისი იყო, საქმე ფულის დათვლაზე მისულიყო, რომ ერთვებოდა დამატებითი ენერგია, გონება ეხსნებოდა, თითებს აათამაშებდა და გამომთვლელი მანქანა ხდებოდა.

* * *

თემურა ფეროიანი თბილისელი ქურთი იყო. ნაგავტრესტში მუშაობდა - ნაგვის მანქანაზე. რომ ჰკითხავდი

- „ხალტურა“ რა გაქვსო?
- ბოლო რეისი სახლში მიმაქვსო! - გიპასუხებდა. ერთხელ, უფროსს თემურას დაჩაგვრა მოუნდომებია - ხელფასზე 6 მანეთი დაუკლია.

- მომეცი ჩემი ექსი მანეთიო! - არ დაუთმო თემურამ.
- თქვი - „ექვსი“ და მოგცემო!
- მომეცი ჩემი ექსი მანეთიო! - გაუმეორა თემურამ.
- ხომ გითხარი, თქვი - „ექვსი“ და მოგცემო! - უპასუხა უფროსმა.
- მომეცი ჩემი ხუთი მანეთი, მანეთის დედაც ვატირეო! - იპოვა თემურამ გამოსავალი.
- ბიჭებო, თუ გინდათ, სიგარეტს მოგიტანთო! - შუალამისას,


თვალების ფშვმეტით შესთავაზებდა ბიჭებს თემურა, პასუხს არ დაელოდებოდა, ისე მიდიოდა, მაგრამ აღარ ბრუნდებოდა. მერე, ერთმანეთის მიყოლებით მიდიოდნენ ბიჭები თემურას მოსაძებნად და აღარც ისინი ბრუნდებოდნენ. იხურებოდა ბირჟა მეორე დღის საღამომდე.

* * *

თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა ბირჟა, თბილისის ერთ ძველ უბანში. ცხოვრობდა, რომ სილამაზე შეეტანა თბილისელების ყოველდღიურ, ერთფეროვან ცხოვრებაში. ბიჭებიც არ ღალატობდნენ ბირჟას და საღამობით, თლილი ქვის საფეხურზე ჩამომსხდრები, ახალ-ახალი ჭორების მოყოლით „ამაგრებდნენ“.

* * *

1989 წლის აპრილში, ტრიბუნიდან ვუყურებდი მიტინგს. თვალში მომხვდნენ ამაყად მდგარი ჩვენი ბირჟის ბიჭები: - სამველა, მუსა, ვალოდია, მერაბა, ირაკლი, ვასო-ვასო, იოსება, თემურა - მაღლა აწეული პლაკატით - „თბილისი თქვენთანაა!“



სარჩევი

პიანინო	5
მხატვარი	10
ხმა	13
არჩევანი	17
ჭორი	21
გარდასახვა	25
ძალლი	29
ნაცარ ქექია	32
ერთგულება გულისა	39
ბიზნესმენი	42
მარიტა	49
მასწავლებელი	55
„პანასონიკი“	62
შვილი მომავლიდან	66
ოცნების ადგილი	69
ფობოფობია	72
მერი	78
მწვერვალი	82
წერილი	86
საახალწლო	90
„დიდოსტატის“ მარჯვენა	95
ემიგრანტი	99
გუგული	102
ქალიშვილი	106
ბირჟა	110



ართაშეს თაქთინიძის კრებული
"პანინო" გადრძელებაა ჩანამდე
გამოცემული წევნისა "იტალიური ები",
რომელშიც შესულია თანამედროვე
და გასული საუკუნის 90-იანი წლების
ცხოვრების ამსახველი წოველები,
მოთხოვები და იფავები.

